

This is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC) project:

Author:

Title: IBERIA-COLCHIS Researches on the Archaeology and History of Georgia in the Classical and Early Medieval Period 13

The DSCC is part of the Ancient World Digital Library hosted by the Institute for the Study of the Ancient World Library.

The Georgian National Museum has granted permission to the Institute for the Study of the Ancient World of New York University to publish this material electronically in the Digital South Caucasus Collection (DSCC). We are making such material available on a noncommercial basis for research and educational purposes in an effort to expand access to thinly-held and/or out-of-print material related to the study of the ancient world. If you wish to use copyrighted material from this site for purposes beyond those in accordance with fair use (Title 17 U.S.C. Section 107), you must obtain permission from the Georgian National Museum. We respect the intellectual property rights of others. If you believe that you own the copyright to the material made available on this site, please see our takedown policy: <http://dcaa.hosting.nyu.edu/takedown-notice>



DIGITAL SOUTH CAUCASUS COLLECTION

NYU | ISAW



იბერია-კოლხები

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA - COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period



№ 13

2017

საქართველოს ეროვნული მუზეუმის
ოთარ ლორთქიფანიძის არქეოლოგიის ცენტრი
GEORGIAN NATIONAL MUSEUM
Journal of Otar Lordkipanidze Centre of Archaeology



იბერია-კოლხები

საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის
არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი

IBERIA-COLCHIS

Researches on the Archaeology and History of Georgia
in the Classical and Early Medieval Period

13

თბილისი 2017 Tbilisi

Editor-in-Chief: Gela Gamkrelidze

Editorial & Reviewers Board:

Z. Bragvadze, D. Braund (UK), N. Lordkipanidze,
D. Kacharava, M. Kvatchadze, G. Kvirkvelia, D. Mindorashvili,
M. Charkviani, G. Narimanishvili, V. Shatberashvili

Layout: Irakli Khutsishvili, Irakli Devdariani

თმ. რედაქტორი: გელა გამყრელიძე

სარედაქციო-სარეცენზიო საბჭო:

ზურაბ ბრაგვაძე, დევიდ ბრაუნდი, ნინო ლორთქიფანიძე,
დარეჯან კაჭარავა, მარინე კვაჭაძე, გურამ კვირკველია,
დავით მინდორაშვილი, გოდერძი ნარიმანიშვილი,
ვახტანგ შატბერაშვილი, მაია ჩარკვიანი

ტექნიკური უზრუნველყოფა: ირაკლი ხუციშვილი, ირაკლი დევდარიანი

See the web site:

<http://ancientworldonline.blogspot.com/2014/09/open-access-journal-iberia-kolxeti.html>

<http://dspace.nplg.gov.ge/browse?type=author&value=Gamkrelidze%2C+Gela>

Address: Otar Lordkipanidze Centre of Archaeology

14, D. Uznadze str. Tbilisi, 0102, Georgia

E-mail: iberiacolchis@yahoo.com.

© საქართველოს ეროვნული მუზეუმი. 2017

ISSN 1512-4207

UDC 94(479.22)+902. 0-315

შირაკსი

CONTENTS

რევაზ კვირკვაია, არტიფარქტები სოფ. ლეგვანი (Revaz Kvirkvaia, ARTIFACTS FROM LEGVANI).....	5
გოდერძი ნარიმანიშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს ძ3.6. VII-ა6.6. VII სს. კერამიკა (Goderdzi Narimanishvili, POTTERY OF 7 th CENTURY BC-7 th CENTURY AD FROM EAST GEORGIA)	21
გიორგი მახარაძე, იპერია-კოლხეთი დიადოხოს ხანები (Giorgi Makharadze, IBERIA-COLCHIS IN THE DIADOCHOI ERA)	72
ანა გაბუნია, გლიკოფილის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციიდან (Ana Gabunia, ROMAN ENGRAVED GEMS FROM THE COLLECTION OF GEORGIAN NATIONAL MUSEUM)	87
დავით ლომიტაშვილი, ბესიკ ლორთქიფანიძე, ნიკოლოზ მურდულია, პოლ ევერილი, იან ქოლვინი, ბესიკ ლორტქიფანიძე (Davit Lomitashvili, Besik Lortkifanidze, Nikoloz Murghulia, Paul Everill, Ian Colvin, FORTRESS OF KHUNTSI)	99
ვახტანგ შატბერაშვილი, გიორგი ჩადუნელი, ანტიკური ხანის მასალა კასპის მუზეუმიდან (Vakhtang Shatberashvili, Giorgi Chaduneli, ARTIFACTS OF CLASSICAL PERIOD FROM KASPI MUSEUM)	112
ქეთევან რამიშვილი, ზებედე შატბერაშვილი, გვიანანტიური ხანის მდი- დრული სამარხები სოფ. რკამი (Ketevan Ramishvili, Zebede Shatberash- vili, RICH BURIALS OF LATE ROMAN PERIOD FROM THE V. OKAMI).....	120
ნუცა ყიფიანი, ღიორის შატბერაშვილი, გვიანანტიური ხანის მდი- დრული სამარხები სოფ. რკამი (Nutsa Kipiani, THE RED FIGURE CRATER)	126
მარინე ფირცხალავა, ძვლის გუნივი თრელის ნამოსახლარიდან (Ma- rina Pirtskhalava, OUTERROLLE FROM THE SETTLEMENT OF TRELIGOREBI)	129
რეცენზიები:	
ზურაბ ბრაგვაძე, ალია გაგალია — აფხაზეთი ნინარეან- ტიკურ და ანტიკურ ეპოქაში.....	137

PAPERS IN ENGLISH:

Natela Jabua, QUESTIONS OF SUCCESSION IN THE PRE-CHRISTIAN AND EARLY MEDIEVAL ARCHITECTURE OF GEORGIA	140
Paul Everill, Davit Lomitashvili, Nikoloz Murgulia, Ian Colvin, Besik Lortkipanidze, FORTY SEASONS OF EXCAVATION: NOKALAKEVI-TSIKHEGOJI-ARCHAEOPOLIS	146
Nicolas J. PREUD'HOMME, BACURIUS, THE MAN WITH TWO FACES	166
 SUMMARIES	193
 შემოკლების განხარტება: ABREVIATIONS	203
06 ფორმაცია ავტორებისათვის	204

არტეზაეთები სოფ. ლელვიდან

სოფ. ლელვი მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, მდ. ლელვნულას ხეობაში, დაბა ხარაგაულიდან დაშორებულია 12 კმ-ით, ხოლო რკინიგზის სადგურ მარელისიდან 4 კმ-ით. ისტორიულ წყაროებში პირველად მოხასენიებულია XVIII ს-ში.

ადგილი, რომელიც „ვეფხვაძეების გორის“ სახელითაა ცნობილი, სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ზღვის დონიდან 560-562 მ. სიმაღლეზე, ე.წ. „პირველ უბანში“ მდებარეობს, რომელსაც „კოდაბოლოსაც“ უწოდებენ და არც თუ ისე მაღალ ბორცვს წარმოადგენს, რომლის საერთო ფართი რამდენიმე ჰექტარია. ის ახლა კერძო საკუთრებაშია და ნაწილობრივ თხილის პლანტაციაა გაშენებული.

1978 წელს, მიწის სამუშაოების დროს, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ამჟამად პლანტაციაში შესასვლელი ჭიშკარია, ადამიანის ძვლები და სხვადასხვა ნივთები აღმოჩნდა, რომლებიც რობერტ ვეფხვაძემ ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმს ჩააბარა და ახლაც იქ ინახება (მადლობას მოვახსენებთ ხარაგაულის მუზეუმის თანამშრომლებს მასალაზე მუშაობისას განეული დახმარებისათვის). კოლექცია აშკარად სამარხეული ინვენტარის შთაბეჭდილებას ტოვებს, თუმცა უფრო „ლელვის განძის“ სახელითაა ცნობილი.

კოლექცია აქამდე მეცნიერულად შესწავლილი არ ყოფილა, მხოლოდ ხარაგაულის ისტორიისა და კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილ ორიოდე პოპულარულ წიგნსა და სტატიაშია ნახსენები [ვეფხვაძე, 2010:256; ვეფხვაძე, 2016:93]. აღსანიშნავია ისიც, რომ კოლექცია შეცდომით ძვ.წ. მეორე და პირველი ათასწლეულების მიჯნით იყო დათარიღებული. ჩვენ კი მას გვინანტიკური ხანით - ახ.წ. II-III სს. ვათარიღებთ.

ჩვენთვის უცნობია რა ვითარებაში აღმოჩნდა ეს ნივთები, ამიტომ არც იმის თქმა შეგვიძლია თუ რამდენი სამარხი განადგურდა, არის თუ არა კოლექცია ერთი კომპლექსი და მოხვდა თუ არა მუზეუმში ყველა ის ნივთი, რომელიც იქ აღმოჩნდა. ამ ეჭვს აძლიერებს ისიც, რომ ჩაბარებულია მხოლოდ ბრინჯაოსა და ერთი ვერცხლის ნივთი და არაა არც ერთი რკინის არტეფაქტი. ეს შესაძლოა იმითაც აიხსნას, რომ რკინის კოროზირებულ ნივთებს ყურადღება არ მიაქციეს და მუზეუმს არ ჩაბარეს. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ რკინის ნივთები (იარაღი) არც იყო ამ სამარხში თუ სამარხებში, ვინაიდან

შესაძლოა ქალებისა და ბავშვების სამარხები ყოფილიყო. ამ მოსაზრების სასარგებლოდ შეიძლება მეტყველებდეს სამკაულისა და სამშვენისების სიუხვე და პატარა ზომის, ბავშვის სამაჯურები და ფიბულები. არაა არც თიხის ჭურჭელი, რომელიც დიდი აღბათობით სამარხებში უნდა ყოფილიყო. თუ გავითვალსწინებთ იმას, რომ კოლექციაში არის სამი ჭვირული ბალთა და თვრამეტი ზამბარისებური საკიდი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განადგურებულია ერთზე მეტი, შესაძლოა ორი-სამი სამარხი.

ბუნებრივია, შეუძლებელია სამარხთა აგებულებასა და დაკრძალვის წესზე რაიმეს გადაჭრით თქმა, აგრეთვე თქმა იმისა, ინდივიდუალური სამარხები განადგურდა, წყვილადი თუ კოლექტიური. ვინაიდან თვითმხილველთაგან არავითარ ცნობას აკლდამების ან ქვითნაგები სამარხების განადგურების შესახებ არ ვფლობთ, დიდი აღბათობით მიცვალებულები ინჟუმაციურად იყვნენ დაკრძალული, ხოლო სამარხები ორმოსმარხები იყო. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ პერიოდით დათარიღებული ბორის, კლდეეთისა და სავარაუდოდ, სარგვების მდიდრული სამარხებიც (ხარაგაულის მუზეუმში გავეცანით „სარგვების განძის“ აღმოჩენის თვითმხილველის, დავით ჩიკვაიძის ჩანაწერებს, საიდანაც ირკვევა, რომ იქაც მიცვალებული ორმოსმარხები ყოფილა დაკრძალული) - ორმოსმამარხებია. როგორც ჩანს, გვიანანტიკურ ხანაში ამ რეგიონისათვის, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებისთვისაც დამახასიათებელი ყოფილა მიცვალებიულთა ინჟუმაციური დაკრძალვა ორმოსმამარხებში [ლომთათიძე, 1957:162].

კოლექცია 55 ნივთისაგან შედგება და დანიშნულების მიხედვით რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს (ფრჩხილებში მოცემულია საინვენტარო ნომრები. გრაფიკული ტაბულები ეკუთვნის რუსუდან ბერიძეს, ფოტოები რევაზ კვირკვაიას და რუსუდან ბერიძეს).

სამკაული:

საკიდი. ბრინჯაო, ბიკონუსური, ჭვირული. მრგვალგანივევეთიანი საკიდი რგოლით. ქვევით აქვს ოთხი ბურთულა. სიმაღლე - 4,8 სმ (ტაბ. I-1 (179), ფოტო 1-1).

საკიდი. ბრინჯაო, ბიკონუსური, ჭვირული. მრგვალგანივევეთიანი საკიდი რგოლით. ქვევით აქვს ოთხი ბურთულა. სიმაღლე - 4,5 სმ (ტაბ. I-2 (179), ფოტო 1-2).

საკიდი. ბრინჯაო, გირისებური. აქვს საკიდი რგოლი. შუა ადგილას და ბოლოში დატანილია კოპები. სიმაღლე - 3,5 სმ. (ტაბ. I-21 (178), ფოტო 2).

საკიდები (2 ც.). ბრინჯაო, გირისებური. აქვთ საკიდი რგოლი და დამშვენებული არიან კოპებით. 1) სიმაღლე - 3 სმ. 2) სიმაღლე - 2,8 სმ. (ტაბ. I-11,12 (177). ფოტო 3).

საკიდი. ბრინჯაო, ნახევარრკალური. გამსხვილებული თავები დამშვენებულია „დრაკონთა“ გამოსახულებით. ლეროს შუა ნაწილში, გაბრტყელებულ ადგილას, აქვს საკმაოდ დიდი, ოვალური ნახვრეტი. სიგრძე - 3 სმ. სიმაღლე - 2,4 სმ. (ტაბ. I-24 (477). ფოტო 4).

საკიდები (18 ც.). ბრინჯაო, ზამბარისებური. გრძელ, მრგვალგანივევეთიან ლეროზე დახვეულია მრგვალგანივევეთიანი მავთული. აქვთ საკიდი რგოლი. სიმაღლე - 3,8 - 4 სმ. (ტაბ. I-13 (185). ფოტო 5).

საკიდი. ბრინჯაო, დისკოს ფირმის წინა მხარეს ამოზნექილი და უკანა მხარეს ჩაზნექილი. წინა მხარეს, ნაპირას დატანილია ათი საკმაოდ მაღალი ბურცობი. ასევე შემკულია რამდენიმე რიგად დატანილი კინცენტრული წრეებითა და ჭდეული ხაზებით. აქვს ერთი ნახვრეტი, რომელიც ალბათ საკიდი ზონრის გასაყრელად იყო განკუთვნილი. დმ. - 8 სმ. (ტაბ. IV-37 (1-167). ფოტო 6).

ბეჭედი. ბრინჯაო, ბრტყელგანივევეთიანი, თავებგახსნილი, თავებთან გაფართოებული. დმ. - 2,8 სმ. (ტაბ. I-8 (183). ფოტო 7).

ბეჭედი. ბრინჯაო, ბრტყელგანივევეთიანი, თავებგახსნილი. დმ. - 2 სმ. (ტაბ. I-23 (184). ფოტო 8).

სამაჯური. ბრინჯაო, მრგვალგანივევეთიანი, თავებმოკაუჭებული, თავები შემკულია წინვოვანი ორნამენტით. დმ. - 4,5 სმ. (ტაბ. I-5 (1-181). ფოტო 9).

საყურე (?). ბრინჯაო, მრგვალგანივევეთიანი, დეფორმირებული. სიგრძე -0,8 სმ. (ტაბ. I-20 (6962).

რგოლი. ბრინჯაო, მრგვალგანივევეთიანი. დმ. - 2,8 სმ. (ტაბ. I-3 (180). ფოტო 10).

რგოლი. ბრინჯაო, ბრტყელგანივევეთიანი, ბოლოებმოკაუჭებული. დმ. - 3 სმ. (ტაბ. I-7 (182). ფოტო 11).

სამოსელთან დაკავშირებული ნივთები:

ფიბულა. ბრინჯაო, მცირე ზომის, მშვილდისებური. აქვს ოვალურგანივევეთიანი, ორნამენტირებული ლერო და ოთხუთხაგანივევეთიანი, ლეროზე დახვეული ენა. სიგრძე - 4,7 სმ. სიმაღლე - 3,3 სმ. (ტაბ. I-16 (185). ფოტო 12).

ფიბულა. ბრინჯაო, მცირე ზომის, მშვილდისებური. აქვს ოვალურგანივევეთიანი, ორ-

ნამენტირებული ლერო და წვრილი, ლეროზე დახვეული ენა. სიგრძე - 4,8 სმ. სიმაღლე - 3,2 სმ. (ტაბ. I-17 (185). ფოტო 12).

ფიბულა. ბრინჯაო, მცირე ზომის, მშვილდისებური. აქვს ოვალურგანივევეთიანი, ორნამენტირებული ლერო, მრგვალგანივევეთიანი, ლეროზე დახვეული ენა, რომელიც ერთ ადგილას გაბრტყელებულია. სიგრძე - 4 სმ. სიმაღლე - 3,8 სმ. (ტაბ. I-19 (185). ფოტო 12).

ფიბულა. ბრინჯაო, ნაკლული, აკლია ენა. ლერო ოვალურგანივევეთიანი, მორკალული და სადაა. სიგრძე - 3,5 სმ. სიმაღლე - 2 სმ. (ტაბ. I-18 (185). ფოტო 12).

ბალთა. ბრინჯაო, ჭვირული, ჩამოსხმული, კვადრატული ფორმის, რთული კომპოზიციით: ცენტრალური ფიგურა ქორბუდა ირემი, რომელის ქვეშ, ფეხებს შორის გამოსახულია გაურკვეველი ცხოველი, ხოლო ზურგზე ხარი. წინ ორ ფეხზე მდგარი ცხოველი (ძალი? მტაცებელი?) სახით ირმის დრუნჩს ეხება. ჩარჩო შემკულია ორნამენტით. წინა მხარეს ოთხივე კუთხეში აქვს მაღალი, კონუსური შვერილები. უკანა მხარეს აქვს კაუჭი და მამალი დუგმა. ბალთა დეფორმირებული და კოროზირებულია. ზომები: 14X14 სმ. ჩარჩოს სიგანე - 2,5 სმ. შვერილების სიმაღლე - 2,5 სმ. (ტაბ. II-25 (1-1). ფოტო 13).

ბალთა. ბრინჯაო, ჭვირული, ჩამოსხმული, კვადრატული ფორმის, რთული კომპოზიციით: ცენტრალური ფიგურა ქორბუდა ირემი, რომელის ქვეშ და ზურგზე გამოსახულია გაურკვეველი ცხოველი (მტაცებელი?), წინ კი ორ ფეხზე მდგარი ცხოველი (ძალი? მტაცებელი?), რომელიც სახით ირმის დრუნჩს ეხება. ჩარჩოს სამ რიგად შემოუყვება თავთავისებური ორნამენტი, წინა მხარეს ოთხივე კუთხეში აქვს მაღალი, კონუსური შვერილები. უკანა მხარეს აქვს კაუჭი და მამალი დუგმა. ზომები: 11,5X12,5 სმ. ჩარჩოს სიგანე - 1,5 სმ. შვერილების სიმაღლე - 1 სმ. (ტაბ. II-26 (1-164). ფოტო 14).

ბალთა. ბრინჯაო, ჭვირული, ჩამოსხმული, კვადრატული ფორმის, რთული კომპოზიციით: ცენტრალური ფიგურა ცხენი, რომლის ზურგზე დგას ხარი, ფეხებს შორის ფრთა-გაშლილი ფრინველი, წინ კი ორ ფეხზე მდგარი ცხოველი (ძალი? მტაცებელი?) სახით ცხენის დრუნჩს ეხება. ჩარჩოს სამ რიგად შემოუყვება თავთავისებური ორნამენტი. წინა მხარეს ოთხივე კუთხეში აქვს მაღალი, კონუსური შვერილები. უკანა მხარეს კი კაუჭი და მამალი დუგმა. ზომები: 13X13 სმ. ჩარჩოს სიგანე - 2 სმ. შვერილების სიმაღლე - 3-3,3 სმ. (ტაბ. II-27 (1-165). ფოტო 15).

ბალთის ფრაგმენტი. ჩარჩოს კუთხე. შემორჩენილია მასზე გამოსახული ცხოვე-

ლის ფეხის ნაწილი. ჩარჩოს ორ რიგად შემოუყვება თავთავისებური ორნამენტი (ტაბ. I-15 (6957). ფოტო 16).

ინსიგნიის ნიშანი ან საკულტო ნივთი:

კვერთხისთავი. ბრინჯაო, პატარა ზომის, ბიკონუსური, გამჭოლი ნახვრეტით, შუაში ნაწიბურით. დამშვენებულია ვერძის თავის სამი პლასტიკური გამოსახულებით. სიმაღლე - 3 სმ. ხერელის დმ. - 1,2 - 1,5 სმ. (ტაბ. I-10 (173). ფოტო 17, 18).

მცირე პლასტიკა (საკულტო ნივთები, სამშვენისები):

ირმის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს მაღალი ყელი, მოგრძო და ვიწრო დრუნჩი, ორად განტოტილი რქები. უკანა ფეხები უფრო დაბალია, ვიდრე წინა. მუცლის მხარე ბრტყელია, ზურგისა ოდნავ ამობურცული. საკიდი დარჩილულია ყელსა და ზურგზე. სიმაღლე - 3 სმ, ტანის სიგრძე - 2,5 სმ. (ტაბ. III-28 (1-169). ფოტო 19-1).

ირმის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს მაღალი ყელი, მოგრძო და ვიწრო დრუნჩი, ორად განტოტილი რქები. უკანა ფეხები უფრო დაბალია, ვიდრე წინა. მუცლის მხარე ბრტყელია, ზურგისა ოდნავ ამობურცული. პირველ ფიგურასთან შედარებით, აქვს უფრო მაღალი და განტოტილი რქები და უფრო მაღალი წინა ფეხები. სიმაღლე - 3 სმ. ტანის სიგრძე - 2,8 სმ. (ფოტო 19-2).

ვერძის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს მაღალი ყელი, გრძელი და ვიწრო დრუნჩი. მუცლის მხარე ბრტყელია, ზურგისა ამობურცული. აქვს ჩახვეული რქები, მოკლე ფეხები. ზურგზე აქვს საკიდი რკალი. სიმაღლე - 3,4 სმ. სიგრძე - 4 სმ. (ტაბ. III-29 (1-170). ფოტო 20).

ვერძის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს პატარა, წაწვეტებული დრუნჩი, მსხვილი, ჩახვეული რქები, მორკალული ტანი, მოკლე, გაშლილი ფეხები, მოკლე და მსხვილი კუდი, თვალები გამოსახულია კოპებით, ზურგზე და კისერზე მიმაგრაბულია საკიდი რკალი. სიგრძე - 2,5 სმ. სიმაღლე - 2 სმ. სიგანე - 0,7 სმ. (ტაბ. III-35 (1-171). ფოტო 21).

ჯიხვის თავის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს გრძელი და მსხვილი დრუნჩი, თვალები გამოსახულია კოპებით. კოპი აქვს თავზეც. ორი გრძელი და განტოტილი რქა ორივე მხარეს თავთან ბრინჯაოს დერაკითა შეერთებული. რქებს შორის აქვს საკიდი რკალი. სიგრძე - 5 სმ., სიგანე შუბლთან - 1 სმ., სიგანე რქებს შორის - 5,5 სმ. (ტაბ. III-32 (1-172). ფოტო 22).

ჯიხვის თავის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო, აქვს გრძელი, ოდნავ მორკალული დრუნჩი, თვალები გამოსახულია კოპებით, კოპი აქვს თავზეც. ორი გრძელი და განტო-

ტილი რქა ორივე მხარეს თავთან ბრინჯაოს დერაკითა შეერთებული. რქებს შორის აქვს საკიდი რკალი. სიგრძე - 3 სმ., სიგანე რქებს შორის - 4,5 სმ. (ტაბ. III-34 (1-173). ფოტო 23).

ხარის ფიგურა (საკიდი). ბრინჯაო. სახე ძალზე სტილიზებულადა გამოსახული: არ ეტყობა თვალები და ნესტოები. აქვს გრძელი და მორკალული რქები. ტანი საკმაოდ წვრილია (მჭე ხარის შთაბეჭდილებას ტოვებს). ოთხივე ფეხი წინა აქვს გადადმული, რაც ცხოველის ფიგურას დინამიურობას ანიჭებს. აქვს მოკლე კუდი. ზურგზე დარჩილულია საკიდი რკალი. სიგრძე - 5,5 სმ. სიმაღლე - 3,8 სმ. (ტაბ. III-31 (145). ფოტო 24).

გაურკვეველი ცხოველისა თუ მცურავი ფრინველის ფიგურები (საკიდი. 2 ც.). ბრინჯაო. აქვთ მაღალი ყელი, წვრილი და წაწვეტებული დრუნჩი (ნისკარტი?), თავზე აზით ორ-ორი კოპი. აქვთ გაბრტყელებული წინა ფეხები (თათები?), უკანა ფეხები არა აქვთ. ტანის უკანა ნაწილი გაბრტყელებულია. ზურგზე და კისერზე მირჩილულია საკიდი რკალი. ორივე ფიგურა ფორმითაც და ზომებითაც ერთნაირია. სიმაღლე - 2, 5 სმ., ტანის სიგანე - 3 სმ. სიგანე ფეხებთან - 1,1 სმ. (ტაბ. III-30 (1-168). ფოტო 25).

გაურკვეველი დანიშნულების ნივთები:

დისკოსებური ნივთი. ვერცხლი, წინა მხარეს ამოზნექილი, უკანა მხარეს ჩაზნექილი. შუაში აქვს ფართო, ამობურცული შვერილი. წინა მხარეს ნაპირთან შემოუყვება პატარა ბურცობები. ამშვენებს ასეთივე ბურცობებით შექმნილი 5 სამკუთხედი, რომლებიც წვერით ცენტრისაკენ არიან მიმართული. წახვეტი ან საკიდი რკალი არა აქვს. ამიტომაც ვერაფერს ვამბობთ მისი დანიშნულბის შესახებ. დმ. - 5,5 სმ. (ტაბ. IV-36 (1-166). ფოტო 26).

ნივთის ფრაგმენტი. ბრინჯაო. პატარა, მორკალული. ერთი ბოლო გაბრტყელებულია, მეორე მოტეხილი. ორნამენტირებულია. დმ. - 1,5 სმ., სიგრძე - 4,5 სმ. (ტაბ. I-9 (6960)).

ლერაკი. ბრინჯაო, ოვალურგანივევე-თიანი. სიგრძე - 2,5 სმ. (ტაბ. I-4 (6961)).

ლერაკი. ბრინჯაო, ოთხკუთხაგანივევე-თიანი, მორკალული. სიგრძე - 2 სმ. (ტაბ. I-22 (6958)).

ლერაკი. ბრინჯაო, ოვალურგანივევე-თიანი. სიგრძე - 2 სმ. (ტაბ. I-14 (6959)).

გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი. ბრინჯაო. (ტაბ. III-33 (6702)).

კოლექციის დათარიღება არაა ძნელი, რადგან მასში შემავალი ნივთების დიდ ნაწილს მრავლად ეძებნება პარალელურ კარგად დათარიღებულ ძეგლებზე. ამ მხრივ პირველ რიგში საყურადღებოა მსგავსება

კლდეეთის სამაროვნის მასალასთან, სადაც აღმოჩენილია სრულიად მსგავსი ჯიხვისა და ირმის ფიგურები, ბიკონუსური, ჭვირული საკიდები, ზამბარისებური საკიდები და ჭვირული ბალთა [ლომთათიძე 1957: ტაბ. VIII, IX, XIII, XIV].

მსგავსი ჯიხვისა და ირმის ფიგურები აღმოჩენილია ბორში [კვირკვაია, და სხვ., 2016: 32-33. ტაბ. I-1-3; ფოტო 1-3], არაგვის ხეობაში – ნეძიხისა და ბადრიანების სამაროვანზე [რამიშვილი, 2007: ტაბ VII, 5-9; XI, 1-5], სამთავროს № 540 კრამიტსამარხში [მანჯგალაძე, 1985:70, სურ. 337], მოგვათაკარის სამაროვნის № 6 სამარხში [სიხარულიძე და სხვ., 1985:122, სურ. 672, 681], კარსნისხევის № 27 კრამიტსამარხში [აფაქიძე და სხვ., 1978: 48-51, სურ. 261, 264, 266]. ყველა მათგანი გვიანანტიკური ხანისაა.

ლელვანის კოლექციაში შემავალი ბიკონუსური და გირისებური საკიდების მსგავსი ნივთები აღმოჩენილია უინვალის სამაროვნის III ს-ით დათარილებულ სამარხებში [ჩიხლაძე 2015:72, 75, ტაბ. XIII, 47-51; XII, 181-182, 389-390]. აქვე აღმოჩნდა ლელვანის კოლექციაში შემავალი ცხოველისა თუ მცურავი ფრინველის მსგავსი ფიგურები, რომლებსაც ვ. ჩიხლაძე „ცხვრის სტილიზებულ გამოსახულებად“ მიიჩნევს [ჩიხლაძე, 2015:96, ტაბ. XXXIX:493-494]. ე.ნ. „დრაკონისთავიან“ საკიდს, რომელიც შიდა ქართლშია აღმოჩენილი და რომლის მსგავსი ნივთი ლელვნის კოლექციაშიცაა, ბ. კუფტინი „პართიული“ ხანით ათარილებს [Куфтин 1949:24, Рис. 3], ამავე პერიოდისაა ოლგინსკოესა (წებელდა) და ლიაში აღმოჩენილი ანალოგიური საკიდებიც [აფხაზავა, 2010:ტაბ. IX-6; ნითლანაძე, 1973:ტაბ. I].

კოლექციაში არის ისეთი ნივთიც, რომლის მსგავსიც ვერსად მოვიძიეთ, კერძოდ, კვერთხისთავი ვერძის თავების პლასტიკური გამოსახულებით, რომელიც ჩვენი აზრით, საკულტო საგანი ან ინსიგნიის ნიშანი უნდა იყოს.

გვიანანტიკური ხანის ძეგლებით ეს რეგიონი როგორც ჩანს საკმაოდ მდიდარია. ამაზე მეტყველებს შემთხვევით აღმოჩენილი ნივთები, რომლებიც ერმიტაჟში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ქუთაისისა და ხარაგაულის მუზეუმებშია დაცული. მარტო ბორისა და სარგვების მდიდრული სამარხეული ინვენტარი რად ლირს [Придик, 1914; Tschubinaschvili, 1925]. ბორში შემთხვევით აღმოჩენილი საინტერესო კოლექციებია დაცული საქართველოს ეროვნული მუზეუმის ს. ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმში [კვირკვაია, და სხვ., 2016:31-55], ქუთაისისა და ხარაგაულის მუზეუმებში. ამას გარდა, ხარაგაულის ისტორიულ მუზეუმში დაცულია ჭვირული

ბალთა და ფიბულა სოფ. ლორეშადან (ფოტო 29-30), ჭვირული ბალთები სოფ. ქროლიდან (გარკვეული მიზეზების გამო მუზეუმის სააღრიცხვო დოკუმენტებში ბალთის აღმოჩენის ადგილად სოფ. ბაზალეთია მითითებული. ფოტო 31) და ვახანიდან (ფოტო 32), თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი ქალის პროფილის რელიეფური გამოსახულებით სოფ. ჩრდილიდან (ფოტო 33), ბრინჯაოს ვერძის შესანიშნავი ქანდაკება სოფ. ლაშედან (ფოტო 34).

იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი სახელმწიფო: იბერია და კოლხეთი. იბერიის სამეფო საკმაოდ დიდ ტერიტორიას ფლობდა ლიხთიმერეთში. მისი დასავლეთ საზღვარი შესაძლოა ხშირად იცვლებოდა, მაგრამ ძირითადად, ალბათ მაინც სკანდა-შორაპნის ხაზზე გადიოდა. თვით შორაპნი, მცვლევართა უმრავლესობის აზრით, იბერიის შემადგენლობაში იყო. გ. ლომთათიძე ვარაუდობდა, რომ იბერია-კოლხეთის საზღვარი ბორსა და კლდეეთს შორის გადიოდა [ლომთათიძე, 1957:189]. ვ. ჯაფარიძე თვლის, რომ კლდეეთი როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად კოლხეთს ეკუთვნოდა [ჯაფარიძე, 1984:29]. ჩვენი აზრით, რთული და თითქმის შეუძლებელიცაა გადაჭრით თქმა თუ ზუსტად სად გადიოდა იბერია-კოლხეთის საზღვარი, რომელიც პოლიტიკურად იმ ძალიან ბობოქარ ხანაში ალბათ ხშირად იცვლებოდა. რაც შეეხება კულტურულ კუთვნილებას: კლდეეთში საკმაოდ ბევრი ნივთია ისეთი, რომელიც არის ლელვანშიც და რომელთაც, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, პარალელები უხვად ეძებნებათ აღმოსავლეთ საქართველოში, მაგ.: ცხვრელთა ფიგურები, გირისებური და ზამბარისებური საკიდები და სხვა. თუმცა ისიც შესაძლოა, რომ კლდეეთელები უფრო მეტად ყოფილიყვნენ დასავლურეართული კულტურის მატარებელი, ვიდრე ლელვნელები, ვინაიდან იქ აღმოჩენილი ნივთები დასავლურეართულ არქეოლოგიურ მასალასთანაც პოულობს ბევრ საერთოს. მაგ., ოქროს ბალთები, რომლებიც თითქმის იდენტურია გონიოს განძის ბალთებისა და რომლებიც კოლხური ოქრომჭედლობის ტრადიციით არიან დამზადებულნი, კერამიკა და სხვ. მაგრამ ეს მაინც არ გამორიცხავს იმას, რომ კლდეეთი იბერიის ფარგლებში ყოფილიყო. დღესაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტში არის გვერდიგვერდ მდებარე სოფლები, სადაც ერთში ხალხი იმერული კილოთი მეტყველებს და იმერული ტრადიციებით ცხოვრობს, მეორეში კი ქართლურით, მაგრამ ორივენი თავს იმერლებად თვლიან. ლელვანი კი ჩვენი აზრით, ტერიტორიულადაც და კულტურულადაც იბერიას ეკუთვნოდა. ბუზმიჟრ პიტიახში, რომელიც ისენიება ბორში აღმოჩენილი თასის არმა-

ზულ წარწერაში, იბერიის მეფის, ფარსმან ქველის (დაახლ. 120-170 წწ.) თანამედროვე უნდა ყოფილიყო [ცქიტიშვილი, 1966:90] და მონაპირე მხარის, ლიხთიმერეთის იბერიის მმართველი იქნებოდა. ეს რეგიონი გარდა იმისა, რომ მონაპირე, სასაზღვრო რეგიონს წარმოადგენდა, მნიშვნელოვანი იყო იმითაც, რომ აქ გადიოდა მსოფლიო მნიშვნელობის სავაჭრო გზები, რომლებიც არაერთ ბერძენ და რომაელ ავტორს (პატროკლე, სტრაბონი, ვარონი და სხვ.) აქვს მოხსენიებული და დატანილია „ტაბულა პევტინგერიანაზე“. აქვე გადიოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზებიც, რომლებიც აღმოსავლეთ, დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს ერთმანეთთან აკავშირებდა. მონაპირე საპიტიახშოს კი ქვეყნის დასავლეთ საზღვრის დაცვის გარდა, აღბათ ამ გზების დაცვა და გაკონტროლებაც ევალებოდა.

როგორც წერილობითი წყაროებიდანაა ცნობილი, გარდა პიტიახშებისა, ანტიკური ხანის იბერიაში უფრო დაბალი რანგის სახელმწიფო მოხელეებიც იყნენ: სპასალარ-ათასისთავები, ხევისთავები და ა.შ., რომლებიც აღბათ საპიტიახშოს უფრო მცირე ტერიტორიულ ერთეულებს განაგებდნენ. ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ბორში პიტიახშები და მათი ოჯახის წევრები იყვნენ დაკრძალულნი, ხოლო კლდეეთში უფრო დაბალი რანგის მოხელეები, თუნდაც ათასისთავები [ჯანაშია, 1941; ლომ-თათიძე, 1957:183-184; ცქიტიშვილი, 1955:304; მარგიშვილი, 1988:45-46]. საპიტიახშოები კი აღბათ, უფრო წვრილ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულებად იყო დაყოფილი.

დღეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტი 19 სასოფლო თემადაა დაყოფილი, თითოეულ მათგანში რამდენიმე სოფელი და უფრო მეტი ნასოფლარია. ეს დაყოფა არაა შემთხვევითი: სასოფლო თემები ძირითადად, პატარა მდინარეთა ხეობებში მდებარეობენ. მაგ.: ლეღვნის თემი მდ. ლეღვნულას ხეობაშია, კიცხის თემი ბორიმელას, სარგვეშის თემი მდ. ყარნების, ვახანის თემი ვახანისნელის, ბორითის თემი ძირულას, ლორეშას თემი კვადოურას, ზვარეს თემი ნუნისისნელის ხეობაში და ა.შ. თითოეულ ხეობას აქვს თავისი სახნავ-სათესი და სავენახე მიწები, საძოვრები, ტყე და ველი – მთელი სასოფლო-სამეურნეო ინფრასტრუქტურა. ამიტომაც შესაძლოა, რომ გვაიანანტიკურ ხანაშიც ეს ხეობები მიკრო-ეკონომიკური და ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულები ყოფილიყვნენ. მათ აღბათ თავიანთი მმართველი მოხელეებიც ეყოლებოდათ, რომელთა მეშვეობითაც სახელმწიფო თავის ხელისუფლებას ახორციელებდა, გადსახადების აკრეფა იქნებოდა ეს, რეკრუტირება თუ სხვ. გვიანანტიკურ ხანაში, როდესაც უკვე საზოგადოების სო-

ციალური დიფერენციაცია შორსაა წასული, თითოეულ ასეთ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულს (ხევს?) აღბათ თავისი მაღალი და დაბალი ფენაც ეყოლებოდა.

სოფ. ლეღვნის ლეღვნულას ხეობაში გამორჩეული ადგილი უკავია - ხეობის ცენტრია. ამიტომ შესაძლოა II-III სს-შიც სწორედ იქ ყოფილიყო ამ მიკრორეგიონის გამგებელი მოხელისა და მისი ადმინისტრაციის სამყოფელი. ლეღვნის კოლექციაში შემავალი ნივთები ბორში, სარგვეში და კლდეეთში აღმოჩენილი ნივთებისაგან განსხვავებით, უმაღლესი სახელმწიფო მოხელეთა მდიდრულ სამარხეულ ინვენტარად ვერ ჩაითვლება, მაგრამ არც ღარიბულია. ამიტომაც შესაძლოა, რომ „ვეფვებაძეების გორაზე“ ამ მცირე ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეულის არის ტოკრატია იყო დაკრძალული.

კიდევ ერთი ნივთი, რომელიც ხარაგაულის მუზეუმში ინახება და რომელიც 1973 წელს ლეღვნის ციხის მიდამოებშია ნაპოვნი, არის ბრინჯაოს შუბისპირი, გრძელი, ვიწრო პირით და მაღალი ქედით. გრძელი, გახსნილი მასრით, რომელზეც ორი სამანჯვლე ნახვრეტია. სიგრძე - 40 სმ., პირის სიგანე - 15,5 სმ., მასრის სიგრძე - 24,5 სმ. (ტაბ. V (1-534). ფოტო 35). შუბისპირი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით - ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით უნდა დათარიღდეს.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის სიმონ ჯანაშიას სახელმწიფო მუზეუმის ძირითად ფონდში დაცულია ბრინჯაოს კოლხური ცული, რომელიც 1951 წელს ოთარ მაღრაძეს ლეღვნიდან 10 კმ. დაშორებით, ტყეში უპოვნია. ის კოლხური ცულების მეორე ტიპს მიეკუთვნება და ძვ.წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით თარიღდება. აქვს შვეტილი, ექვსად დანახნაგებული ტანი, მაღალი, მახვილი ყუა, ოვალური სატარე ხვრელი და ოდნავ ასიმეტრიული, მომრგვალებული პირი. სიგრძე - 15 სმ., სიგანე - 4 სმ., სატარე ხვრელი სიგრძე - 4,2 სმ., სატარე ხვრელი სიგანე - 2,6 სმ; (ტაბ. V (16-51). ფოტო 36).

გარდა ამისა, სოფლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ე.წ. „თხმელნარის სერზე“ არის საკმაოდ დიდი ნამოსახლარი, სადაც რამდენიმე ადგილას კარგად ჩანს ქვების (კედლების?) წყობა და დიდი რაოდენობით იკრიფება გვიანბრინჯაოს ხანისა და შუა საუკუნეების თიხის ჭურჭლის ფრაგმენტები.

ყოველივე აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ სოფ. ლეღვნანი არქეოლოგიური თვალსაზრისით საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილია და მისმა შემდგომმა კვლევამ შესაძლოა ბევრი სანტერესო მასალა მოგვცეს ჩვენი ქვეყნის უძველესი ისტორიის არაერთი პრობლემური საკითხის გასაშუქებლად.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., კალანდაძე ალ., ნიკოლაიშვილი ვ. 1978: მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის 1975 წ. მუშაობის ანგარიში. – მცხეთა, ტ. II, თბ., გვ. 8-77.

აფხაზევა 6. 2010: გვიანანტური და ადრეშუასაუკუნეთა ეპოქის აფხაზეთის ეთნიკური სიტუაცია, თბ.

ვეფხვაძე იზ. 2010: ხარაგაული, ქუთაისი.

ვეფხვაძე იზ. 2016: ხარაგაული, ქუთაისი.

კვირკვაია რ., დავლიანიძე რ., ჩხარტიშვილი ნ. 2016: არქეოლოგიური კოლექციები სოფ. ბორიძან. - სემბ (სმბ) VII, (52-B), თბილისი, გვ. 31-55.

ლომთათიძე გ. 1957: კლდეეთის სამაროვანი, თბ.

მანჯგალაძე გ. 1985: სამთავროს სამაროვნის გვიანანტიური ხანის სამარხები. - მცხეთა ტ. VII, თბ., გვ. 43-108.

მარგიშვილი ს. 1988: ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხთა სოციალური დიფერენციაციისათვის. - მაცნე (იაეხის), № 1, თბ., გვ. 35-49.

რამიშვილი ქ. 2007: აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის მცირე პლასტიკის ძეგლები. თბ.

სიხარულიძე ან., აბუთიძე ან. 1985: მოგვთაკარის სამაროვანი (კატალოგი). - მცხეთა ტ. VII, თბილისი, გვ. 109-131.

ჩიხლაძე ვ. 2015: ჟინვალის სამაროვანი. თბილისი.

ცქიტიშვილი გ. 1964: ანტიკური ხანის შორაპნის საერთოსათვის. - სიგვ; ტ. 2, თბილისი, გვ. 72-106.

წილაძაძე ლ. 1973: არქეოლოგიური აღმოჩენები სოფ. ლიაში. - მმ. № 33, თბ., გვ. 67-75.

ჯანაშია ს. 1941: დიდი შენაძენი. - გაზ. „ლენინელი“, № 72.

ჯაფარიძე ვ. 1984: კლდეეთის სამაროვანი და დასავლეთ საქართველოს გვიანანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის საკითხი. - მმ. № 68, თბ., გვ. 28-31.

Придик Е. 1914: Новые Кавказские клады. – Мар, Санкт-Петербург, с. 94-110.

Tschubinaschwili G. 1925: Der fund von Sargveschi. – Ики-აи, Тбилиси, с. 83-86.

ილუსტრაციების აღნირილობა

ტაბ I - 1 (1-179). ბრინჯაოს საკიდი; 2 (179). ბრინჯაოს საკიდი; 3 (180). ბრინჯაოს რგოლი; 4 (6961). ბრინჯაოს ღერაკი; 5 (181). ბრინჯაოს სამაჯური; 6 (1-182). ბრინჯაოს რგოლი; 7 (1-182). ბრინჯაოს რგოლი; 8 (183). ბრინჯაოს ბეჭედი; 9 (6960). ბრინჯაოს ნივთის ფრაგმენტი; 10 (173). ბრინჯაოს კერამიკისთავი; 11 (177). ბრინჯაოს საკიდი; 12 (177). ბრინჯაოს საკიდი; 13 (185). ბრინჯაოს საკიდი; 14 (6959). ბრინჯაოს საკიდი; 15 (6957). ბრინჯაოს ბალთის ფრაგმენტი; 16 (185). ბრინჯაოს ფიბულა; 17 (185). ბრინჯაოს ფიბულა; 18 (185);

ბრინჯაოს ფიბულა (ფრაგმენტი); 19 (185). ბრინჯაოს ფიბულა; 20 (6962). ბრინჯაოს საყურე (?) ; 21 (178). ბრინჯაოს საკიდი; 22 (6958). ბრინჯაოს ღერაკი; 23 (184). ბრინჯაოს ბეჭედი; 24 (477). ბრინჯაოს საკიდი.

ტაბ II- 25 (1-1). ბრინჯაოს ბალთა; 26 (1-164). ბრინჯაოს ბალთა; 27 (165). ბრინჯაოს ბალთა.


ტაბ III- 28 (1-169). ირმის ფიგურა. ბრინჯაო; 29 (1-170); ვერძის ფიგურა. ბრინჯაო; 30 (1-168). გაურკვეველი ცხოველის (მცურავი ფრინველის?) ფიგურა. ბრინჯაო; 31 (1-145). ხარის ფიგურა. ბრინჯაო; 32 (1-172). ჯიხვის თავის ფიგურა. ბრინჯაო; 33 (6702). გაურკვეველი ნივთის ფრაგმენტი. ბრინჯაო; 34 (1-173). ჯიხვის თავის ფიგურა. ბრინჯაო; 35 (1-171). ვერძის ფიგურა. ბრინჯაო.

ტაბ IV- 36 (1-166). ვერცხლის დისკოსებური ნივთი; 37 (1-167). ბრინჯაოს საკიდი.

ტაბ V - (1-534). ბრინჯაოს შუბისპირი; (16-51:1). ბრინჯაოს ცული.

ფოტოები: 1. ბრინჯაოს საკიდები (ლეღვანი); 2. ბრინჯაოს საკიდი (ლეღვანი); 3. ბრინჯაოს საკიდები (ლეღვანი); 4. ბრინჯაოს საკიდი (ლეღვანი); 5. ბრინჯაოს საკიდები (ლეღვანი); 6. ბრინჯაოს საკიდი (ლეღვანი); 7. ბრინჯაოს ბეჭედი (ლეღვანი); 8. ბრინჯაოს ბეჭედი (ლეღვანი); 9. ბრინჯაოს სამაჯური (ლეღვანი); 10 . ბრინჯაოს რგოლი (ლეღვანი); 11. ბრინჯაოს საკიდი (ლეღვანი); 12. ბრინჯაოს ფიბულები (ლეღვანი); 13. ბრინჯაოს ბალთა (ლეღვანი); 14. ბრინჯაოს ბალთა (ლეღვანი); 15. ბრინჯაოს ბალთა (ლეღვანი); 16. ბრინჯაოს ბალთის ფრაგმენტი (ლეღვანი); 17. ბრინჯაოს კვერთხისთავი (ლეღვანი); 18. ბრინჯაოს კვერთხისთავი (ლეღვანი); 19. ირმის ფიგურები. ბრინჯაო (ლეღვანი); 20. ვერძის ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 21. ვერძის ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 22. ჯიხვის თავის ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 23. ვერძის ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 24. ხარის ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 25. გაურკვეველი ცხოველის (მცურავი ფრინველის?) ფიგურა. ბრინჯაო (ლეღვანი); 26. გაურკვეველი დანიშულების ვერცხლის ნივთი (ლეღვანი); 27. თიხის ქოთანი (ბორი); 28. თიხის ხელადა (ბორი); 29. ბრინჯაოს ბალთა (ლორება); 30. ბრინჯაოს ბალთა (ქროლი); 31. ბრინჯაოს ფიბულა (ლორება); 32. ბრინჯაოს ბალთა (ვახანი); 33. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ჩრდილი); 34. ვერძის ფიგურა. ბრინჯაო (ლაშე); 35. ბრინჯაოს შუბისპირი (ლეღვანი); 36. ბრინჯაოს ცული (ლეღვანი).


I




II



25 (1-1)




26 (1-164)



27 (165)


III




28 (1-169)




29 (1-170)



30 (1-168)




31 (145)




32 (1-172)



33 6702




35 (1-171)




34 (1-173)

0 1 2 3

IV



36 (1-166)




37 (1-167)


0 1 2 3

V

1-534



16-51:1



E

0 2 4 6



1 2



2



3



4



5



6



7



8



9



10



11



12



13



14



15



16



17



18



19



20



21



22



23



24



25



26



27



28



29



30



31



32



33



35



36



34

გოდერძი ნარიმანიშვილი

აღმოსავლეთ საქართველოს ქ3.ნ. VII – ახ.ნ. VII სს. პერამიკა

(I ნაწილი)

თიხისაგან ჭურჭლის დამზადება ადა-
მიანმა ნეოლიტის ხანაში დაიწყო. ამ ეპოქი-
დან მოკიდებული კერამიკა არქეოლოგიურ
ძეგლებზე მოპოვებულ არტეფაქტებს შო-
რის ყველაზე მრავალრიცხოვან და მრა-
ვალფეროვან მასალას წარმოადგენს. თიხის
ჭურჭლების ფორმათა ცვალებადობა და
ტექნოლოგიური თავისებურებები, ამ კატ-
ეგორის არტეფაქტების მიხედვით, ძველი
კულტურული ფენების შედარებით ზუსტად
დათარილების საშუალებას იძლევა. ეს კი,
შესაბამის არქეოლოგიურ მონაცემებთან ერ-
თად, კულტურულ-ისტორიული პროცესის
მეტ-ნაკლებ აღდგენას უწყობს ხელს.

ნაშრომში განხილულია აღმოსავლეთ
საქართველოს ქ3.ნ. VII – ახ.ნ. VII სს. კერამი-
კის დამზადების ტექნოლოგია, ტიპოლოგია,
ქრონოლოგია, ფორმობრივ-ტიპოლოგიური
კლასიფიკაცია და სტილისტური დახასიათე-
ბა. ამ პერიოდის კერამიკის ტექნოლოგიის,
ტიპოლოგიისა და ქრონოლოგიის კვლევის
ობიექტები შერჩეულია იმ გეოგრაფიული
არეალიდან, რომელსაც დღევანდელი ადმინ-
ისტრაციული დაყოფით ერთლი, კახეთი და
მესხეთ-ჯავახეთის მხარეები მოიცავს. ეს რე-
გიონები შერჩეული იქნა იმიტომაც, რომ ამ
ტერიტორიაზე ქ3.ნ. VII – ახ.ნ. VII სს-ის ყველა
ქრონოლოგიური ჯგუფის მასალაა მოპოვებ-
ული და ამასთან კულტურის უწყვეტი განვი-
თარება დასტურდება.

აღმოსავლეთ საქართველოში უკანასკნე-
ლი ასი წლის მანძილზე წარმოებული ფართო
არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად
გამოვლენილია ამ პერიოდის მრავალი ძეგ-
ლი, რომელთა მნიშვნელოვანი ნანილი მონო-
გრაფიულად არის შესწავლილი. მიუხედავად
ამისა, ჯერ კიდევ არ არსებობს ამ რეგიონის
კერამიკის დაწრილებითი დახასიათება,
ფორმობრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაცია
და სტილისტური ანალიზი.

აღმოსავლეთ საქართველოს კერამიკის
პირველი მონოგრაფიული კვლევა XX საუ-
კუნის 80-იან წლებში ჩატარდა, რასაც შე-
საბამისი ნაშრომის პუბლიკაცია მოჰყვა
[Нариманишвили 1991]. ეს ნაშრომი ქ3.ნ. V – I
საუკუნეების კერამიკის შესწავლას ეძღვნე-
ბოდა და ძირითადად ეყდნობოდა: აბელიას
[კვიუნიაძე 1975; გაგოშიძე 1982], ასურეთის
[კვიუნიაძე 1967], ახალსოფლის [დავლიანიძე
1977], ალექსეევკის [კვიუნიაძე 1975; კვიუნი-
აძე 1973], აღაიანის [ბოხოჩაძე 1981; მირიან-
აშვილი 1983], ბარგიუარიას [აფაქიძე და სხვ.

1955], ბეჭთაშენის [Куфтин 1941; მენაბდე, დავ-
ლიანიძე 1968; დავლიანიძე 1983], გომარეთის
[გაგოშიძე 1982; დავლიანიძე 1983], დაშ-ბაშის
[Куфтин 1941; გაგოშიძე 1982], დაჭრილების
[ნაკაიძე 1980; თოლორდავა 1980], დედოფლის
მინდვრის [გაგოშიძე 1975; გაგოშიძე
1978], ვარსიმანთკარის [წითლანაძე 1983;
რამიშვილი და დავით 1979; რამიშვილი და დავით 1984;
რამიშვილი და დავით 1985], ვასასწყარო-არქეორეთის
[ჯაფარიძე 1956], თეთრინყაროს [ბოხოჩაძე
1963; თოლორდავა 1963; თოლორდავა 1980],
კამარაბევის [აფაქიძე და სხვ. 1978; ჯლარ-
კავა 1983], კაზრეთის [სინაურიძე 1985], კვი-
რაცხვლის [გამბაშიძე, კვიჯინაძე 1982;
გამბაშიძე, კვიჯინაძე 1982a; გამბაშიძე და
დავლიანიძე 1984], კუშჩის [კუფtin 1948; გაგოშიძე 1982;
დავლიანიძე 1983], კარიაკის [დავლიანიძე
1983], კუმისის [დავლიანიძე 1977], კაცითავა-
ნას [აპაკიძე და დავით 1987], მცხეთის [აპაკიძე
და დავით 1978; აპაკიძე და დავით 1982], მარტაზისხ-
ევის [აფაქიძე და სხვ. 1955; ნარიმანიშვილი,
მანჯგალაძე 1989; აპაკიძე და დავით 1987], მუხ-
ათგვერდის [აპაკიძე და დავით 1982; აპაკიძე
და დავით 1982a], ნარეკვავის [აფაქიძე და სხვ. 1983;
აპაკიძე და დავით 1978; აპაკიძე და დავით 1978a],
ნასტაკისის [ნარიმანიშვილი 1990; ბოხოდაზე
1976; ბოხოდაზე 1977; ბოხოდაზე და დავით 1978;
ბოხოდაზე და დავით 1980; ბოხოდაზე და დავით 1981;
ბოხოდაზე და დავით 1982; ბოხოდაზე და დავით 1982a;
ბოხოდაზე და დავით 1982b], ხერონ-დერესის [გა-
გოშიძე 1975; გაგოშიძე 1982; კუფtin 1941],
სამთავროს [აფაქიძე და სხვ. 1955; აბრამიშ-
ვილი 1957; თოლორდავა 1963; თოლორდავა
1980; ნიკოლამიშვილი, მანჯგალაძე, ნარი-
მანიშვილი 2012], სამადლოს [გაგოშიძე 1967;
გაგოშიძე 1970; გაგოშიძე 1974; გაგოშიძე
1979; გაგოშიძე 1981]; სამადლოს მინების
[აპაკიძე და დავით 1987]; სანთის [გაგოშიძე 1982],
საყარაულო სერის [ჯინჯიხაშვილი 1980; ყაზ-
ახიშვილი 1980], ურბნისის [ზაქარაია 1965;
ქორიძე 1965], უფლისციხის [ხახუტამიშვილი
1964; ხახუტამიშვილი 1970], ქასრაანთ მი-
ნების [ბერაძე 1980], ღართისკარის [აპაკიძე
და დავით 1980; აპაკიძე და დავით 1985; აპაკიძე
და დავით 1982; აპაკიძე და დავით 1984; აპაკიძე
და დავით 1986; აპაკიძე და დავით 1987], ღრმახევისთავის
[აბრამიშვილი და სხვ. 1980], შავსაყდარას
[ბოხოჩაძე 1963; კვიუნიაძე 1973; კვიუნიაძე
1975], შულავერის [დავლიანიძე 1975], შორის
[ტყეშელაშვილი 1969], ჩხიკვთას [კვიუნიაძე
1973; კვიუნიაძე 1975], ცხრა-ძმის [ნარიმან-
იშვილი 1991], ციხედიდისხევის [გაგოშიძე

1975; Гагоидзе 1979; Апакидзе и др. 1987], ციხია-გორას [ცკიტშვილი 1977], წნისისხევის [კვიუშინაძე 1983; გამბაშიძე и др. 1984; გამბაშიძე и др. 1985], ნინამურის [აფაქიძე 1963; აპაკიძე и др. 1987], ხოვლეს [მუსხელიშვილი 1978] არქეოლოგიურ მასალებს. რაც შეეხება ნინამორბედი და მომდევნო პორქების თიხის ჭურჭელს ისინი არაერთ ნაშრომშია განხილული, თუმცა არც მათი სისტემური კვლევა განხორციელებულა დღემდე. ამდენად, კერამიკის შესწავლის ამგვარი მდგომარეობა ვერ ასახავს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ის თიხის ჭურჭლის განვითარების ტენდენციას, ტექნოლოგიურ და ტიპოლოგიურ ცვლილებებს. დღეისათვის არ არსებობს ისეთი ნაშრომი, რომელშიც შეჯამებულია ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ის თიხის ჭურჭლის შესახებ არსებული მონაცემები და ნაჩვენებია ამ ქრონოლოგიურ მონაკვეთში მიმდინარე ცვლილებები. ყოველივე ზემოთქმულის გამო, ნინამდებარე ნაშრომი ორიგინალურია. თუმცა, მის ძირითად საფუძვლად აღებულია ძვ.წ. V-I სს ქართლის კერამიკის საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგები [Нариманишвили 1991].

ნაშრომი ასევე ეყრდნობა იმ სტატიებსა და მონოგრაფიებს, რომლებიც გამოცემული იქნა შემდგომში [მაგ. ცქიტიშვილი 2003; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007; მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004; მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001; ნარიმანიშვილი, შატბერაშვილი 2002; Macharadze 2000; Narimanišvili 2000], ან ეხება იმ რეგიონებსა (მაგ. კახეთი) და ქრონოლოგიურ მონაკვეთებს, რომლებიც ქართლის ძვ.წ. V-I სს. კერამიკის კვლევის ფარგლებს სცილდებოდა. ასე მაგალითად - ძვ.წ. VII-VI სს. კერამიკის დახასიათებისა და ტიპოლოგიური რიგების შემუშავებისას ვეყრდნობით ხოვლეს [მუსხელიშვილი 1978] და ნარეკვავის [დავლიანიძე, სადრაძე 1993; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007] არქეოლოგიურ მასალებს. ახ.წ. I-III სს კერამიკა მცხეთის [აპაკიძე და 1980; აპაკიძე და 1985; აპაკიძე და 1986; ივაშენკო 1980; ნიკოლაიშვილი 1993; ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995], ურბნისის [ჭილაშვილი 1964], ნასტაკისის და აღაიანის [ბოხოჩაძე 1981; მირიანაშვილი 1983], უინგალის [უინგალი 1983; რამიშვილი და 1979: 108-120; რამიშვილი და 1984: 59-68; რამიშვილი 1985: 48-53; რამიშვილი 1987: 74-88; ჩიხლაძე 2015], ციხია-გორას [Macharadze 2000] ნამოსახლარებსა და სამაროვნებზე მოპოვებული თიხის ჭურჭლის ფორმებისა და დამზადების ტექნოლოგიის მიხედვით არის დახასიათებული. ადრეშუასაუკუნეების კერამიკა ლ.ჭილაშვილს [ჭილაშვილი 1964] და მ.სინაურიძეს [სინაურიძე 1966] აქვთ შესწავლილი. 2010 წელს აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. I ათასწლეულის კერამიკის შესახებ ვრცე-

ლი მონოგრაფია გამოაქვეყნა გერმანელმა მეცნიერმა ნადინე ლუდვიგმა, რომელმაც კვლევა ძირითადად, კახეთში აღმოჩენილი თიხის ჭურჭლის ტიპოლოგიური კლასიფიკაციის ფონზე ჩატარა [Ludwig 2010].

აღმოსავლეთ საქართველოს მატერიალური კულტურა მთელი რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ეს განპირობებული იყო როგორც საზოგადოების შიგნით მიმდინარე კულტურულ-ისტორიული პროცესებით, ისე მისი გეოგრაფიული მდებარეობით და კავშირით მეზობელ რეგიონებთან.

თიხის ჭურჭლის ფორმობრივ-ტიპოლოგიური დახასითებას ძირითადად დაეკვემდებარა ის კერამიკული ნიმუშები, რომლებიც არქეოლოგიური ძეგლების გათხრების შედეგად იქნა მოპოვებული, გამონაკლისის სახით განხილული გვაქვს შემთხვევით მოპოვებული მასალაც.

კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკაციისათვის აგებულია მკაცრი იერარქიული სქემა (ჯგუფი, სახე, ტიპი, ქვეტიპი, სახეობა, ქვესახეობა, ვარიანტი), რომელიც დაცულია ყველა სახის ჭურჭლის კლასიფიკირების დროს.

თიხის ჭურჭლის კლასიფიკაციას მკვლევარები სხვადასხვანაირად იძლევიან. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება ფორმის, დანიშნულების, შემკულობის, ფერის და სხვ. ნიშნების მიხედვით კლასიფირება. ჩვენ, ფუნქციის (დანიშნულების) მიხედვით თიხის ჭურჭლი ხუთ ჯგუფად დავყავით: სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამგზავრო, საზოგადოებრივ-სარიტუალო, რომლებშიც 27 სახის ჭურჭელი გამოვყავით.

ჩვენი მიზანია დიდ ქრონოლოგიურ მონაკვეთში (ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს) გავრცელებული კერამიკის ძირითადი ტიპოლოგიური რიგების შემუშავება, თიხის ჭურჭლის ფორმობრივი განვითარების, ან ახალი ფორმების გამოჩენის ტენდეციის დადგენა. ამის საფუძველზე კი დანაწევრებული ქრონოლოგიის შემუშავება და ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. არქეოლოგიურ ძეგლებზე გამოვლენილი ადგილობრივი კერამიკისათვის დამათარილებელი მნიშვნელობის მინიჭება.

აღმოსავლეთ საქართველოს თიხის ჭურჭლის ფორმობრივ-ტიპოლოგიური დახასითებას ძირითადად დაეკვემდებარა ის კერამიკული ნიმუშები, რომლებიც ზემოთ ნახსენები არქეოლოგიური ძეგლების გათხრების შედეგად იქნა მოპოვებული.

ქვემოთ მოცემულია ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. გავრცელებული კერამიკის ძირითადი ტიპოლოგიური რიგები, თიხის ჭურჭლის ფორმობრივი განვითარება, ან ახალი ფორმების გამოჩენის ტენდეციები. ფორმობრივ-ტიპო-

ლოგიური კლასიფიკის და ტიპოლოგიური რიგების თანხვედრის საფუძველზე ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფი გამოიყო. მათ გამოყოფას საფუძვლად დაედო ჭურჭლების ფორმა, ტექნოლოგია, შემკულობა. ფორმობრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკის შემდეგ გაირკვა თუ რომელი სახეობის და ტიპის ჭურჭლები გვხვდება ამა თუ იმ ქრონოლოგიურ ჯგუფში და როგორია მათი გავრცელება-განვითარების ხაზი. კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიურმა კლასიფიკიამ აღმოსავლეთ საქართველოს ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს-ის კერამიკაში ცხრა ქრონოლოგიური ჯგუფის გამოყოფის საშუალება მოგვცა:

1. ძვ.წ. VII – ძვ.წ. VI ს-ის პირველი ნახევარი;

2. ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი;

3. ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევარი;

4. ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისი;

5. ძვ.წ. III ს. – ძვ.წ. II ს-ის დასაწყისი;

6. ძვ.წ. II ს. – ძვ.წ. I ს-ის პირველი ნახევარი;

7. ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი – ახ.წ. II საუკუნე;

8. ახ.წ. III – IV ს;

9. ახ.წ. V - VII სს.

ამ პერიოდის კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგიური კლასიფიკისათვის გთავაზობთ იერარქიულ სქემას – ჯგუფი, სახე, ტიპი, ქვეტიპი, სახეობა, ქვესახეობა, ვარიანტი, ქვევარიანტი, რომელიც დაცულია ყველა სახის ჭურჭლის კლასიფიკიის დროს. ამასთან აღსანიშნავია, რომ საფუძვლიან კლასიფიკიას, როგორც ფორმობრივ-ტიპოლოგიური, ისე ქრონოლოგიის თვალსაზრისით, ექვემდებარება მხოლოდ ის სახეები, რომლებიც მრავალრიცხვანია და არსებობენ დიდი ხნის განმავლობაში (მაგ.: ქვევრები, დოქები და სხვ.). ზოგიერთი სახის ჭურჭლი თითო-ოროლაა აღმოჩენილი (მაგ.: მათარები, ოთხუთხაბაკოიანი ჭურჭლები და სხვ.) და ამდენად ძნელია ქრონოლოგიურ ჭრილში გავადევნოთ თვალი მათი ფორმის განვითარებას. ზოგიერთი ჭურჭლი კი მიუხედავად მრავალრიცხვებისა (მაგ.: ქოთნები, კოჭები), ძნელად ემორჩილება კლასიფიკიას. ეს ჭურჭლი დიდი ხნის განმავლობაში არსებობს და კონსერვატულობით გამოიჩინა. მათ შორის (სახეებს შიგნით) ფორმობრივი განსხვავება იმდენად მცირეა, რომ კვლევის დღევანდელ ეტაპზე ძნელია სრულყოფილი ფორმობრივი თუ ქრონოლოგიური დანანერება.

კერამიკის ფორმობრივ-ტიპოლოგი-

ური კლასიფიკია. ფუნქციის ანუ დანიშნულების მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს. დათარიღებული ჭურჭლები ხუთ ძირითად ჯგუფად იყოთა: სამეურნეო, სამზარეულო, სუფრის, სამგზავრო, საზოგადოებრივ-სარიტუალო. ამ ძირითად ჯგუფებში 27 სახის ჭურჭლი გამოიყო. ესენია:

სამეურნეო ჭურჭლი: I. ქვევრი; II. დერგი; III. სადღვებელი; IV. თაღარი; V. ლუთერია; VI. ძაბრი; VII. საწური; VIII. ჭრაქი.

სამზარეულო კერამიკა: IX. ტაფისებური ჭურჭლი; X. ქოთანი; XI. კოჭობი; XII. ქილა; XIII. ბადია; XIV. ხუფი; XV. ჩაფი.

სუფრის ჭურჭლი: XVI. დოქი, ხელადა; XVII. ტოლჩა/კათხა; XVIII. სასმისი; XIX. ლანგარი; XX. ჯამი; XXI. ფიალა; XXII. ლარნაკი; XXIII. ვაზა/თასი.

სამგზარო ჭურჭლი: XXIV. მათარა.

საზოგადოებრივ-სარიტუალო ჭურჭლი: XXV. ოთხუთხაბაკოიანი ჭურჭლი; XXVI. უყურო დოქები; XXVII. მილიანი დოქები.

სამეურნეო ჭურჭლი. ქართლის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამეურნეო ჭურჭლს სიმაღლის დიდი დიაპაზონი აქვს (ძაბრების გარდა, რომელთა სიმაღლე 10-15 სმ-ია). მათი ზომები 30 - 170 სმ-ს შორის მერყეობს.

I. ქვევრი (ტაბ. I-II). ქვევრის ძირითად დანიშნულებას ღვინის დაყენება, შენახვა წარმოდგენს. ამაზე მიუთითებს სამხრეთ კავკასიაში გათხრილი მარნების სიმრავლე. ქვევრს იყენებდნენ მარცვლეულის შესანახადაც. ამის დამადასტურებელია ის, რომ ზოგიერთი ქვევრის ძირზე, ზოგ შემთხვევაში გამოწვამდე, ზოგჯერ კი გამოწვის შემდეგ დატანილია ნახვრეტები. ამ მხრივ საინტერესოა სამადლოს არქ. ნამოსახლარზე აღმოჩენილი ქვევრი, რომლის ძირზეც გამოწვამდე გაკეთებულია ნახვრეტი. ეს ქვევრი ადრევე გატეხილა და შეუკეთებიათ. გადანატების ორივე მხარეს გაუკეთებიათ ნახვრეტები და როგორც ჩანს, თასმით გადაუბიათ. ასეთი ქვევრი კი მხოლოდ მარცვლეულის შესანახად შეიძლება გამოეყენებინათ. ქვევრებში შეიძლება მცენარეულ ზეთსაც ინახავდნენ. ლართისკარის ნამოსახლარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გათხრილ სამლოცველოში, ცენტრალური დარბაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში აღმოჩნდა 1/3-ზე იატაკში ჩადგმული ქვევრი. ის ხანძრის შედეგად ჩანს განადგურებული. აქ აღმოჩენილი თიხის ჭურჭლიდან მხოლოდ აღნიშნული ქვევრი იყო დამწვარ-დანახშირებული, განიდებული. ეს კი იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო, თუ ქვევრში მდგარი სითხე ხელს შეუწყობდა წვას. ასეთი,

ალბათ მცენარეული ზეთი იყო.

ქვევრებს აგრეთვე საზეიმო, თუ საზოგადოებრივ-სარიტუალო დანიშნულებითაც იყენებდნენ (მაგ. სამადლოს მოხატული ქვევრები). გარკვეულ ეტაპებზე (ძვ.წ. IV და ძვ.წ. I – ახ.წ. IV სს.) ზოგჯერ, ქვევრს მიჰვალებულის დასაკრძალავადაც იყენებდნენ.

უძველესი ქვევრის ტიპის ჭურჭლები ნეოლითის ეპოქიდან ჩნდება. რკინის ხანიდან (მაგ. ხოვლე ნამოსახლარის V ჰორიზონტი, ძვ.წ. XII – X სს.) აქ გვხდება უკვე ქვევრების ჩამოყალიბებული ტიპი. ხოვლეს ნამოსახლარზე ქვევრი პირველად VII ჰორიზონტშია (ძვ.წ. XIV ს.). აღმოჩენილი [მუსხელიშვილი 1978: 10-11, ტაბ. V, 265-61], დიდი მოცულობის ქვევრებიდან თითქოს უძველესია თბილისში, თრელიგორების ნამოსახლარზე გამოვლენილი ქვევრები, სადაც ისინი რკინის ფართო ათვისების ხანით (ძვ.წ. VII-VI ს-ის პირველი ნახევარი) თარიღდება [აბრამიშვილი, ჩიკლაშვილი და სხვ. 1974: 22-23]. თუმცა თრელიგორების ქვევრები, ჩვენი აზრით, ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარით და – V ს-ის დასაწყისით უნდა დათარიღდეს. ხოვლეს ნამოსახლარის VI ჰორიზონტიდან (ძვ.წ. XIII ს.) თითქმის ყველა ფენაში ქვევრების გვერდით დაფიქსირებულია ქოცოები [მუსხელიშვილი 1978: 16, 23, 34, 41]. ამდენად შეიძლება ითქვას, რომ I ქრონოლოგიურ ჯგუფში ქვევრების კლასიკური ნიმუშები არ გვხდება. ამ დროს გავრცელებული ქვევრის ტიპის ჭურჭლები ქოცოებს ნარმოადგენენ, რომლებიც მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის ქვევრებისაგან განსხვავებით მცირე ზომისაა.

ძვ.წ. VII – ახ.წ. VII სს ქვევრები ორ ძირითად ტიპად უნდა გაიყოს: 1. დაბალყელიანი და 2. მაღალყელიანი.

პირველი ტიპის ქვევრებისათვის დამახასიათებელია დაბალი ყელი, ფართო პირი, დაბრტყელებული ან მომრგვალებული და შესქელებული ქობა, გამოპერილი მხრები, დაქანებული კალთები და პატარა ბრტყელი ძირი. ქვევრის ქობის გაფორმების მიხედვით ორი ქვეტიპი შეიძლება გამოიყოს: 1. დაბრტყელებულქობიანი (მაგ. ნარეკვავი ჩარმანიშვილი 1991: კატ.№ 3); 2. მომრგვალებულქობიანი (მაგ. ხოვლე – G.N¹: კატ. № 30).

მეორე ტიპის ქვევრებისათვის დამახასიათებელია გადამლილი პირი, მაღალი ყელი, ვინორ ბრტყელი ძირი. ყველა ქვევრი კარგად განლექილი თიხისაა და მოწითალო მოვარდისფროდა გამომწვარი. ქვევრების ზედაპირი კარგადაა დამუშავებული

და გაპრიალებულია, გვხვდება მოხატული ცალები. ნახატი წითელი სალებავითაა შესრულებული. უმეტესწილად გამოსახულია მცენარეული ან გეომეტრიული ორნამენტი, ასევე ნადირობის სცენები. გვხდება მარტივი და რთული კომპოზიციები. მეორე ტიპში რამდენიმე ქვეტიპი გამოიყოფა: 1. ქვევრები, რომელთა ქობა ზემოდან დაბრტყელებულია და მიღებულია პირის შესქელებით. შემცულია მაღალი, რელიეფური ე.წ. თოკისებრი ორნამენტით (მაგ. ხოვლე, G.N.: კატ. № 29); 2. ქვევრის პირი გარეთ მკვეთრადაა გადაშლილი, ქობა გადაკეცილი და დახრილი აქვს ჰორიზონტული სიბრტყის მიმართ. მათი ერთი ნაწილი შემცულია რელიეფური ორნამენტით, რომლის რელიეფიც პირველი ტიპის ქვევრების ორნამენტთან შედარებით დაბალია. ზედაპირი ანგობირებული, გაპრიალებული და მოხატულია (მაგ. სამადლო, G.N.: კატ. № 2,4,25). მეორე ნაწილი მოკლებულია რელიეფურ და მოხატულ ორნამენტს. ყელზე ჭდეული ორნამენტითაა (მაგ. სამადლო, G.N.: კატ. № 1,13,21) ან ამ ორნამენტის გარეშეა (მაგ. სამადლო, G.N.: კატ. № 11). 3. ქვევრების ერთი ნაწილის ქობა პირიზონტალურია. მათ ქობის კიდე პროფილირებული (მაგ. სამადლოს მიწები, G.N.: კატ. № 17) ან დაკუთხული (სამადლოს მიწები – G.N: კატ. № 16,19) აქვთ, გვხდება შეთხელებულქობიანი ცალებიც (მაგ. სამადლო, G.N.: კატ. № 5,6,10,17-19,22). ზოგი ქვევრი კი მოხატულია (მაგ. უფლისციხე, სამადლოს მიწები, სამადლო, G.N.: კატ. № 9,16,20,25). 4. ამ ქვეტიპის ქვევრები (სამთავრო, G.N.: კატ. № 31) მესამე ქვეტიპის ქვევრების მსგავსია. თუმცა მათი ყელი დაბალია.

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე აგრეთვე გამოვლენილია ე.წ. კოლხური ქვევრები. მაგ. მცხეთასთან, შიომღვიმის მონასტრის სამხრეთით, გრძელ მინდორზე გაითხარა მარანი, რომელიც ძვ.წ. II ს. თარიღდება და ძირითადად შავად გამომწვარი, სქელკეციანი, დიდი ქვევრებისაგან შედგება. მათი ტანი რელიეფური ორნამენტითაა შემცული.

როგორც უკვე ითქვა, აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილ ქვევრებში ორი ძირითადი ტიპი გამოიყოფა – დაბალყელიანი და მაღალყელიანი. დაბალყელიანი ქვევრები ორ ქვეტიპად (დაბრტყელებულქობიანი და მომრგვალებულქობიანი) იყოფა. ამ ქვეტიპების ქვევრები გენეტიკურად თითქოს ნინამორბედი ხანის ქოცოებთან არის დაკავშირებული. დაბალყელიანი ქვევრები ძვ.წ. VII – VI ს-ის პირველ ნა-

¹ ქვევით მითითებული G.N.: ნიშნავს ჩარმანიშვილი 1991.

ხევარში (I ქრონოლოგიური ჯგუფი) თითქოს არ ჩანს, ისინი გამოჩენას იწყებენ ამ პერიოდის ბოლოს და ძირითადად ძვ.წ. VI ს-ის მეორე ნახევარსა და IV ს-ის პირველ ნახევარშია (II-III ქრონოლოგიური ჯგუფები) გავრცელებული.

უძველესი დაბალყელიანი ქვევრები ხოვლეს და ნარეკვავის ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი. ისინი დამზადებულია მსხვილ-მარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია მუქად – ნაცრისფრად, ან წაბლისფრად. კეცი ხშირად არათანაბრადაა გამომწვარი, ზედაპირი ხაოიანია. ამ ტექნონოლოგით დამზადებული ქვევრები მხოლოდ ძვ.წ. VI-V სს-შია გავრცელებული და შემდეგ ქრონოლოგიურ ჯგუფებში აღარ გვხვდება.

დაბალყელიანი ქვევრები ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარშიც (IV ქრონოლოგიური ჯგუფი) გვხდება (თეთრიწყაროს, ციხიაგორას, დაჭრილების არქეოლოგიურ ძეგლებზე), თუმცა ისინი ნარეკვავსა და ხოვლები აღმოჩენილი ქვევრებისაგან განსხვებული ტექნოლოგითაა დამზადებული. ამის გარდა, ქობის გაფორმებითაც განსხვავდებიან. „დაჭრილების“ ქვევრების პირი უფრო გადაშლილია და ქობა დახრილია, პირის დიამეტრიც ყელთან შედარებით გაცილებით დიდია, ვიდრე უხეშკეციანი ქვევრებისა (ნარეკვავი, ხოვლე, თრელიგორები), რომელთა პირის და ყელის დიამეტრი თითქმის თანაბარია. ამდენად, დაჭრილების ქვევრები ძვ.წ. VI-IV სს. (II-III ქრონოლოგიური ჯგუფი) ამ ტიპს ქვევრებისაგან ფორმითაც განსხვავდება და ქობის გაფორმებითაც. დაჭრილების სამაროვნის დაბალყელიანი ქვევრები ნარეკვავის და ხოვლეს ამ ტიპის ქვევრებისაგან ტექნოლოგიურად განსხვავდებიან. „დაჭრილების“ სამაროვანზე დაბალყელიან ქვევრებთან ერთად [ნარიმანიშვილი, მახარაძე 2010] ჩნდება მაღალყელიანებიც. ისინი ციხიაგორაზევე და ქართლის სხვა ძეგლებზე აღმოჩენილი მეორე ტიპის, მაღალყელიანი ქვევრების მსგავსია და მომდევნო ქრონოლოგიური ჯგუფის ქვევრებთან იჩენს სიახლოვეს.

დაბალყელიანი ქვევრები ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისში (V ქრონოლოგიური ჯგუფი) (სამადლოს, ნასტაკისის, ციხიაგორას არქეოლოგიურ ძეგლებზე) მცირე რაოდენობითაა. ამ პერიოდში დაბრტყელებული და მომრგვალებული ქობა მხოლოდ ქოცოებს აქვს (სამადლო, ნასტაკისი, ციხიაგორა), ქვევრების პირები კი დაჭრილების სამაროვნის პირველი ტიპის ქვევრების ანალოგიურია. დაბალყელიანი, დაბრტყელებულებიანი და მომრგვალებულებიანი ქვევრების რაოდენობა ძვ.წ. II-I ს-ის I ნახევარში (VI ქრონოლოგიური ჯგუფი) კვლავ იზრდება. ისინი კარგად გან-

ლექილი თიხისაგანაა დამზადებული და თანაბრად, მოწითალოდაა გამომწვარი, გვევდება მოჩალისფრო ეგზემპლარებიც (ნასტაკისი, აღაიანი, მცხეთის არქეოლოგიური ძეგლები).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში მეორე ტიპის მაღალყელიანი ქვევრების რაოდენობა იკლებს, ისე, რომ ძვ.წ. I-ახ.წ. II ს-ში (VII ქრონოლოგიური ჯგუფი) ისინი პრაქტიკულად აღარ გვხვდება. VII ქრონოლოგიური ჯგუფის ქვევრებს უკვე დაბალი ყელი და ბრტყელი შესქელებული ქობა აქვთ (მაგ. VII ქრონოლოგიურ ჯგუფს მიეკუთვნება წინამური III სამაროვანზე და ნამოსახლარზე გათხრილი ქვევრები [ნიკოლაიშვილი, ნარიმანიშვილი 1995]).

მეორე ტიპის ქვევრებში განვითარების გარკვეული ხაზი შეინიშნება. მათი ყელის სიმაღლე თანდათან დაბლდება, რასაც თან სდევს ქობის ჯერ გათხელება-გადაკეცვა, შემდეგ მისი გასწორება. ამასთან აღსახიშნავია, რომ, თუ ადრეული, ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარისა და ძვ.წ. III ს-ის ქვევრების მაქსიმალური დიამეტრი ჭურჭლის შუა ნაწილზე მოდის, მოგვიანებით (ძვ.წ. II – ძვ.წ. I ს-ის I ნახევარი) ის ყელისკენ იწევს და ამდენად ქვევრებს მხრები უჩნდება, რითაც თითქოს ემსგავსება პირველი ტიპის ქვევრებს, თუმცა მეორე ტიპის ქვევრების ეს ჯგუფი წინამორბედებისაგან განსხვავდება თიხის სტრუქტურით, კეცის გამოწვით, კეცის სისქით და ქობის გაფორმებით. მეორე ტიპის ქვევრები ფართოდ ვრცელდება ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისში. მეორე ტიპის ქვევრების ყელი რელიეფური სარტყელებითაა შემკული და მოხატულია.

ძვ.წ. II-I ს-ის I ნახევარში უმეტესწილად სადა, უორნამენტო ცალები გვხვდება. ქვევრების ეს ტიპი ძვ.წ. I ს-ის II ნახევარსა და ახ.წ. II ს-შიც განაგრძობს არსებობას. თუმცა ამავე დროს შემოდის დაბალყელიანი, პირბრტყელი ქვევრები, რომლებსაც ე.წ. კვერცხისებური ფორმა აქვს და ეს ტიპი ხდება წამყვანი წელთაღრიცხვათა მიჯნიდან. ამ ტიპის ქვევრები გვიანანტიკური ხანისათვის არის დამახასიათებელი. საწყის ეტაპზე ქვევრების ტანი თითქმის უორნამენტოა. მოგვიანებით ქვევრების კორპუსზე თანდათან ჩნდება რელიეფური სარტყელები. VIII-IX ქრონოლოგიური ჯგუფების ქვევრებს ასეთი სარტყელები დიდი რაოდენობით ამკობს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სარტყელები ორნამენტს კი არ წარმოადგენს, არამედ ქვევრის დამზადების პროცესთან არის დაკავშირებული. ამ ტიპის ქვევრების ახ.წ. III-VII საუკუნეებში (VIII და IX ქრონოლოგიურ ჯგუფები) გაბატონებული მდგომარეობა უკავია. თუმცა ამავე დროს ჩნდება სრულიად განსხვავებული ფორმის ჭურჭლები, რომლებსაც წაგრძელე-

ბული ტანი, ე.ნ. თითისტარისებური ფორმა აქვთ და მათი ტანი რელიეფური სარტყლებითაშემეცული. IX ქრონოლოგიური ჯგუფის ქვევრების თიხა წინამორბედებთან შედარებით უფრო მსხვილმარცვლოვანია, კეცი ხმირად არათანაბრადაა გამომწვარი – ზედაპირი ყავისფერი ან წაბლისფერია, გადანატეხში კი შავი ან წაცრისფერი. ქვევრების ტანითოვებური ან ქედისებური რელიეფური სარტყლებითაა შემცული. ეს ორნამენტი წინა ქრონოლოგიური ჯგუფებისთვისაცაა დამახასიათებელი, თუმცა ყველა ქვევრი არ არის ასე შემცული; IX ქრონოლოგიური ჯგუფის თითქმის ყველა ქვევრს კი რელიეფური სარტყელი აქვს (ნასტაკისი, ძალისი, მცხეთა და სხვ.).

II. დერგი (ტაბ. III-IX). დერგი სამეურნეო ჭურჭლის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობაა. მას, ალბათ ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესანახად იყენებდნენ [Нариманишвили 1991: 15-18]. დერგების უმრავლესობა ნამოსახლარებზეა ალმოჩენილი და ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი, ამიტომ მათი სრული ფორმის წარმოდგენა ჭირს. სამარხებში დერგი (ზოგიერთი ტიპის გამოკლებით) ჩვეულებრივ არ გვხდება. შეიძლება ნამოსახლარის სუსტად შესწავლა იყოს მიზეზი იმისა, რომ დერგების ფორმების განვითარებაში შეიმჩნევა წყვეტილი.

დერგებში გამოიყოფა სამი ტიპი: 1. ქვევრისებური; 2. ორყურა, გადაშლილპირიანი დერგები; 3. პირსწორი, პირმოყრილი დერგები.

თითოეული ტიპის დერგს, როგორც ჩანს, სხვადასხვა წარმომავლობა აქვს. ფორმით ისინი ერთმანეთისგან არსებითად განსხვავდებიან. მათ ერთად მხოლოდ იმიტომ განვიხილავთ, რომ ერთგვაროვანი ფუნქცია გააჩნიათ. ფორმების განსხვავება შესაძლებელია იმით არის გამოწვეული, რომ დერგების პირველი ტიპი სტაციონარულია – წანილობრივ მინაშიც იღგმებოდა. მეორე და მესამე ტიპის დერგები კი გადასაადგილებელია და მათ ყურები აქვთ. სამივე ჯგუფის დერგს ფართო პირი და ბრტყელი ძირი არს. პირველი და მესამე ტიპის დერგები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, კარგად გამომწვარი და ღია ფერის კეცი აქვს. მათი ერთი წანილი მოხატულიცაა. მეორე ტიპის დერგები უმეტესწილად უხეშკეციანია რუხი ფერის კეცი აქვს.

პირველი ტიპის ქვევრისებური დერგები ფორმით თითქმის არ განსხვავდებიან ქვევრებისგან, მხოლოდ ზომით არიან პატარები და უფრო ფართო ძირი აქვთ ვიდრე ქვევრებს. ამ ტიპის დერგებში ორი ქვეტიპი უნდა

გამოიყოს: 1. დაბალყელიანი და 2. მაღალყელიანი.

დაბალყელიანი ქვეტიპის დერგებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, მომრგვალებული ქობა, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი. ასეთი დერგები განსახილველი პერიოდის მთელ მანძილზე გვხვდება და გენეტიკურად წინამორბედი ხანის მსგავს ჭურჭლებს უკავშირდებიან. ისინი ახლო მსგავსებას პოულობენ პირველი ტიპის ქვევრებთან, მათი თანადროული არიან და მათ შემდეგაც აგრძელებენ არსებობას.

I-III ქრ. ჯგუფების დაბალყელიანი დერგები, დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, რუხად ან მოჩალისფროდ (წარეკვავი, ხოვლე, ნასტაკისი და სხვ.). მათ გადაშლილი პირი, მომრგვალებული ქობა, გამოზიდული მხრები ან მუცელი და ბრტყელი ძირი აქვთ (მუსხელიშვილი 1978; სადრაძე, დავლიანიძე 1993; დავლიანიძე 1985; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007)..

III-VII ქრონოლოგიური ჯგუფის დაბალყელიანი დერგები გამომწვარია როგორც მუქად, ისე მოვარდისფროდ. მუქეციანი ცალები გვხვდება როგორც ხაოიანზედაპირიანი (უფლისციხე, სამადლო, G.N.: კატ. №. 32, 47, 48, 52, 53, 61, 65, 71, 72, 78, 79, 80, 88, 90), ისე გაპრიალებულზედაპირიანი (G.N.: კატ. № 43-46, 50, 51, 56, 67, 68, 76, 82, 83, 86-87, 89, 91, 92, 94, 95, 100, 109) და ანგობირებული (G.N.: კატ. № 49, 65, 108). მოვარდისფროკეციანები გვხვდება - ხაოიანზედაპირიანი (G.N.: კატ. №. 33, 62, 63, 69, 73, 81, 99, 102, 105), ანგობირებული (G.N.: კატ. № 42, 55, 57, 60, 74, 75, 96, 98, 101, 103, 104, 107), გაპრიალებულზედაპირიანი (G.N.: კატ. № 59, 77, 84, 111), შეღებილი (G.N.: კატ. № 93) და თეთრი ანგობით მოხატული (ციხია-გორა, G.N.: კატ. № 70). ეს ორი უკანასკნელი შეიძლება ქოთნის ნატეხებს წარმოადგენდეს. დაბალყელიანი ქვევრისებური დერგები ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში გვხდება. ამ სახეობის ჭურჭლები თითქოს, ძვ.წ. IV ს-ის მეორე წარევრსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში არ ჩანს. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს ალბათ იმით უნდა აიხსნას, რომ ამ პერიოდის ნამოსახლარები ქართლში ჯერჯერობით გათხრილი არ არის.

III-VII ქრონოლოგიური ჯგუფის მაღალყელიანი დერგებისათვის დამახასიათებელია ფართო პირი, პორიზონტალური, დაკუთხული ან შეთხელებული ქობა და მაღალი ყელი. ყველა მათგანი ძვ.წ. II – I ს-ის პირველ წანები თავსდება. მიგვაჩნია რომ ისინი მაღალყელიანი ქვევრების მიხედვით არიან დამზადებული. პორიზონტალური და დაკუთხული ქობა დამახასიათებელია მეორე ტიპის დერ-

გებისთვისაც, რომლებიც ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში თავსდება. ეს კი გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ ქობის ამგვარი გაფორმება ძირითადად ელინისტურ ხანაში, ძვ.წ. III-I სს-შია გავრცელებული და ახ.წ. II საუკუნემდე გვხვდება.

ქვევრისებური ტიპის, მაღალყელიან დერგებში გვხვდება, როგორც მუქად, ისე მოვარდისფროდ გამომწვარი ცალები. მუქად გამომწვარი ცალები არის როგორც გაუპრიალებელი (G.N.: კატ. № 27), ისე გაპრიალებული (G.N.: კატ. №. 14, 15, 24, 36) და ანგობირებული (G.N.: კატ. №. 28, 115) ზედაპირით. მოვარდისფროდ გამომწვარ დერგებში გვხვდება როგორც ხაოიანზედაპირიანი (G.N.: კატ. №. 34, 35, 39, 41) ისე ანგობირებული (G.N.: კატ. №. 23) და მოხატული (G.N.: კატ. №. 12, 37). ამავე ტიპს მივაკუთვნეთ დერგი (G.N.: კატ. №. 115), რომელიც მკვეთრად განსხვავდება დანარჩენებისაგან. იგი დამზადებულია განლექილი თიხისაგან, გამომწვარია შავად, ზედაპირი „სარკისებურად“ არის გაპრიალებული და შეკრული პირიზონტალური და ვერტიკალური რელიეფური ხაზებით. ამ ნიშნებით იგი ძვ.წ. II - I ს-ის პირველ ნახევარში გავრცელებული, მსგავსი ტექნოლოგიით დამზადებული და გაფორმებული ჭურჭლების ანალოგიურია. ეს დერგი პირობითად მივაკუთვნეთ მაღალყელიანი დერგების ტიპს. სინამდვილეში იგი შეიძლება სხვა წარმომავლობის იყოს, ისევე როგორც მთლიანად სარკისებრად გაპრიალებული კერამიკა.

მეორე ტიპს მიეკუთნება ორყურა დერგები, რომლებშიც პირისა და ყელის ფორმით ორი ქვეტიპი გამოიყოფა: 1. ფართოპირიანი და 2. ვიწროპირიანი.

ფართოპირიანი დერგების ორი სახეობა გვხვდება: 1. სფერულტანიანი (G.N.: კატ. №. 111) და 2. წაგრძელებულტანიანი (G.N.: კატ. №. 112). სფერულტანიანი დერგები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისაგან და მონითალოდაა გამომწვარი. წაგრძელებულტანიანი დერგები დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია არა-თანაბრად, უმეტეს შემთხვევაში რუხად. ასეთები ხშირად სამარხებად გამოიყენებოდა ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი - ახ.წ. II საუკუნეში (მაგ.: ნასტაკისი, წინამური, ურბნისი და სხვ.). წაგრძელებულტანიანი დერგები ძვ.წ. VII - ახ.წ. VII საუკუნეში გვხვდება. წაგრძელებულტანიანი დერგების პროტოტიპები ძვ.წ. XII-VI სს. ძეგლებზე გვხვდება [იხ. კალანდაძე 1982: ნახ. 33, 109, 149, 229; აბრამიშვილი და სხვ. 1980: ნახ. 74-13, 14; 170-428, 171-433]. ამ ქვეტიპის დერგები რკინის ფართო ათვისების ხანის უშუალოდ მომდევნო პერიოდში, ჯერჯერობით არ ჩანს, ალბათ, სათანადო წამოსახლარების შეუსწავლელობის გამო. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ მათი განვითარების ხაზზე გვიანბრინჯაოდან გვიანანტიკური ხანის ჩათვლით. ისინი ერთმანეთისაგან ტექნოლოგიით განსხვავდებიან. ძვ.წ. XII-VI სს ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია შავად ან მონაცრისფროდ. ანტიკური ხანის ცალები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, გამომწვარია მოვარდისფროდ. მათ შორის ადრეული ცალები მოხატულია, მოგვიანო კი საერთოდ ორნამენტის გარეშეა. გვიანანტიკური ხანის ცალებს პირი უფრო ფართო და ყელი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე ადრეულებს.

ლი თიხისაგან და მონითალოდაა გამომწვარი. ასეთი ტიპის დერგები ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს. ქართლის კერამიკაში იშვიათად გვხვდება და მხოლოდ ნამოსახლარებზეა აღმოჩენილი.

III-VII ქრონოლოგიური ჯგუფის წაგრძელებულტანიანი დერგები დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, გამომწვარია არათანაბრად, უმეტეს შემთხვევაში რუხად და ჩვილი ბავშვების დასაკრძალვად გამოიყენებოდა. ასეთი სამარხები კი ძირითადად ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარი - ახ.წ. II საუკუნეში გვხვდება (ნასტაკისი, წინამური [Hариманншвили 1991: 17], ურბნისი [ჭილაშვილი 1964: 44, ტაბ. XII-2] და სხვ.). წაგრძელებულტანიანი დერგები ვიწროპირიანი, გამოყვანილყელიანი, ბრტყელიანი ჭურჭლებია, რომელთაც მუცელზე 2-2 ყური აქვთ მიძერნილი (G.N.: კატ. №. 119, 114, 116), ამგვარი დერგების ზოგიერთი ეგზემპლარი თეთრი ანგობის კონცენტრული ხაზებითაა მოხატული (G.N.: კატ. №. 113, 114). ყველა მათგანი მოვარდისფროდ არის გამომწვარი.

წაგრძელებულტანიანი დერგები ძვ.წ. VII - ახ.წ. VII საუკუნეების მანძილზე ძირითადად ძვ.წ. III - I საუკუნეებში გვხვდება, თუმცა მოხატული ცალები თითქოს უფრო ადრეული ჩანს. ასეთი დერგები ახ.წ. III-VII სს. ძეგლებზეც არის აღმოჩენილი. ამ პერიოდის ჭურჭლებს ყურები ძირითადად პირსა და მხარზე აქვთ მიძერნილი, ყელზე ორი ან სამი წიბო შემოუყვება. ძირი კი ფართო და ბრტყელი აქვთ.

წაგრძელებულტანიანი დერგების პროტოტიპები ძვ.წ. XII-VI სს. ძეგლებზე გვხვდება [კალანდაძე 1982: ნახ. 33, 109, 149, 229; აბრამიშვილი და სხვ. 1980: ნახ. 74-13, 14; 170-428, 171-433]. ამ ქვეტიპის დერგები რკინის ფართო ათვისების ხანის უშუალოდ მომდევნო პერიოდში, ჯერჯერობით არ ჩანს, ალბათ, სათანადო წამოსახლარების შეუსწავლელობის გამო. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება ვილაპარაკოთ მათი განვითარების ხაზზე გვიანბრინჯაოდან გვიანანტიკური ხანის ჩათვლით. ისინი ერთმანეთისაგან ტექნოლოგიით განსხვავდებიან. ძვ.წ. XII-VI სს ჭურჭელი დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისაგან, გამომწვარია შავად ან მონაცრისფროდ. ანტიკური ხანის ცალები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული, გამომწვარია მოვარდისფროდ. მათ შორის ადრეული ცალები მოხატულია, მოგვიანო კი საერთოდ ორნამენტის გარეშეა. გვიანანტიკური ხანის ცალებს პირი უფრო ფართო და ყელი უფრო დაბალი აქვთ, ვიდრე ადრეულებს.

მეორე ქვეტიპის, ვიწროპირიანი დერგები განსახილველი ქრონოლოგიური მონაკვეთის მთელ მანძილზე გვხვდება. თუმცა, I-II ქრ-

ნოლოგიურ ჯგუფებში ისინი ყველაზე დიდი რაოდენობითაა გავრცელებული.

ამ ქვეტიპის დერგები დამზადებულია განლექილი თიხისგან, გამომწვარია მონაცრის-ფრიდ ან შავად. ზედაპირი ხშირ შემთხვევაში გაპრიალებულია და ამოღარული ორნამენტითაა შემკული. უმეტესობა სფერულ-მუცლიანია.

მესამე ტიპის დერგები, პირველი ორი-საგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ მათ სწორი, ოდნავ შიგნით გადასრილი პირი აქვთ. ასეთ ჭურჭლებს ყელი კი არა აქვთ, არამედ პირის შევიწროვებით წარმოქმნილი მუხლი გააჩნიათ, რომელიც ტაფისებრი ხუფისათვის (G.N.: კატ. № 292, 293, 299-303) არის განკუთვნილი (G.N.: კატ. № 119-122). ამ ტიპის დერგების უძველესი ეგზემპლარები (G.N.: კატ. № 121, 122, 581, 582) სამადლოს ნაქალაქარზეა აღმოჩენილი [გაგოშიძე 1979: 89] და ძვ.ნ. III — II საუკუნის დასაწყისით თარიღდებიან. მათ სახესხვაობას უნდა წარმოადგენდნენ უფლისციხეში აღმოჩენილი ცალები (G.N.: კატ. № 117-119), რომლებიც სამადლოში აღმოჩენილი დერგების ტიპის განვითარებას წარმოადგენენ. მათი თარიღი ძვ.ნ. II-I ს-ის პირველი წარმომადლობა უნდა განისაზღვროს. ასევე თარიღდება დართისკარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გამოვლენილი ამ ტიპის დერგები, რომელთა პირის დმ. 30-35 სმ-ია [ნიორაძე 1940: 10, ტაბ. XXV-5]. ტიპოლოგიურად ამ ტიპის დერგების მსგავსია ერთი ქოთანი (G.N.: კატ. № 290), რომელიც ძვ.ნ. I საუკუნის მეორე წარმომადლობა და ახ.ნ. II საუკუნით თარიღდება. ამ ტიპის ყველა დერგი, ჩვენი აზრით, ორყურა უნდა ყოფილიყო. სამადლოში აღმოჩენილი ყველა ასეთი ჭურჭელი მოხატულია, რაც აღბათ, მათ განსაკუთრებულ დანიშნულებაზე მიუთითებს. როგორც ამ ტიპის ჭურჭელზე დაკვირვება გვიჩვენებს, ისინი ზომით თანდათან პატარავდებიან და ძვ.ნ. I საუკუნის მეორე წარმომადლობა და ახ.ნ. II საუკუნეში ისინი ქოთანების სახით არიან წარმოდგენილი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის დერგებმა ფართო გავრცელება ვერ ჰქონდა.

III. სადლვებელი (ტაბ. X) ძირითადად კარაქის დასამზადებლად გამოიყენება. ამ მიზნით უძველესი დროიდან სხვადასხვა მასალისაგან (ტყავი, ხე, თიხა, ლითონი) დამზადებულ სადლვებლებს იყენებდნენ. საქართველოში თიხისაგან დამზადებული სადლვებლები მხოლოდ I-II ქრონოლოგიურ ჯგუფებში და უფრო ადრეა გავრცელებული, შემდეგში, ახ.ნ. VII საუკუნის ჩათვლით ისინი აღარ გვხვდება. თიხის სადლვებლებს გადაშლილი და განიერი პირი, მკვეთრად გამოპერილი მხრები, დაქანებული კალთები და ვიწრო ძირი აქვთ. ამ პერიოდში

გვხდება ორყურა, ცალყურა, იშვიათად უყურო სადლვებლები.

IV. თაღარი (ტაბ. XI). თაღარი (ისარნა) ძირითადად მეღვინეობასთან დაკავშირებული დიდი ზომის ჭურჭელია. თაღარი უმეტესწილად მარანში საწნახელის წინ არის გამართული და საწნახელიდან მომდინარე წვენის ჩასასხმელად და შემდეგ ქვევრებში გასანაწილებლად არის განკუთვნილი [მასალები... 1979: 148]. თაღარი, აგრეთვე გამოიყენებოდა საღებავის ან მარცვლეულის გადასატანად. „მეჭურჭლენი ქაშანურის მისაღებად მასში ასხამდენ დაფქვილი ბროლის, შუშისა და ტყვიის ნაერთს [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი 1955: 350; ზანდუკელი 1982: 37]. გზანდუკელს შეტანილი აქვს პურეულისათვის განკუთვნილი ჭურჭლის რიგში [ზანდუკელი 1982: 37]. ამ მხრივ საინტერესოა ღართისკარის სასიმაგრო სისტემის შიდა ტერიტორიაზე გათხრილი ნისქვილი, სადაც დადასტურდა იატაკში ნახევრამდე ჩადგმული ორი დიდი ზომის თაღარი, რომლებშიც ფქვილი ან ხორბალი იყრებოდა ან ერთში ხორბალი, მეორეში ფქვილი. თაღარს მარცვლეულის საწყაოდაც იყენებდნენ.

თაღარს ახასიათებს ფართო, ოდნავ გადაშლილი პირი, თითქმის ვერტიკალური კალთები და პატარა ბრტყელი ძირი. თაღარები არც თუ ისე დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი. ისინი ფორმით დიდად არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. მცირე განსხვავება შეინიშნება მხოლოდ ქობის გაფორმებაში. ამ იშნის მიხედვით თაღარები ორ ტიპად იყოფა.

პირველი ტიპის თაღარებს გადაკეცილი ქობა აქვთ. მათ შორის გვხვდება თაღარები შეთხელებული და მომრგვალებული ქობით (G.N.: კატ. № 186), თანაბრად შემსხვილებული და მომრგვალებული ქობით (G.N.: კატ. № 192) და დაკუთხული ქობით (G.N.: კატ. № 188). მეორე ტიპის თაღარებისათვის ჰორიზონტალური ქობაა დამახასიათებელი, რომელთა ერთ ნაწილს დაკუთხული ქობა (G.N.: კატ. № 184, 187, 189, 190, 192), მეორე ნაწილს პროფილირებული (G.N.: კატ. № 185), მესამე ნაწილს კი შესქელებული, მომრგვალებული ქობა აქვს [ცკიტიშვილი 1977: 91, სურ. 4-1].

თაღარების პირის დმ 30 სმ-დან 150 სმ-მდე მერყეობს. მაგ.: ციხიაგორაზე გამოვლენილი ამ ტიპის ყველაზე პატარა ჭურჭლის პირის დმ 30 სმ-ია, უდიდესისა კი 140 სმ-ს უდრის, უფლისციხისა და დედოფლის მინდვრის – 80-90 სმ., სამადლოს ცალებისა 100-150 სმ-ს შორის მერყეობს (G.N.: კატ. № 189). სიდიდის მიხედვით ჭურჭლებს სამი (კატ. № 186), ან ორი ჰორიზონტული ყური (G.N.: კატ. № 192) აქვთ. ყველა მათგანი დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდის-

ფროდ და მოხატულია წითელი საღებავით.

თაღარის მაგვარი ჭურჭლები, გადმოსაღვრელთანი დიდი ზომის ბადიები და ჯამები, აღმოჩენილია ხოვლეს ნამოსახლარის III და II ჰორიზონტებში [მუსხელიშვილი 1978: 47-48 1284-2-S; გვ. 55, 1305-S]. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ ამ ტიპის ჭურჭლები ძვ.წ. VII-VI სს-შიც უნდა იყოს გავრცელებული. თუმცა, ამ პერიოდისათვის უფრო ისეთი ბადიებია დამახასიათებელი [მაგ. ნარეკვავის ნამოსახლარზე და სამაროვანზე – დავლიანიძე, სადრაძე 1993: ტაბ. XXXI-1,7, XXXII-7, X-7; II-2, XI-2; ნიკოლაიშვილი, გავაშელი 2007: III-1282, X-1359], რომელსაც ქობის ძირში სითხის გადმოსაღვრელი მიღი (სადინარი) აქვთ დატანებული. ასეთი ტიპის ბადიებს ხშირად ორი ყური აქვთ. ძვ.წ. VII-VI საუკუნების გადმოსაღვრელთანი და ორყურიანი ბადიები კი ქართლის ანტიკური ხანის ძეგლებზე აღმოჩენილ ლუთერიუმის ტიპის ჭურჭლებს უფრო გავს და არა დიდი ზომის თაღარებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ სახეობის ჭურჭლებს შორის რაიმე გენეტიკური კავშირი არ ჩანს.

ყველა თაღარი, გარდა ხოვლესი და დედოფლის მინდვრისა (G.N.: კატ. № 192), ძვ.წ. IV-III სს. არის დათარიღებული [გაგოშიძე 1981: 19,26,33; ცკიტიშვილი 1977: 87,90; ხახუტაიშვილი 1970: 87,128]. თვით ჭურჭლების ფორმის განვითარებაზე დაკვირვებით გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მათ შორის უძველესია პირველი ჯგუფის ჭურჭლები, რომელებიც ძვ.წ. III ს-ის დასაწყისსა და ძვ.წ. II ს-ის დასაწყისს შორის უნდა მოთავსდეს. შემდეგ ხდება ქობის თანდათან გასწორება და ჭურჭლის ზომების შემცირება, ისე რომ ძვ.წ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.წ. II საუკუნეში გვხვდება ჰორიზონტულ და დაკუთხულებიანი, შედარებით პატარა ზომის ჭურჭლები (G.N.: კატ. № 192), რომელებიც სამადლოს ნაქალაქარზე გამოვლენილი კრატერების გვიანდელ რეპლიკას ნარმოადგენენ. შემდეგ ხანაში კი, ჩვენს მიერ განხილული თაღარის ტიპი საერთოდ აღარ ჩანს.

V. „სარძევე ჭურჭელი“/ლუთერიუმი (ტაბ. XII) დიდი ზომის ბადიისებური ჭურჭლია, რომელსაც გადმოსაღვრელი აქვს. ძირითადად გამოიყენებოდა სითხის და მარცვლეულის ამოსაღებად, ასევე ერთი რეზერვუარიდან მეორეში გადასატანად. ასეთი ჭურჭლების პირის დიამეტრი 30 – 50 სმ-ს უდრიდა. ამ ზომის ლუთერიუმებს უნიდებენ სარძევე ჭურჭლებს. თუმცა, გვხდება უფრო დიდი ზომის ჭურჭლებიც. ლუთერიუმი/სარძევე ჭურჭლი ძირითადად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და კარგადაა გამომწვარი. მას ფართო, მოყრილი პირი, მაღალი

და დაქანებული გვერდები და დიდი, ბრტყელი ძირი აქვს.

ძვ.წ. VII - ახ.წ. VII სს-ში გადმოსაღვრელის მიხედვით ორი ტიპის ლუთერიუმია გავრცელებული. პირველი ტიპის ჭურჭლებს გადმოსაღვრელი პირს ქვემოთ აქვს დატანილი და მიღის ფორმა აქვს. მეორე ტიპის ჭურჭლების გადმოსაღვრელი ქობაზეა გაფორმებული და პირის გაგრძელებას ნარმოადგენს. ასეთ გადმოსაღვრელებს ღარისებული ფორმა აქვთ.

პირველი ტიპის ჭურჭლები განსახილველი პერიოდის მთელ მანძილზე გვხდება. თუმცა, მათ I და II ჰორიზონტული ჯგუფების მანძილზე გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ. შეიძლება ითვას, რომ დროის ამ მონაცემთში მეორე ტიპის ჭურჭლები პრაქტიკულად არ გვხდება. ეს უკანასკნელი მხოლოდ III ჰორიზონტული ჯგუფის მიწურულს, უფრო კი, IV ჰორიზონტული ჯგუფში იჩენს თავს და მოკლე ხანში გაბატონებულ მდგომარეობას იკავებს.

VI. ძაბრი (ტაბ. XI) ქართლში თიხის სულ ორი ძაბრია აღმოჩენილი. ერთი ხოვლეს ნამოსახლარის I ჰორიზონტს მიეკუთვნება [მუსხელიშვილი 1978: 59, ტაბ.IX-1431] და ძვ.წ. IV ს-ით თარიღდება, მეორე კი ნარეკვავის ნამოსახლარის II ჰორიზონტშია აღმოჩენილი [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 47, ტაბ. XXXIV-10, XXXIX-5] და გამთხრელების მიერ ძვ.წ. VII საუკუნის მიწურულით და ძვ.წ. VI საუკუნით თარიღდება [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 65]. ჩვენ ეს უკანასკნელი ძვ.წ. VI-V სს-ით გვაქვს დათარიღებული [ჩარიმანიშვილი 1991: 20]. ორივე მათგანი დამზადებულია მინარევებიანი თიხისაგან, ხელითაა გამოძერნილი, გამომწვარია მონაცრისფრო-მოვარდისფროდ. მათ ფართო, ოდნავ მოყრილი პირი და მრგვალი მიღი აქვთ.

VII. საწური. სამეურნეო და სამზარეულო დანიშნულების ნივთია. გამოიყენებოდა თხევადი მასის გასაფილტრად. თიხისაგან დამზადებული ასეთი ჭურჭელი იშვიათია არქეოლოგიურ ძეგლებზე. ვფიქრობთ, ამ მიზნით სხვა მასალისაგან დამზადებული საწურები იყო ხმარებაში.

VIII. ჭრაქი (ტაბ. XIII). ჭრაქი/ლამპარი გასანათებელი/სანათი ჭურჭელია, რომელსაც ლითონის, ქვის და თიხისაგან ამზადებდნენ. თიხის ჭრაქი ფორმით ჯამ-ფიალებს ჰგავს. კამარახევისა და მუხათგვერდის სამაროვნებზე მოპოვებულ ამგვარ ჭურჭლებზე დაკვირვებით გაირკვა, რომ მათი უმრავლესობა ტუჩის გარშემო შებოლილია. გამორიცხული არ არის, რომ სამზარეულო ჯამებიც გამოეყენებინათ ჭრაქებად. ზოგიერთი ჭრაქის პირის დმ 30 სმ-ზე მეტი იყო. ჭრაქებში გვხვ-

დება პირმოყრილი, პროფილირებულპირიანი და პირსწორი ცალები. ყველა ჭრაქი ბრტყელდირიანია. ერთ ნაწილს აქვს ყური, მეორე ნანილი კი უყუროა.

ჭრაქებში ოთხი ძირითადი ტიპი გამოიყოფა: 1. სახელურიანი, 2. ყურიანი, 3. უყურო და 4. ორნაწილიანი.

სახელურიანი ჭრაქები (G.N.: კატ. № 225) ძვ.ნ. V ს-ით თარიღდება [დავლიანიძე 1983: 30,115]. ჭრაქების ეს ტიპი ყველაზე ადრეული ჩანს და ძვ.ნ. V ს-ით თარიღდება (III ქრონოლოგიური ჯგუფი). სახელურიანი ჭრაქების განვითარებულ სახეს მეიძლება კამარახევში აღმოჩენილი ჭრაქი ნარმოადგენდეს, რომელსაც სახელურის ნაცვლად ცერისებრი შვერილი აქვს (G.N.: კატ. № 842, 934).

ყურიანი ჭრაქები ყურისა და პირის დონის შეფარდების მიხედვით ორ ქვეტიპად იყოფა:

1. პირველ ქვეტიპს მიეკუთვნება ჭრაქები, რომელთაც ლენტური ყურისა და პირის დონე ერთ სიბრტყეზე აქვთ. პირველი ქვეტიპის ჭრაქებში სამი სახეობა უნდა გამოიყოს – 1. პირმოყრილი (G.N.: კატ. № 193-196,200,201,203,205-207), 2. პირსწორი (G.N.: კატ. № 199) და 3. პროფილირებულპირიანი (G.N.: კატ. № 198, 202).

2. ყურიანი ჭრაქების მეორე ქვეტიპს მიეკუთვნება ის ცალები, რომელთა ყურიც პირის ზემოთ არის აზიდული. ამ ქვეტიპის ჭრაქებში გვხვდება სამი სახეობის ჭრაქი 1. დაბრტყელებული და პირმოყრილი (G.N.: კატ. № 204,209,213,216,217,221-224); 2. პროფილირებულპირიანი (G.N.: კატ. № 197,208,210-212,214,215). ყურიანი ჭრაქების პირველი ქვეტიპი ძირითადად სამარვანზეა აღმოჩენილი და ძვ.ნ. V – IV ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. კამარახევის სამარვანზე გამოვლენილ ჭრაქებში უკვე შეინიშნება ყურის პირის ზემოთ აცილება (G.N.: კატ. № 197,204) და კიდის პროფილირება (G.N.: კატ. № 197), რაც მოგვიანო ხანის, მეორე ტიპის ჭრაქებისთვის არის დამახასიათებელი, რომლებიც ძირითადად ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისში თავსდებიან; 3. ჭრაქები რომლებსაც პირი მოყრილი აქვთ, კიდე კი მომრგვალებული. ამ ტიპის ჭრაქების სიმაღლე ყურთან უფრო მეტია, ვიდრე ტუჩთან. ამასთან ყურადღებას იქცევს ის, რომ სამადლოს ცალებს (G.N.: კატ. № 222-229) ყური ტუჩის მოპირდაპირედ აქვს და არა ყურის მიმართ მართი კუთხით, როგორც ყველა დანარჩენს. აღნიშნული განსხვავებანი, როგორც ჩანს, მათ ქრონოლოგიურ განსხვავებაზე უნდა მიუთითებდეს. კერძოდ, კამარახევის ცალი ძვ.ნ. V – IV ს-ის პირველ ნახევარში, უფრო მის მეორე ნახევარში ჩანს

გავრცელებული; უფლისციხის, ასურეთის, მუხათვერდის, კავთისხევის კი, ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარითა და ძვ.ნ. II ს-ით უნდა დათარიღდეს.

უყურო ჭრაქებში ორი ქვეტიპი უნდა გამოიყოს – 1. პირმოყრილი (G.N.: კატ. № 220,828,888-891,934) და 2. პირსწორი (G.N.: კატ. № 928, 929). ორივე ამ ტიპის ჭურჭელი ფორმით არ განსხვავდება ჯამებისგან. მათი ერთადერთი განმასხვავებელი ნიშანია ტუჩი, რომელზეც ცეცხლის კვალია შემორჩენილი. ასეთი ცალები ძირითადად ძვ.ნ. III – I ს. გვხვდება. მცირე ზომის უყურო ჭრაქები დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი I-VI საუკუნეების ქართლის ძეგლებზე (მცხეთა, ბაგინეთი, არმაზისხევი, ძალისი და სხვა). პირმოყრილი ჭრაქების მაქსიმალური დიამეტრი 6.0-7.0 სმ-ია, სიმაღლე კი 3.0 სმ-ს არ აღმატება.

ორნაწილიანი ჭრაქი ნარეკვავის ნამოსახლარის № 3 სახლში აღმოჩენდა [დავლიანიძე, სადრაძე 1993; დავლიანიძე 1975: XIV-10]. იგი III ჰორიზონტს განეკუთვნება და VII ს-ის I ნახევრით არის დათარიღებული [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 65]. აქვს საკმაოდ ფართო და გრძელი ტუჩი, მკვეთრად დაქანებული მხრები, სფერული მუცელი, ძირზე სამი ფეხი ჰქონია.

სამზარეულო ჭურჭელი.

IX. ტაფისებური ჭურჭელი (ტაბ. XIV) სამზარეულო კერამიკის ერთ სახეს წარმოადგენს. მას დიდი დიამეტრის (50 – 80 სმ), ოდნავ გარეთ გადაშლილი პირი, დაბალი (5 – 12 სმ) კალთები და დიდი ბრტყელი ძირი აქვს. ყველა მათგანი უხეში თიხისაგან დამზადებული და სქელკედლიანია. ორი ტიპის ტაფისებური ჭურჭელი გვხვდება. პირველი ტიპის ტაფისებური ჭურჭლების ბორტები თანაბარი სიმაღლისაა და არსად არ არის გახსნილი. მეორე ტიპის ტაფისებური ჭურჭლების კალთები ერთ მოხაკვეთში დადაბლებას იწყებს და შემდეგ ჩამოდის ძირის დონემდე, ისე, რომ ჭურჭლის ერთ მხარეს 10 – 15 სმ-ის სიგანის ღიობი წარმოიქმნება.

ტაფისებური ჭურჭლები არის როგორც სტაციონალური, რომლებიც ღუმელის თავზეა დაძერწილი, ისე გადასატანი.

X. ქოთანი (ტაბ. XV-XVII). ქოთანები სამზარეულო ჭურჭლის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეა. მათ აბსოლუტურ უმრავლესობას ფართო პირი, გარეთ გადაშლილი ქობა, დაბალი ყელი, მომრგვალებული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვს. ზედაპირი უმეტეს შემთხვევაში უორნამენტოა (G.N.: კატ. № 23-25).

ამ ტიპის ჭურჭლის ფორმა დიდი ხნის განმავლობაში თითქმის უცვლელი რჩება. არ იცვლება მათი დამზადების ტექნოლო-

გიაც – თიხა მინარევებიანია, უხეში კეცი გამომწვარია რუხად (G.N.: კატ. № 126, 127, 132, 134, 136, 146, 171, 177, 655, 657, 659, 662, 669, 673, 680, 695, 697, 699), ზოგიერთი მათგანი გამომწვარია არათანაბრად (G.N.: კატ. № 123, 647, 654, 658, 663, 667, 675, 676, 681, 682-694, 696), გვხვდება ზედაპირგაპრიალებული (G.N.: კატ. № 125, 129, 141, 142, 152, 156, 164-170, 172-175, 178, 183), იშვიათად ანგობირებული (G.N.: კატ. № 138, 162) ცალები. ქოთნების ნაწილს ღია ფერის კეცი აქვთ (G.N.: კატ. № 124, 128, 137, 660, 661, 654, 666, 668, 670, 672, 674, 678, 700, 701), გვხვდება ზედაპირ გაპრიალებული (G.N.: კატ. № 135, 140, 143, 144, 147, 148, 150, 151, 153-155, 157-161), იშვიათად გვხვდება ანგობირებული (G.N.: კატ. № 163) და მოხატული (G.N.: კატ. № 130) ცალები.

ქოთნებში ორი ტიპია: 1. უყურო და 2. ყურიანი. ისინი ფორმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. უყურო ქოთნები მსგავსებას იჩენენ დერგებთან. ყურიანი ქოთნები კი ტოლჩების ერთ ჯგუფთან ავლენს სიახლოეს.

უყურო ქოთნები, პირის გაფორმების მიხედვით, ორ ქვეტიპად უნდა დაიყოს: 1. დაკუთხულებულებიანი (G.N.: კატ. № 139, 140, 142-148, 151, 152, 154, 158, 162, 168-170, 180, 181, 183) ცალები ძირითადად სამადლოს ნაქალაქარზეა აღმოჩენილი და V ქრონოლოგიურ ჯგუფში თავსდება. 2. მომრგვალებულებიანი (G.N.: კატ. № 123-130, 132-138, 141, 153, 155, 157, 160, 162-167, 171-174, 179, 182) ქოთნები უფლისციხეში და სამადლოშია აღმოჩენილი. ასეთი ჭურჭლები ძვ.ნ. III საუკუნიდან ძვ.ნ. I ს-ის პირველ ნახევრამდე გვხვდება.

უყურო ქოთნების მეორე ქვეტიპაში შეიძლება გამოიყოს ორი სახეობა: 1. ქოთნები რომლებსაც ქობა გადაკეცილი და შეთხელებული აქვს (G.N.: კატ. № 137), კავთისხევშია აღმოჩენილი და ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრასა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. 2. ჰორიზონტალურქობიანი ქოთანი (G.N.: კატ. № 130), რომელიც უფლისციხეშია აღმოჩენილი და მისი თარიღი ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევრითა და ახ.ნ. II საუკუნით უნდა განისაზღვროს.

ყურიანი ქოთნებიც ორ ქვეტიპად იყოფა: 1. დაკუთხულებულებიანი და 2. მომრგვალებულებიანი.

დაკუთხულებიან ქოთნებში (G.N.: კატ. № 647, 650, 654, 655, 658, 669, 672-678, 683-690, 698) სამი სახეობა გამოიყოფა: 1. ყური მიძერნილია პირსა და მხარზე (G.N.: კატ. № 678), 2. შესქელებულებიანი (G.N.: კატ. № 677) და 3. ჰორიზონტალურქობიანი (G.N.: კატ. № 698), ეს სამი უკანასკნელი ცალი სამადლოს ნაქალაქარზეა აღმოჩენილი და ძვ.ნ. III - ძვ.ნ. I

ს-ის პირველ ნახევარს მიეკუთვნება. ყურიანი ქოთნების დიდი ნაწილი ღრმახევისთავის სამაროვანზეა აღმოჩენილი და ძირითადად ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისსა და ძვ.ნ. IV ს-ის პირველ ნახევარში თავსდება, მუხათგვერდის სამაროვანზე მოპოვებული ცალი (G.N.: კატ. № 655) კი, ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება.

2. მომრგვალებულებიან ქოთნებში, პირის დახრილობის მიხედვით ერთი, პირსწორი სახეობა გამოიყოფა (G.N.: კატ. № 651, 672, 673).

მეორე ტიპის ჭურჭლები ძირითადად ძვ.ნ. V-IV სს. და ძვ.ნ. II - ახ.ნ. II საუკუნეებს მიეკუთვნებიან. ამასთან, ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისიდან ძვ.ნ. IV ს-ის პირველ ნახევრამდე და ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარიდან ახ.ნ. II საუკუნის ჩათვლით უფრო დიდი რაოდენობითაა დაასტურებული, ვიდრე ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევრამდან ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისამდე და ძვ.ნ. II საუკუნიდან ძვ.ნ. I ს-ის პირველ ნახევრამდე.

მიუხედავად იმისა, რომ ქოთნები ფორმით არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, მათ შორის მკვეთრი ტექნოლოგიური სხვაობა შეინიშნება. ძვ.ნ. VII-VI სს ძეგლებზე აღმოჩენილი ყურიანი ქოთნები მრავალფეროვანია და ტექნოლოგიურად ამ ეპოქაში გავრცელებული თიხის ჭურჭლების ანალოგიურია. ამ ჰერიოდის ქოთნები განლექილი თიხისაა, გამომწვარია მონაცრისფროდ, ან ყავისფრად და ჩარხზეა დამზადებული. მაგ. ნარეკვავის ნამოსახლარის II-III ჰორიზონტებში აღმოჩენილ ქოთნებს შორის გვხვდება როგორც უყურო, ისე ყურიანი [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 86, ტაბ. XV-2, XVII-2] ცალები. ქოთნები ნარეკვავის ნამოსახლარის I ჰორიზონტშიც გვხვდება. მათ გადაშლილი პირი, დაბალი ყელი, დაქანებული მხრები, სფერული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. ერთს ყელთან კონცენტრული ხაზები და ირიბი ჭდები [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 35, ტაბ. XXVII-11], მეორეს კი ტალღისებური ორნამენტი [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 35, ტაბ. XXVII-13] აქვს. ამ დროს ჯერ კიდევ გვხვდება ზომორფულყურიანი ცალები. მაგ. ნარეკვავის ნამოსახლარის II ჰორიზონტში აღმოჩენილი 10 ქოთნიდან, სამს ზომორფული ყური აქვს [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 46-47, ტაბ. XXXIV 7-9; XXXV 1-4]; ქოთნების ნაწილს ბადისებური ან ტალღოვანი ორნამენტი, კონცენტრული ღარები ან ნაჭდევი ორნამენტი აქვს მხარზე და ძირზე. ორნამენტი ძირითადად ამოღარული, ამოკანრული და გაპრიალებული ხაზებით არის შედგენილი. ძვ.ნ. V - ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისის ჭურჭლები უფრო მსხვილმარცვლოვანი თიხისაა (იშვიათი გამონაკლისის გარდა) გამომწვარია არათანაბრად - რუხად, აბსოლუტური უმრავლესობა ხე-

ლითაა ნაძერწი. ძვ.ნ. II – ახ.ნ. II საუკუნეების ჭურჭლები, მათთან შედარებით, კარგად განლექილი თიხისგანაა დამზადებული. ისინიც უმეტესად მუქქეციანებია (თუმცა ამ დროს უფრო მეტი მოწითალოდ გამომწვარი ჭურჭლი გვხვდება, ვიდრე ადრე). დამზადებულია ჩარხზე. მათი ზედაპირი კარგად არის მოსწორებული, გაპრიალებული და ზოგჯერ ანგობირებულიც. ახ.ნ. IV-VII საუკუნეების ქოთნების უმრავლესობა ღია ფერისაა, თუმცა გვხდება უხეშკეციანი და რუხად გამომწვარი ნაწარმიც.

XI. კოჭობი (ტაბ. XVIII-XXI). კოჭობი ქოთნის ფორმის, პატარა ზომის (ყველაზე მაღალი 15 სმ-ია) ჭურჭლია რომელსაც ფართო, გადაშლილი პირი, დაბალი, გამოყვანილი ყელი, სფერული, ბიკონუსური ან პროფილირებული ტანი და ბრტყელი ძირი აქვს. კოჭბები უმეტესად მსხვილმარცვლოვანი თიხისგანაა დამზადებული და გამომწვარია მუქად (G.N.: კატ. № 227-234, 236, 238, 239, 243, 251, 255, 256, 258-260, 262, 265-286, 288), რომელთა შორის გვხვდება არათანაბრად გამომწვარი ცალები (G.N.: კატ. № 231, 242, 245, 263, 264, 287, 289), იშვიათია გაპრიალებულზედაპირიანი (G.N.: კატ. № 240, 257) და ანგობირებული (G.N.: კატ. № 241) ჭურჭლები. კოჭბების ნაწილს ღია ფერის კეცი აქვთ (G.N.: კატ. № 149, 237, 246-250, 254), იშვიათია შეღებილი (G.N.: კატ. № 235) და მოხატული (G.N.: კატ. № 252, 261) ეზემპლარები.

კოჭბები ტანის ფორმის მიხედვით სამი ძირითადი ტიპისაა: 1. სფერულმუცლიანი, 2. ბიკონუსურტანიანი, 3. პროფილირებულტანიანი.

სფერულმუცლიანი კოჭბები რამდენიმე ქვეტიპად იყოფა – 1. მომრგვალებულქობიანი, 2. დაკუთხულქობიანი და 3. გადახრილიქობიანი და პორიზონტალურქობიანი.

პირველი ქვეტიპის, მომრგვალებულქობიანი კოჭბების ერთ ნაწილს სადა ზედაპირი (G.N.: კატ. № 227, 228, 231-235, 237-240, 242, 244-252, 254, 257-265, 281, 282, 284-286), მეორე ნაწილს მუცელზე დაძერნილი კოპები (G.N.: კატ. № 266-277), მესამეს კი აცქვეტილი ყურები (ნარეკვავი) აქვს. მომრგვალებულქობიანი კოჭბები გვხვდება ხოვლეს III პორიზონტში (ძვ.ნ. VI ს.) და ისინი ხოვლეზე ახალ ფორმას ნარმოადგნენ; ასეთი ჭურჭლი სულ სამი ცალი აღმოჩნდა. ერთი მათგანი მაღალყელიანია, მუცელგანიერი და ძირბრტყელი [მუსხელიშვილი 1978: 46, ტაბ. 54, 1279-S]; სფერულმუცლიანი ერთი კოჭობი წითელკეციანი და შეღებილია, ყელის ძირში წვრილი დაშტამპული წრეხაზების სარტყლით [მუსხელიშვილი 1978: 46, ტაბ. 54-1317]; მესამე სფერულმუცლიანი კოჭობი

ლეგადაა გამომწვარი და ვარდისფერზედაპირიანი [მუსხელიშვილი 1978: 46, ტაბ. 54-814-შ]. სფერულმუცლიანი და მომრგვალებულქობიანი კოჭბები ნარეკვავში მხოლოდ II პორიზონტში აღმოჩნდა. მათ მაღალი ყელი, სფერული მუცელი და ბრტყელი ძირი აქვთ [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 43, ტაბ XXX-8, 10, 11, 12]. სფერულმუცლიანი კოჭბები განსაკუთრებით დიდი რაოდენობით გვხვდება ძვ.ნ. V-IV ს-ის პირველ ნახევარში (G.N.: კატ. № 227, 228, 231-235, 237-239, 242, 245, 248, 250-252, 258-260, 262-264, 281, 284, 285), შემდეგში, ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარიდან ძვ.ნ. II ს-ის დასაწყისამდე (G.N.: კატ. № 240, 265, 285) თითქოს იკლებს. ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარსა და ახ.ნ. II საუკუნეში კი ისევ იზრდება მათი რაოდენობა (G.N.: კატ. № 244, 246, 247, 249, 252, 254, 257, 261). ამ ქვეტიპის მოხატული კოჭობი (G.N.: კატ. № 252) მხოლოდ ერთი ცალია აღმოჩნილი კამარახევში, რომელიც ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისა და ძვ.ნ. IV ს-ის პირველი ნახევარს მიეკუთვნება (III ქრონოლოგიურ ჯგუფში). მომრგვალებულქობიანი კოჭბების ერთ ნაწილს მუცელზე კოპები აქვს დაძერნილი. კოპებიანი ჭურჭლი აღმოჩნილია ნარეკვავის II სამშენებლო პორიზონტში (დავლიანიძე, სადრაძე 1993: 43, ტაბ. XXX-8, 11), კამარახევში (G.N.: კატ. № 266-274, 277) და მუხათგვერდში (G.N.: კატ. № 275). ნარეკვავის ცალები ძვ.ნ. VII საუკუნე – ძვ.ნ. VI ს. პირველ ნახევარს, კამარახევისა ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.ნ. IV ს-ის პირველ ნახევარს, მუხათგვერდისა კი ძვ.ნ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.ნ. III ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება. ადრეული პერიოდის კოჭბებზე კოპები ჭურჭლის ამოყვანის შემდეგ არის მიძერნილი ტანზე. შულავერის სამარვანზე აღმოჩნილი ცალი (G.N.: კატ. № 276), რომლის კოპებიც ჭურჭლის კედლების გამოპერვის შედეგადა მიღებული, ძვ.ნ. I ს-ის მეორე ნახევარისა და ახ.ნ. II საუკუნეში თავსდება და იმ ჭურჭლების ჯგუფში ექცევა, რომლებიც მსგავსი ტექნიკით შესრულებული კოპებითაა შემკული და გვიან ანტიკურ ხანაშია გავრცელებული. გვხდება კოჭბები, რომლებსაც მხარზე ორი აცქვეტილი ყური აქვთ დაძერნილი. აცქვეტილყურიან კოჭბებს გადაშლილი პირი, მრგვალი ბაკო, დაბალი გამოყვანილი ყელი აქვს. მხართან გამოპერილია [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 42-43, ტაბ. XXX-9]. ასეთი კოჭობი ნარეკვავის II პორიზონტშია დაფიქსირებული.

სფერულმუცლიანი კოჭბები, რომლებსაც დაკუთხული კოპება აქვთ (G.N.: კატ. № 236, 243, 253, 255) ან გადახრილი ქობა აქვთ (G.N.: კატ. № 229, 230) მცირე რაოდენობითაა აღმოჩნილი და ამიტომ შემდგომი კლასიფიკაცია ძნელია. დაკუთხულქობიანი კოჭბები (G.N.: კატ. № 236, 243, 253, 256) ძვ.ნ. V ს-ის დასაწყისით და

ძვ.წ. IV ს-ის პირველი ნახევრით თარიღდება. კოჭბები გარეთ გადმოხრილი ქობით ორი ცალია (G.N.: კატ. № 229, 230) აღმოჩენილი და ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარსა და ძვ.წ. III ს-ის დასაწყისს, კოჭბები კი, რომელთაც ჰორიზონტალური ქობა აქვთ (G.N.: კატ. № 241) ძვ.წ. III-II ს-ის დასაწყისს მიეკუთვნება.

მეორე ტიპის, ბიკონუსურტანიანი და მესამე ტიპის, პროფილირებულტანიანი კოჭბები იშვიათობას წამოადგენენ და ძირითადად ძვ.წ. V ს-ის დასაწყისი – ძვ.წ. IV ს-ის პირველ ნახევარში (G.N.: კატ. № 278, 279, 280, 283, 289) და ნაკლებად ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევარი – ძვ.წ. III ს-ის დასაწყისში (G.N.: კატ. № 288) გავრცელებული. ამ პერიოდში და შემდეგშიც საერთოდ შეინიშნება კოჭბების რაოდენობის კლების ტენდეცია. თითქოს ძვ.წ. III საუკუნიდან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე მათი რაოდენობა მინიმუმამდეა დასული. ახ.წ. II - IV სს. ძეგლებზე სფერულმუცლიანი, პირგადაშლილი კოჭბების რაოდენობა თითქოს ისევ მატულობს, თუმცა შემდეგ, ახ.წ. V-VII სს. ისინი აღარ გვხდება.

XII. ქილა (ტაბ. XXII-XXIII). წაგრძელებული ფორმის თიხის ჭურჭელია, რომლის სიმაღლე მუცლის დიამეტრზე სამჯერ მეტია. მათი სიმაღლე 20 – 50 სმ-ს შორის მერყეობს.

XIII. ბადია (ტაბ. XXIV-XXV). დიდი ზომის ხის, ლითონის ან თიხის ჯამის ფორმის ჭურჭელია, რომელსაც ფართო, მოყრილი პირი, მაღალი კალთები და ბრტყელი ძირი აქვს. ბადიების სიმაღლე 10 - 30 სმ-ს, პირის დიამეტრი კი 20 - 40 სმ-ს შორის მერყეობს. სამზარეულოში ძირითადად მყარი ან თხევადი საკვების გადასაადგილებლად გამოიყენებოდა. თიხისგან დამზადებული ბადიები ძირითადად ერთი ტიპის იყო, განსახილველი ეპოქის ყველა ეტაპზე გამოიყენებოდა და ფართოდ იყო გავრცელებული.

XIV. ხუფი (ტაბ. XXVI). ხუფი/სარქველი დამოუკიდებელ ჭურჭელს არ წარმოადგენს, იგი იხმარება დერგების, ქოთნების ან ქილების სარქველად [Нариманишвили 1991: 27-28]. სარქველები გვხდება ხის, ქვის და თიხის. თიხისგან დამზადებული ხუფები არც თუ ისე დიდი რაოდენობით არის აღმოჩენილი არქეოლოგიურ ძეგლებზე.

თიხის ხუფები სამი სახის გვხდება: 1. დისკოსებრი, 2. ტაფისებრი, 3. ფიალისებრი.

დისკოსებურ ხუფებში ორი ტიპი გამოიყოფა: სახელურიანი (G.N.: კატ. № 296) და უსახელური (G.N.: კატ. № 294). დისკოსებური ჯგუფის ხუფები დამზადებულია მსხვილმარცვლოვანი თიხისგან და გამომწვარია რუხად. ე.წ. ტაფისებური ხუფები დამზადებულია კარგად განლექილი თიხისგან, გამომწვარია მოვარდისფროდ. ხუფების ნაწილი მოხა-

ტულია (G.N.: კატ. № 293, 301, 303, 304). გვხდება შეღებილი (G.N.: კატ. № 292) და ზედაპირგაპრიალებული ცალებიც (G.N.: კატ. № 302). როგორც ჩანს, მათ შორის უძველესია მოხატული ცალები, რომელებიც ასევე მოხატული ბიქსიდისებური ჭურჭლის (G.N.: კატ. № 121, 122, 581, 582) სარქველებს უნდა წარმოადგენდნენ. არ არის გამორიცხული, რომ ბიქსიდისებური ჭურჭლები განსაკუთრებული (სარიტუალო) დანიშნულებისაც იყოს. ტაფისებურ ხუფებშიც ორი ტიპი გამოიყოფა: ხუფები, რომელთაც კიდეზე ორი ნახვრეტი აქვთ (G.N.: კატ. № 292, 293, 299, 301-304) და ხუფები, რომელთაც ძირზე, შუაში ერთი ნახვრეტი აქვთ (G.N.: კატ. № 291). ორნახვრეტიან ხუფებს კიდეზე ნახვრეტები, ალბათ, იმიტომ აქვთ, რომ მათში გაყრილი თასმით ხუფი ჭურჭლის ყურებზე მაგრდებოდა. ხუფის მაღალი ბორტი და ბიქსიდისებური ჭურჭლის ასევე მაღალი პირის კიდე ჭურჭლის საიმედოდ დახუფვის საშუალებას იძლეოდა. ამგვარად დახუფული ჭურჭლები გადასაადგილებლადაც ადვილი იქნებოდა. ერთნახვრეტიანი ხუფი, თავისი ფორმით, ზედაპირის გაფორმებით ყველაზე მოგვიანო ჩანს და დაკავშირებულია ასევე მოგვიანო ქოთნებთან (G.N.: კატ. № 290). ერთი ნახვრეტი ალბათ უფრო სასულე იყო, ვიდრე ხუფის დასამაგრებელი. ფიალისებური ხუფების ჯგუფშიც ორი ტიპი გამოიყოფა: სახელურიანი (G.N.: კატ. № 297) და უსახელური (G.N.: კატ. № 295, 298, 300). ტაფისებური ხუფები ძირითადად ძვ.წ. III საუკუნიდან ძვ.წ. I ს-ის პირველ ნახევრამდე გვხვდება.

არ შევცდებით, თუ ხუფებს რომლებსაც ორი ნახვრეტი აქვთ ხშირად გადასაადგილებელი, ხოლო დისკოსებურ და ფიალისებურ ხუფებს კი, სტაციონარული ჭურჭლების სარქველებად მივიჩნევთ. უნდა აღინიშნოს, რომ ხუფები, განსაკუთრებით დისკოსებური და ფიალისებური, ყველა ქრონოლოგიურ ჯგუფში უნდა არსებობდნენ და თუ ისინი ჯერ-ჯერობით მცირე რაოდენობითაა აღმოჩენილი, ეს ისევ გათხრილი ნამოსახლარების სიმცირით უნდა აიხსნას.

ძვ.წ. VII - VI ს-ის დასაწყისში გავრცელებულია ე.წ. კონუსური ხუფები, რომლებიც ხოვლეს უძველეს ფენებშიც გვხდება [მუსხელიშვილი 1978: ტაბ. XXIV - 46-61, 110-61, 193-61; XXXVIII - 2340, 2287, 2330]. კონუსური ხუფები აღმოჩენილია ხოვლე IV [მუსხელიშვილი 1978: 39, ტაბ. XLVII - 2322] და III ჰორიზონტებში [მუსხელიშვილი 1979: 43-44, ტაბ. LIV - 1000-S]. ასეთივე ხუფებია ნაპოვნი ნარეკვავის ნამოსახლარის III ჰორიზონტებშიც [დავლიანიძე, სადრაძე 1993: 57, ტაბ. XLII - 5, 6, 7].

XV. ჩაფი (ტაბ. XXVII-XXVIII). დიდი ზომის

თიხის ჭურჭელია, რომელიც ფორმით დოქტორის მსგავსია, თუმცა მასზე დიდია. ჩაფში 10 ლიტრზე მეტი სითხე ეტევა. ჩაფი აუცილებელ ჭურჭელს წარმოადგენს მარანსა და სამზარეულოში. გვიანშუასაუკუნეებში ჩაფი გამოიყენებოდა საწყაოდ და ის კოკის მეოთხედს შეადგენდა.

ძ.წ. VII – ახ.წ. VII საუკუნეების არქეოლოგიურ ძეგლებზე დაფიქსირებული ჩაფები კარგად განლექილი თიხისაგანაა დამზადებული და თხელკეციანია. მათ მრგვალი პირი, შევიწროვებული ყელი, მხრიანი, სფერული, ან წაგრძელებული ფორმის ტანი და ბრტყელი ძირი აქვთ. ერთი ყური ძირითადად პირსა და მხარზეა მიძრნილი. ამ პერიოდის ჩაფები დიდი მოცულობისაა (12-25 ლიტრი სითხე).

სტატიის გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში.

ლიტერატურა

აბრამიშვილი 1957: აბრამიშვილი რ. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოს ხანისა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, ტ. XIX- და XXI-, გვ. 115-140.

აბრამიშვილი და სხვ. 1980: აბრამიშვილი რ., გიგუაშვილი ნ., კახიანი კ. ლრმახევისთავის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი.

ავალიშვილი 1974: ავალიშვილი გ. ქვემო ქართლი ქ.წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში. თბილისი.

ამირანაშვილი 1997: ამირანაშვილი ჯ. საკრაველის სამაროვანი. - ძმ № 3, (98) გვ. 15-17.

აფაქიძე 1963: აფაქიძე ა. ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბილისი.

აფაქიძე და სხვ. 1955: აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები. - მცხეთა I, თბილისი.

აფაქიძე და სხვ. 1978: აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მანჯგალაძე გ., სიხარულიძე ა., ხეცურიანი ლ., ჯლარკავა თ., ძნელაძე მ., დავლიანიძე რ., გიუნაშვილი გ. მცხეთა 1976, მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1976 წლის მუშაობის ანგარიში, მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, ტ. II, თბილისი, გვ. 81-156.

აფაქიძე და სხვ. 1978ა: აფაქიძე ა., კალანდაძე ა., ნიკოლაიშვილი ვ. მცხეთა 1975, მცხეთის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედი-

ციის 1975 წლის მუშაობის ანგარიში. - მცხეთა II, თბილისი, გვ. 8-80.

აფაქიძე და სხვ. 1983: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., მელითაური კ., სიხარულიძე ა., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., მანჯგალაძე გ., ხეცურიანი ლ., ჭანიშვილი თ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., გავაშელი ე., ირემაშვილი შ., ბიბილური თ., ღლონტი ნ. დიდი მცხეთა, 1979. – მცხეთა, ტ. VI, გვ. 191-218

აფაქიძე და სხვ. 2004: აფაქიძე ა., ნიკოლაიშვილი ვ., გიუნაშვილი გ., დავლიანიძე რ., ნარიმანიშვილი გ., სადრაძე ვ., ძნელაძე მ., ირემაშვილი შ., ნონეშვილი ალ., ხეცურიანი ლ., გავაშელი ე. მცხეთის ექსპედიცია, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1990-1992 წლებში (მოკლე ანგარიშები), თბილისი, გვ. 70-80.

ბერაძე 1980: ბერაძე ე. ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხები „ქასრაანთ მიწების“ სამაროვნიდან. - კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, გვ. 14-17.

ბოხოჩაძე 1963: ბოხოჩაძე ა. ანტიკური ხანის სამარხები თეთრინყაროდან. მსკა, III, 1963, გვ. 27-38.

ბოხოჩაძე 1981: ბოხოჩაძე ა. არქეოლოგიური გათხრები აღაინსა და ძალისში, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები I, თბილისი.

ბრაგვაძე, დავითაშვილი 1993: ბრაგვაძე ზ., დავითაშვილი ამ. მცხეთიჯვრის ელინისტური ხანის სამარხები, თბილისი.

გაგოშიძე 1967: გაგოშიძე ი. ელინისტური ხანის მასალები სამადლოდან. - სსმმ, ტ. XXVII-, გვ. 53-93.

გაგოშიძე 1970: გაგოშიძე ი. სამადლოში მოპოვებული მოხატული ჭურჭელი. - ძმ, №23, გვ. 41-46.

გაგოშიძე 1974: გაგოშიძე ი. წარმართული ტაძარი დედოფლის მინდორზე. - ძმ, №35, გვ. 70-78.

გაგოშიძე 1975: გაგოშიძე ი. სამადლოს არქეოლოგიური ექსპედიციის 1972 წლის მუშაობის ანგარიში. - სსმაე, ტ. IV, გვ. 59-63.

გაგოშიძე 1978: გაგოშიძე ი. დედოფლის მინდვრის სატაძრო კომპლექსის 1976-1977 წლების ანგარიში. - სსმაე, ტ. VI, გვ. 62-76.

გაგოშიძე 1982: გაგოშიძე ი. თრიალეთის სამაროვნები, კატალოგი III, ანტიკური ხანის

სამაროვნები, თბილისი.

დავლიანიძე 1985: დავლიანიძე რ. ნარეკვავის სამაროვანი. მცხეთა VII, გვ. 6-40.

დავლიანიძე, სადრაძე 1993: დავლიანიძე რ., სადრაძე ვ. ნარეკვავის ნამოსახლარი და სამაროვანი, თბილისი.

დავლიანიძე 1975: დავლიანიძე ც. ანტიკური ხანის სამარხი. – ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში (1965-1972 წწ.). გვ. 173-185.

დავლიანიძე 1976: დავლიანიძე ც. ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქვემო ქართლიდან. - სსმმ, ტ. XXXII-, გვ. 118-147.

დავლიანიძე 1977: დავლიანიძე ც. სოფ. გომარეთში ჩატარებული დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრების მოკლე ანგარიში. - სსმმ, ტ. V, გვ. 84-102

დავლიანიძე 1983: დავლიანიძე ც. ქვემო ქართლის (თრიალეთის) კულტურა ძვ. წ. I ათასწლეულის მეორე ნახევარში, თბილისი.

ზანდუკელი 1982: ზანდუკელი მ. ქართული ხალხური კერამიკა,

ზაქარაია 1965: ზაქარაია პ. ნაქალაქარ ურნისის ხუროთმოძღვრება, თბილისი.

თოლორდავა 1963: თოლორდავა ვ. მასალები იბერიის სამეფოს ისტორიისათვის ძვ.წ. I ათასწლეულის ბოლო საუკუნეებში. – მსკა, ტ. III, გვ. 137-163

თოლორდავა 1980: თოლორდავა ვ. დაკრძალვის წესი ელინისტური ხანის საქართველოში (ქვევრსამარხები), თბილისი.

თოლორდავა 1986: თოლორდავა ვ. ცენტრალური ტერასის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდი (1975-1979 წწ. გათხრების შედეგები), ვანი VIII, თბილისი, გვ. 79-92.

კალანდაძე 1982: კალანდაძე ალ. სამთავრო, წინაანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები. მცხეთა VI, გვ. 7-138

კვიშინაძე 1967: კვიშინაძე კ. 1966 წ აღმოჩენილი ადრეანტიკური ხანის ძეგლები არუხლოს „გეოითეფესა“ და „სამაჩვეთის“ სამაროვანზე, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1966 წლის საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, გვ. 64, 65.

კვიშინაძე 1973: კვიშინაძე კ. თეთრიწყაროს ანტიკური ხანის ძეგლები, მსკა, ტ. V, გვ. 39-51

კვიშინაძე 1975: კვიშინაძე კ. ადრეანტიკური

ხანის ძეგლები სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოდან, საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი), თბილისი.

კვიშინაძე 1983: კვიშინაძე კ. წნისისხევის ადრეელინისტური ხანის სამაროვანი, ძმ, №63, 28-32.

კვირკველია 2011: კვირკველია გ., მურვანიძე ბ., ნიკოლაიშვილი ვ., ორჯონივაძე ალ. არქეოლოგიური გათხრები გრაკლიანის გორაზე 2009 წელს. ძიებანი №20, გვ. 47-67

ლორთქიფანიძე, და სხვ. 1972: ლორთქიფანიძე ოთ., ფუთურიძე რ., თოლორდავა ვ., ჭყონია ა. არქეოლოგიური გათხრები ვანში 1969 წელს, ვანი I, თბილისი, გვ. 198-242.

ლორთქიფანიძე და სხვ. 1981: ლორთქიფანიძე ო., გიგოლაშვილი ელ., კაჭარავა დ., ლიჩელი ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან., ძვ.წ. VI-V სს-ის კოლხური კერამიკა ვანის ნაქალაქარიდან. ვანი V

ლორთქიფანიძე და სხვ. 1983: ლორთქიფანიძე ო., ფუთურიძე რ., კაჭარავა დ., მათიაშვილი ნ., თოლორდავა ვ., ფირცხალავა მ., ჭყონია ან., ლორთქიფანიძე მ., გიგოლაშვილი ელ., ლიჩელი ვ., გამყრელიძე გ. ანტიკური იმპორტი ვანსა და მის მიდამოებში, ვანი VII, 7-156

მათიაშვილი 1977: მათიაშვილი ნ. ძვ.წ. III-I სს-ის კოლხეთის ქალაქების ეკონომიკის ისტორიიდან.

მათიაშვილი 1983: მათიაშვილი ნ. ძვ.წ. III-II სს-ის შავლაკიანი კერამიკა, — ვანი VII, გვ. 60-75

მარგიშვილი, ნარიმანიშვილი 2004: მარგიშვილი ს, ნარიმანიშვილი გ. აღგეთის ხეობის ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები.

მასალები... 1979: მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, რედ. ივ. ჯავახიშვილი.

მახარაძე 1999: მახარაძე ზ. ახალი აღმოჩენები ციხიაგორაზე. – ძიებანი №4, გვ. 57-66.

მახარაძე, ნარიმანიშვილი 2001, მახარაძე, ნარიმანიშვილი გ. ციხიაგორა აქემენიდურ ხანაში. – ძიებანი, № 7 გვ. 47-53.

მანჯგალაძე 1985: მანჯგალაძე გ. სამთავროს სამაროვნის გვიანანტიკური ხანის სამარხები. კატალოგი. – მცხეთა, VII, გვ. 43-108.

მენაბდე, დავლიანიძე 1968: მენაბდე მ., და-

ვლიანიძე ც. თრიალეთის სამაროვნები I, კატალოგი, თბილისი.

მირიანაშვილი 1983: მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან.

მურვანიძე 2005: მურვანიძე ბ. ელი-ბაბას სამაროვანი. – ძიებანი, №15-16, გვ. 147-163

მუსხელიშვილი 1978: მუსხელიშვილი დ. ხოვლებორას ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ.

ნაკაიძე 1980: ნაკაიძე ნ. ძვ. წ. IV-III სს. ქვევრსამარხები „დაჭრილების“ სამაროვნიდან. – კავთისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი, გვ. 28-41.

ნარიმანიშვილი 1988: ნარიმანიშვილი გ. წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელების საკითხისათვის. სმამ V, 12, №2, გვ. 141-143.

ნარიმანიშვილი 1990: ნარიმანიშვილი გ. ნასტაკისის ანტიკური ხანის სამაროვანი, ად, თბილისი, გვ. 85-110.

ნარიმანიშვილი 1997: ნარიმანიშვილი გ. ქართლში წითლად გამომწვარი კერამიკის გავრცელებისათვის. სსმმ ტ V-, გვ. 180-183

ნარიმანიშვილი 1998: ნარიმანიშვილი გ. ხაშურის ნაცარგორის ანტიკური ხანის სამაროვანი. ხელნაწერი.

ნარიმანიშვილი 1999: ნარიმანიშვილი გ. ანტიკური ხანის სამარხი პატარძეულიდან. – ძიებანი №3, გვ. 68-70

ნარიმანიშვილი 2004: ნარიმანიშვილი გ. წალკა-თრიალეთის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ელი-ბაბას სამაროვანზე 2003 წელს ჩატარებული საველე კვლევა-ძიების ანგარიში (ხელნაწერი).

ნარიმანიშვილი 2009: ნარიმანიშვილი გ. დარაქის ნამოსახლარი და სამხრეთ კავკასიის აქემენიდური ხანის ისტორიის ზოგიერთი საკითხი. – იბერია-კოლხეთი, № 5, გვ. 94-125.

ნარიმანიშვილი 2016: ნარიმანიშვილი გ. კნოლეს სამაროვანი. – ძიებანი №23

ნარიმანიშვილი 2016ა: ნარიმანიშვილი გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. (ხელნაწერი).

ნარიმანიშვილი 2016ბ: ნარიმანიშვილი გ. ბაგინეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. (ხელნაწერი)

ნარიმანიშვილი, მანჯგალაძე, 1989: ნარი-

მანიშვილი გ., მანჯგალაძე გ. მარტაზისხევის ქვევრსამარხი, მცხეთა IX, თბილისი, გვ. 163-171.

ნარიმანიშვილი, მახარაძე 2010: ნარიმანიშვილი გ., მახარაძე ზ. ახალი მონაცემები „ციხიაგორას“ ძვ.წ. VI-IV სს. ძეგლების შესახებ. – იბერია-კოლხეთი, № 6, გვ. 105-116.

ნებროთი “ქართლის ცხოვრებაში” აქემენიდების საგვარეულოს განასახიერებს [სანაძე 2001: 151]. წყაროს ცნობით, არდამის შემდეგ არმენიაში ოთხმა მმართველმა შეცვალა ერთმანეთი: “ხოლო შემდგომად არდამ ერისთავისა გარდაიცვალნეს დ ერისთავინი” (ორონტი, მითრენი, ნეოპტოლემოსი და ევმენი). არდამის მემკვიდრედ ასახელებს იარედს, — “მასვე ხვდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქვა იარედ” (ბერძნული ორონტ) და მას უკავშირებს ქართველთა განთავისუფლებას: “...მოკლეს ორთა ძმათა იარედ, ძმა მათი. მაშინ პოვეს ჟამი მარჯვე ქართლოსიანთა” [ქც I. 1955: 13-14]. ცხადია, აქ იგულისხმება გავგამელას ბრძოლის შემდეგ შექმნილი ვითარება, როცა ალექსანდრე მაკედონელმა დამორჩილებულ სატრაპებთან შეხვედრაზე ორონტი თანამდებობიდან გადააყენა. სახელი იარედ იგივეა, რაც იარედ-ოს. სხვაობა დაბოლოებაში ინფორმაციის ბერძნულებოვანი წყაროდან მომდინარეობით არის განპირობებული. მ. სანაძე საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას ამ გარემოებაზე. “ქართლის ცხოვრების” მიხედვით არიან ქართლის მმართველი აზო სწორედ იარედოს-ის ძეა [ქემერტელიძე 2000: 33]. მკვლევარმა არა ერთი მაგალითის საფუძველზე აჩვენა, რომ ძველ ქართულ წყაროებში ძეობა უპირატესად გულისხმობს ვასალიტეტს და არა ნათესაურ კავშირს [სანაძე 2001: 38]. ამდენად, წყარო პირდაპირ მიუთითებს, რომ ქართლის (იბერიის) პირველი მეფე აზო ძვ.წ. 336-331 წწ-ში არმენიის სატრაპ ორონტის ვასალი გახდა. ისტორიის ასპარეზზე აზო არმენიის ძვ.წ. 322 წლის აჯანყების სხვა ლიდერებთან ერთად გამოდის, რაც ნდობით განგვანყობს ქართული წყაროების მონაცემების მიმართ. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მარშრუტი ასცდა არმენიას. შუა აზისა და ინდოეთის კამპანიების დროს გავრცელდა ცნობები მისი დალუბვის შესახებ. იმპერიაში სრული განუკითხაობა სუფევდა [Дроизен 1995: 70].

ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილი გამოიყენეს კაპადოკიისა და მიდია-ატრო-

პატენის სატრაპებმა, მაგრამ არმენიაში მოვლენები სხვა “სცენარით” განვითარდა. ორონტის გადაყენებით არმენიაში მოიშალა მთელი სახელისუფლო ვერტიკალი. მთელ ადმინისტრაციულ ოლქში აქემენიდების ხელისუფლება დაემხო, ხოლო ახალი, მაკედონური არ დამკვიდრდა. შეიქმნა ხელისუფლების ვაკუუმი. ამიტომ, ინიციატივა მეორე რანგის სატრაპების ხელში გადავიდა. ისინი ამ დროს ადგილებზე რეალურ ძალაუფლებას ფლობენ და არავის ვასალები არ არიან. თითოეული მათგანი არჩევანის წინაშე დგას. აღიაროს მაკედონელთა ხელისუფლება, გახდეს ვასალი ან თავი მეფედ გამოაცხადოს. გადაწყვეტილების მისაღები დროც არის. არმენიაში სატრაპი ალექსანდრე მაკედონელმა ძვ.წ. 325 წ-ს დაინიშნა [შიფმან 1988: 186]. ძირითადი შემაკავებელი ფაქტორი გახდა მაკედონელებთან მოსალოდნელი დაპირისპირება.

დიადოქოსების ეპოქა შედარებით მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად ეკიპირებული და დაკოპლექტებული პროფესიონალური არმიების ხანაა. დაახლოებით ცნობილია იმ შენაერთების რიხვი, რომლითაც ოპერირებენ მაკედონელები. მაგ: პითონი მიღიაში: 13000 ქვეითი, 3800 მხედარი; მონინააღმდეგე: 20000 ქვეითი, 3000 მხედარი; ლეონატი საბერძნეთში: 20000 ქვეითი, 2500 მხედარი; ბერძნები: 22000 ქვეითი, 5000 მხედარი; კრატერი კაპადოკიაში: 25000 ქვეითი, 2500 მხედარი. უფრო მცირერიცხოვან არმიას სარდლობდა ნეოპტოლემოსთან და კრატერთან ბრძოლაში ევმენი. გამარჯვების გარანტიას ასეთი არმიები არ იძლეოდა. მაგრამ, ბრძოლებში გამობრძმედილ მაკედონურ არმიასთან ღია შეჯახებისთვის არმენიის სატრაპიის ძალები დანაწევრებული აღმოჩნდა. ძველი სომხური ისტორიული ტრადიციის თახახმად გავგამელას ველზე დაიღუპა არმენთა სამეფო გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი, ლეგენდარული ჰაიკის შთამომავალი ვაჲე [ანავა 1888: 31]. ამ ბრძოლამ საფუძველი დაუდო პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პერიოდს სომხეთში, რომელმაც თითქმის მთელი ძვ.წ. III ს. გასტანა. ქვეყნისათვის უაღრესად რთულ ვითარებაში სომხური არისტოკრატია წინამდლოლის გარეშე დარჩა და პირველობისათვის ბრძოლაში ჩაება. ნათელი იყო, წარმატებული ანტიმაკედონური აჯანყების ლიდერი ახალი სამეფო დინასტიის დამფუძნებელი ხდებოდა, რაც შემაფერხებელი გარემოება გამოდგა ანტიმაკედონური კოალიციის ფორმირების პროცესში. ყველაზე მყარი პოზიციები არმენიაში აქემენიდებს ტრადიციულად “სამეფო გზაზე” ჰქონდათ. იგი საგანგებოდ იყო გამაგრებული და მის ციხე-სიმაგრეებში სპარსული გარნიზონები იდგა. ძვ.წ. 331 წ-დან

“სამეფო გზა” გადაიქცა ალექსანდრე დიდის მიერ შექმნილი იმპერიის ძირითად მაგისტრალად და ცხადია, მაკედონელთა კონტროლს დაექვემდებარა. სხვაგვარად წარმოუდგენელია ფოსტის ასეთი გამართული მუშაობა, ან სამხედრო შენაერთების მობილური გადადგილება აღმოსავლური კამპანიის დროს. ამ თვალსაზრისით, არმენიაში მიდიოს მსგავსი სიტუაცია იკვეთება, ”სამეფო” გზაზე მაკედონური სამხედრო მანქანა დომინირებდა [Ter-Martirosov 1995: 63].

სპარსული გარნიზონების მხარდაჭერის გარეშე ორონტის გავლენის არეალი ვანის ტბის რაიონით შემოიფარგლა, სადაც ურარტუს დედაქალაქ ტუშის რაიონში მდებარეობდა მისი დომენი ერვანდუნიკი [Ter-Martirosov 1995: 63]. ამიტომ, არმენიის ძვ.წ. 322 წ-ის აჯანყების ეპიცენტრი აღაროდიების ქვეყანა გახდა. მის სათავეში იდგა არმავირის არმაზდის ტაძრის მთავარი ქურუმი მაგი მერგამი [გლინკა 1832: 117]. მდ. არაქსის შუა წელზე, ურარტულ ქალაქ არგიშტიხინილის ადგილზე აღმოცენებული ახურამაზდას სალოცავი ძვ.წ. V-IV სს-ში რეგიონის რელიგიურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრად ჩამოყალიბდა [გლინკა 1832: 117]. სწორედ მაგი მერგამი სარდლობდა აღაროდიების სამხედრო შენაერთს, რომელიც ნეოპტოლემოსის ბანაკთან გამოცხადდა. როგორც ჩანს, სპარსული არისტოკრატია მისი დროშის ქვეშ იძრძოდა.

ძვ.წ. 322 წ-ის არმენიის აჯანყების დღებში მაგი მერგამი დამოუკიდებლად, თუმცა სომხურ დაჯგუფებასთან შეთანხმებით მოქმედებს [გლინკა 1832: 117]. როგორც აღინიშნა, ძვ.წ. 325 წ-ს ალექსანდრე დიდმა არმენიის სატრაპად სპარსელი მითორენი (ვარ. მიჰრან, მიჰრდატ) დანიშნა [შიფმან 1988: 188]. იგი მისაღები კანდიდატურა არმოჩნდა, როგორც სპარსული, ასევე სომხური არისტოკრატიისთვის. სწორედ ეს მიჰრდატი (და არა პონტოს სამეფოს დამაარსებელი მითოდატე კტისტი) ჰყავს მხედველობაში მოვსეს ხორენაციის, როცა საუბრობს იბერთა მმართველი დინასტიის წარმომავლობაზე [მელიქიშვილი 1999: 379; შდრ. მამულია 1979: 71-72].

334 წ-ს გრანიკის ბრძოლის შემდეგ მითორენმა მაკედონელებს სარდები და იქვე დაცული სამეფო საგანძურო წებაყოფლობით ჩააბარა. ალექსანდრემ დაახლოვა იგი და თავის აღმოსავლურ ლაშქრობაში იახლა. არჩევანი მითორანზე შემთხვევით არ შეჩერდა. იგი ვიდარნას საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელიც ორი საუკუნე მართავდა არმენიას [Tommanff 1963: 280, 289].

მითორენის დანიშვნა მოხდა ძვ.წ. 325 წ-ს მაკედონელთა და სპარსელთა ცნობილი და-

მოყვრების, ათიათასი ქორნინების შემდეგ. იმპერიის მაკედონელთა და სპარსელთა კუთვნილებად გამოცხადებით ალექსანდრემ გაიჩინა დასაყრდენი არმენიაში და პოზიციები გაიმყარა რეგიონში, სადაც მის არმიას არც კი გაუვლია. ძვ.წ. 322 წ.-ის აჯანყების მეორე კერა სომხეთში მდებარეობდა. მისი თავკაცი არდოარდი ძველი სომხური ისტორიული ტრადიციის თანახმად უკანასკნელი ჰაიკიანი მეფის შთამომავალის ვაჰეს სიძე იყო და მის მხარდამხარ იბრძოდა გავგამელაზე. მითრენმა მას სარდლობა უბოძა (როგორც ჩანს, სომხური შენაერთების), რაც არდოარდის უპირატესობის აღიარებას ნიშნავდა. იგი *Primus inter pares* გახდა და ეს პირველობისათვის ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი გამოდგა. რა თქმა უნდა, გამეფებისათვის ეს საკმარისი არ იყო. არდოარდი ერის მხსნელი ანუ სოტერი უნდა გამხდარიყო. ამიტომ, ნეოპტოლემოსის დანიშვნებიდან რვა თვეში უყოყმანოდ ჩაუდგა სათავეში ანტიმაკედონურ გამოსვლას არმენიაში [გლინკა 1832: 116].

მითრენის ხანმოკლე მმართველობის პერიოდი სომხურ ისტორიოგრაფიაში დადებითად, მაკედონელთა ბატონობა კი ნომინალურად არის შეფასებული [გლინკა 1832: 117]. ქვეყანა იხდიდა გადასახადებს, საჭიროების შემთხვევაში გამოჰყავდა სამხედრო შენაერთები. წყაროებიდან არ ჩანს, რა ბედი ენია მითრენს შემდეგში. ფაქტია, რომ ბაბილონში სატრაპიების გადანაწილებისას ეს თანამდებობა ვაკანტური აღმოჩნდა. ისევე, როგორც ვალაკრის შემთხვევაში რეაგირება მომხდარზე პერდიკას მოუნია. არმენიის სატრაპად დანიშნულ ნეოპტოლემოსს დროიზენი არხივიპასპისტს უწოდებს. უაღრესად პატივმოყვარე პიროვნება, რომელსაც თავი მოჰქონდა ეაკიდების დინასტიის მემკვიდრედ. გიპასპისტები მაკედონური არმიის ელიტარული ქვეითი შენაერთი იყო. მათი რიცხვიდან ალექსანდრემ ჩამოაყალიბა სახელგანთქმული არგირასპიდების (ვერცხლის ფაროსნები) აგემა (სამიათა კაცამდე). მეთაურად აქ პარმენიონის ვაჟი ნიკანორი დაინიშნა. შუა აზიაში, მისი დალუპვის შემდეგ ინდოეთში, გიდასპის ბრძოლაში არგირასპიდებს სელევკი სარდლობს. ბაბილონში ქვეითი გვარდიის სარდალი უკვე ნეოპტოლემოსია. პითონისგან და კრატერისგან განსხვავებით ნეოპტოლემოსს ბაბილონში სამხედრო შენაერთი არ გადაეცა, რაც მიუთითებს, რომ ძვ.წ. 323 წ.-ის ზაფხულში არმენიაში ვითარება კონტროლს ექვემდებარებოდა [დროიzen 1995: 24].

ძვ.წ. 322 წლის კრიზისი არმენიაში პროვოცირებული იყო ნეოპტოლემოსის სალდაფონური მმართველობით. ამიტომ, განვითარდა მეტად არახელსაყრელ პოლიტიკურ ვითარებაში. კაპადოკიაში პერდი-

კამ ყველას ნათლად დაანახა, რომ ურჩობას არავის აპატიებდა. ახლა ის კილიკიაში, არმენიის სამხრეთით იდგა, ევმენი დასავლეთიდან, კაპადოკიიდან ახლოვდებოდა. ყველაზე მძიმე მდგომარეობაში არდოარდი აღმოჩნდა, რადგან ორივე არმია არმენიას, საკუთრივ სომხეთს უქმნიდა საშიშროებას. ვითარებას ამნვავებდა ის გარემოება, რომ კაპადოკიის მეფე არიარატის მემკვიდრე არმენიას აფარებდა თავს. ამ დროისათვის ევმენს უკვე დაწყებული აქვს კაპადოკიაში საკუთარი არმიის ფორმირება. მაგრამ, მისი დაკოლექტება და წრთვნა დასრულებული არ არის. კარდიელი ბერძენი გამჭრიახი მმართველი და კარგი ადმინისტრატორი გამოდგა. მან შეუნარჩუნა პრივილეგიები ადგილობრივ არისტოკრატიას და რიგიშელავათები დაუწესა იჯახებს, ვინც შვილები მის კავალერიაში ჩარიცხა. მოკლე ხანში ევმენის განკარგულებაში აღმოჩნდა 5000 კარგად ეკიპირებული მხედარი (სახსრების ნაკლებობას ის ნამდვილად არ განიცდიდა). კავალერიის ენთუზიაზმი გადაედოთ ქვეითებს, რომლებსაც ევმენი მაკედონური ბრძოლის წესებს ასწავლიდა [დროიzen 1995: 69].

არმენიაში ლაშქრობა მაკედონურ-კაპადოკიური არმიის პირველი სამხედრო ოპერაცია გახლდათ. თუმცა, ევმენი არც აპირებდა ომს. ათვითცნობიერებდა რა მოწინააღმდეგის უიმედო მდგომარეობას კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოაგვარა. მოლაპარაკების პროცესში არდოარდმა განაცხადა, რომ აჯანყება მიმართული იყო ნეოპტოლემოსის დესპოტიის და არა მაკედონელების წინააღმდეგ. ეს ნიშნავდა, რომ სომხური სამეფოს შექმნის მეორე მცდელობა მარცხით დასრულდა. მაკედონელი პეტიტარიერებით ზურგ გამაგრებულ ნეოპტოლემოს არმენიაში მეფური დახვედრა მოუწყეს. სატრაპა მან სიკვდილამდე, ძვ.წ. 321 წ.-ის გაზაფხულამდე შეინარჩუნა [გლინკა 1832: 119-120]. აჯანყების მსვლელობის პროცესში წყაროებში არ ჩანს არმენიაში მცხოვრები ორი “დიდი” ხალხი - მატიენები და სასპერები. მატიენებთან მიმართებით შეიძლება ითქვას: ძვ.წ. 322 წ.-ის გაზაფხულზე მაკედონელთა პოზიციები ჯერ კიდევ საკმაოდ მყარია იმისათვის, რომ მათ მთლიანად დაეკარგათ კონტროლი იმპერიის ძირითად მაგისტრალზე. შემთხვევითი არაა, რომ არმენიის სატრაპიის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი მატიენა, სელევკიდების სამეფოს შემადგენლობაში შევიდა არმენიის სახელწოდებით [Ποმიური 1981: 37]. რაც შეეხება სასპერებს, ისინი წყაროებში უშუალოდ არმენიის აჯანყების წინ, ჯერ კიდევ ალექსანდრე დიდის სიცოცხლეში იხსენებიან. სტრაბონის თანახმად, ალექსანდრეს მიერ სვისპირითში

ოქროს საბადოების დასაუფლებლად გაგზავნილ იქნა მენონი ჯარისკაცებითურთ, მაგრამ მკვიდრმა მოსახლეობამ ის უკუაგდო (XI, 14, 9). ბრძოლაში დაიღუპა მენონიც. სასპერების ქვეყანა ლოკალიზდება არმენიის სატრაპიის ჩრ. დასავლეთ ნაწილში, ისტორიული სპერის, ტაოს, მდ. ჭოროხის, არაქსის, ევფრატის (ყარა-სუ) სათავეების რაიონში.

იგი ურარტული წყაროებიდან კარგად ცნობილი დიაუხის მემკვიდრეა რეგიონში. სასპერების სახელწოდებაში ენათმეცნიერები გამოყოფენ ქართველურისათვის დამახასიათებელ “სა” თავსართს (სა-სპერ, სა-მცხე, სა-ქართველო). გ. მელიქიშვილისა და ი. დიაკონოვის გამოკვლევებით ძვ.წ. VI-IV სს-ში ეს რეგიონი ქართველური და მეგრულ-ჭანური ტომების განსახლების არეალში შედიოდა [მელიკიშვილი 1959: 52-57. დეკონოვ 1956: 355].

არმენიის სატრაპიის სხვა “დიდი” ხალხებისგან განსხვავებით სასპერებმა მიდიურ ჰერიოდში დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს. ჰეროდოტეს მიხედვით, “მეოტიდის ტბიდან მდინარე ფაზისისა და კოლხების ქვეყნამდე არის 30 დღის გზა ქვეითისათვის. კოლხეთიდან მიდიამდე კი გზა დიდი არ არის; ამ ქვეყნებს შორის მხოლოდ ერთი ხალხი ცხოვრობს — სასპერები; მათ გასცდები თუ არა, უკვე მიდიაში ხარ (Herod I. 104). აქემენიდური ორანის შემადგენლობაში სასპერები დარიოს I-ის დროს ალმოჩნენ, როგორც ფიქრობენ, ფრავარტიშის აჯანყების ჩაქრობის შემდეგ. ზუსტი თარიღი ცნობილი არ არის. (ი. დიაკონოვი არ იზიარებს გერმანის მიერ შემოთავაზებულ თარიღს — ძვ.წ. 515 ს-ს [დეკონოვ 1956: 345]).

ძვ.წ. 401 წ-ს სასპერები მხარში უდგანან დასავლეთ არმენიის გიპარხს, მეფის უზანგის დამჭერ ტირიბაზს, რომელიც ბერძნების ათიათასიან არმიას უპირისპირდება. აქედან ჩანს, რომ სასპერები ანგარიშგასაწევი ძალაა. ბერძენმა დაქირავებულებმა თავი აარიდეს შეტაკებას, მძევლად აიყვანეს ტირიბაზის ელჩები და ბრძოლის ველს გაეცალენ (Xsen. Ana., IV, 4-6) ჯ. როულისონი, მკვლევარი, რომელმაც შეიმუშავა სასპერების ისტორიის ქრონოლოგია, ძვ.წ. V-IV სს-ს გამოყოფს, როგორც სასპერების აქემენიდური ორანის შემადგენლობაში ყოფნის პერიოდს [Rowlison. 1862: 186-187]. გ. მელიქიშვილის აზრით, ამ დროს ჩნდება მცნება “არიან ქართლი,” ანუ არიული ქართლი, რაც პერსარმენიის, არმენოხალიბის შესატყვისი ტერმინია [მელიქიშვილი 1970: 440].

ალექსანდრე დიდის ბრწყინვალე გამარჯვებების ფონზე მეორეხარისხოვანი მარცხი სვისპირიტში მკრთალად გამოიყურება. მაგრამ, სასპერებისთვის, მათი ლიდერისთვის

ეს ლეგენდარული გამარჯვება იქნებოდა (მაკედონელების დაშარცხება ალექსანდრეს სიცოცხლეში). შეიძლება აქედან მომდინარეობს ძველ ქართულ და სომხურ წყაროებში შემონახული ტრადიცია სპერის მმართველი დინასტიის “სარდლობის განსაკუთრებული ნიჭის” შესახებ [მელიქიშვილი 1999: 376]. ეს არის მაკედონელთა პირველი მარცხი მთელ კამპანიაში და ყურადღებას იმსახურებს: I. სვისპირიტამდე მაკედონური არმია დაუბრკოლებლად გადაადგილდება სომხეთის ან ალაროდიების ტერიტორიაზე (ეს იმასთან დაკავშირებით, რომ არმენიაზე არც ერთ მაკედონულ სარდალს არ გაუვლია); II. სამხედრო ოპერაციის მიზანი მოკრძალებულია. მენონს დაევალა არა სასპერების მორჩილებაში მოყვანა, არამედ ოქროს საბადოების დაუფლება; III. სასპერებმა შეინარჩუნეს ეს მნიშვლელოვანი რესურსი; IV. სასპერების ხელში აღმოჩნდა სამხედრო ძალა მაკედონური არმიის დასამარცხებლად; IV. ისევე, როგორც ვალაკრის და მითორენის შემთხვევაში, რეგაბირება მომხდარზე ბაბილონში პერდიკამ მოახდინა, რაც მიუთითებს, რომ სვისპირიტში ლაშქრობას ადგილი ჰქონდა ალექსანდრე დიდის სიცოცხლის ბოლოს, მითორენის არმენიაში მმართველობის დროს.

ძვ.წ. 325 წ-ს არმენიაში სატრაპის დანიშვნა, ძვ.წ. 324 წ-ს (არა უგვიანეს 323 წ-ის გაზაფხულისა) სადამსჯელო ექსპედიციის გაგზავნა სვისპირიტში მიუთითებს, რომ სასპერებმა არ სცნეს მითორენი, შესამამისად არცნეს მაკედონულთა ხელისუფლება. სტრაბონის ცნობაზე დაყრდნობით მიუთითებდა პეროდოტეს თხზულების ინგლისურ ენაზე მთარგმნელი და გამომცემელი ჯ. როულისონი, რომ სასპერებმა დამოუკიდებელობა ძვ.წ. 331 წ-ს მოიპოვეს (მისი ქრონოლოგიით, მათი ისტორიის III პერიოდის საწყისი), რაც სავსებით შეესაბამება ქართული წყაროების ცნობებს. [Rowlison. 1862: 186-187]. გამოდის, რომ არმენიის სატრაპიაში მცხოვრები ხალხებიდან სასპერებმა გამოიყენეს ძვ.წ. 331-325 წწ-ში შექმნილი ვითარება და დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მაგრამ, საიდან აღმოჩნდა სასპერების განკარგულებაში ძალა მოკავშირეების გარეშე წამოეწყოთ აჯანყება და ღიად დაპირისპირებოდნენ მაკედონულებს. არმენიის ძვ.წ. 322 წ-ის ანტიმაკედონური გამოსვლის ორგანიზება მას შემდეგ მოხერხდა, რაც გაერთიანდნენ არდოარდი, ორონტი და მაგი მერგამი. სწორედ ამ შეთანხმებამ შეცვალა ძალთა თანაფარდობა რეგიონში და როცა არდოარდი და მაგი მერგამი ორ კოლონად ნეოპტოლემოსის ბანაკთან გამოჩნდნენ, მან ბრძოლა ვერ გაბედა [გლინკა 1832: 114].

სასპერების წარმატება განხილულ უნდა იქნას არა მარტო არმენიის ძვ.წ. 322 წ-ის

აჯანყების კონტექსტში, არამედ იმ მოვლენებთან კავშირში, რომელიც ბრძოლის შემდეგ განვითარდა. იმპერიის განაპირას, ხელისუფლების ვაკუუმის პირობებში სასპერები მოექცე არანაკლებ მნიშვნელოვანი და დინამიური პროცესების ეპიცენტრში. „მოქცევაი ქართლისაი-ს“ ქრონიკა ქართული სახელმწიფოს შექმნას სპერის მმართველ დინასტიას და მესხთა მიგრაციას უკავშირებს. არიან ქართლის მმართველი აზო ათი მესხი ტომის ბელადის (“ათ სახლი მამა-მძუძეთანი” ვარ. „ათ სახლი მთავართაგან პალატისაგან“) თანხლებით ქართლში შემოდის და იბერიის პირველი მეფე ხდება. არიან ქართლიდან აზოს ჩამოაქვს თავისი სალოცავი კერპები (გაცი და გა) [“მოქცევაი ქართლისაი” 1963: 82] და ჩამოჰყავს რვა სახლი „მდაბიო უფლისაი“ (ვარ. „მდაბიო უფლისაი და მოქლაქე“). ამ მასის „დედანულით დაშენებამ“ შიდა ქართლში გამოიწვია მატერიალური კულტურის ტრანსფორმაცია, დემოგრაფიული და ურბანული აფეთქება [ლოდკიპანიძე 1989: 312], საფუძველი დაედო სამადლოს ტიპის არქეოლოგიური ძეგლების გაფურჩქვნის საუკუნოვან პერიოდს [გაგოშიძე 1970: 41-46; გაგოშიძე 1979: 130].

შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ერის ისტორიაში ყველაზე მაშტაბური და შედეგებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი მიგრაცია დოკუმენტურად დასტურდება ძველი ქართული წერილობითი წყაროებით და არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილი მასალით. ამჯერად, ინტერესის საგანს წარმოადგენს მიგრაციის არა ფინალური სტადია, ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა, არამედ მისი საწყისი ფაზა, როცა არიან ქართლის მმართველი აზო მამამძუძეობის ინსტიტუტის წყალობით დუკავშირდა მესხ ბელადებს, ქართული სახელმწიფოს პირველ აზნაურებს. ხელოვნური დანათესავების, მამაძუძუბის ინსტიტუტი სტადიალური ხასიათის მოვლენაა მსოფლიოს ხალხების ისტორიაში. ქართველური ტომებით დასახლებულ ტერიტორიაზე იგი მოქმედებს ძვ.წ. XI-IX სს-დან, რკინის ფართო ათვისების პირველი საფეხურიდან. კლასობრივი საზოგადოების გენეზისის პროცესში მამამძუძეობის ინსტიტუტი გაბატონების გზაზე მდგომი ფენების კონსოლიდაციას ისახავდა მიზნად, რადგან ხელოვნური ნათესაობა სისხლით ნათესაობას უტოლდებოდა [მამულია 1979: 71-72; გაგოშიძე 1970: 41-46]. მესხმა ბელადებმა სცნეს აზოს უპირატესობა (რანგით იგი არდოარდის, მაგი მერგამის და ორონტის თანასწორია, ანუ გააჩნია ლეგიტიმაცია), საპასუხოდ, აზომ მოსხები-მესხები დაასახლა თავისი ქვეყნის იმ ნაწილში, რომელსაც დღესაც სამცხე, ანუ მესხეთი ჰქვია. მესხ-

ეთის ლოკალიზაციას სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, იბერიის, კოლხეთისა და არმენიის საზღვარზე იძლევა სტრაბონი, ძვ.წ. I ს-ში არსებული ვითარების დახასიათებისას (Strabo XI, 2, 14), ძვ.წ. V ს-ში ჰეროდოტე მესხებს-მოსხებს XIX სატრაპიაში, კაპადოკიის ჩრდ. დასავლეთ საზღვართან ათავსებს, 6. ხაზარაძის თანახმად თანამედროვე თოვათყირაყისარ-გიუმუშხანეს რაიონში [ხავარაძე 1991: 7]. აქემენიდური ირანის №19 ადმინისტრაციული ოლქი დასავლეთიდან უშუალოდ ეკვროდა არმენიის სატრაპიის ქართულ პროვინციებს: სპერს, რომელიც იმ დროს მოიცავდა ტაოს. აგრეთვე, ხალიბებით დასახლებულ კარენიტს, იგივე კარნუ-ქალაქს, არზრუმს, მდ. დასავლეთ ეკვრატის სათავეში, აგრეთვე მოსინიკურ ქსერქსენეს, იგივე დერქსენეს (სომხური დერჯანი) აღმოსავლეთით (Strabo., XI, 14, 5). ქართველური ტომებით დასახლებული ეს რეგიონი მესხთა მიგრაციის ერთადერთი პერსპექტიული მიმართულება იყო და ამ „დიდი მოძრაობის“ მარშრუტიც ნათლად იკვეთება.

არქეოლოგიური წყაროების მიხედვით მესხთა მიგრაციული ტალღა შიდა ქართლში ძვ.წ. IV ს-ის ბოლოს შემოვიდა [გაგოშიძე 1970: 41-46], რასაც წინ უძლოდა მათი განსახლება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ მესხეთში. ხალხის ასეთი მაშტაბური გადაადგილების პირობები მახლობელ აღმოსავლეთში გავგამელის ბრძოლის შემდეგ შეიქმნა, როცა თავისუფალი აღმოჩნდა ქართველური ტომების მთელი მასივი სამხრეთ-დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან ჰერეთამდე, მათ შორის აქემენიდური ირანის ადმინისტრაციულ სისტემაში ჩართული „სვისპირიტი“, ქართული წყაროების არიან-ქართლი. ძვ.წ. 331-325 წწ-ში „სამეფო გზის“ არმენიის მონაკვეთისგან არმენებისა და ალაროდიების ბუფერული ზონით გამიჯნულ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე მაკედონელები რეაგირებასაც კი ვერ მოახერხდნენ. ძვ.წ. 331 წ. ეს დერეფანი გაიხსნა, ძვ.წ. 225 წ. სასპერები არ დაემორჩილნენ მითრებს, ძვ.წ. 324 წ. კი (არა უგვიანეს ძვ.წ. 323 წ. გაზაფხულისა) დაამარცხეს მაკედონელები. ვფიქრობთ, ძალთა თანაფარდობის ასეთი მკვეთრი ცვლილება მესხთა მიგრაციის შედეგი იყო. ძვ.წ. 331-325 წწ-ში ბიძგი ამ „დიდ მოძრაობას“ შეიძლება მისცა კაპადოკიაში მიმდინარე პროცესებმა. ომისთვის მზადების პროცესში არიარატი ყოველმხრივ ახალისებდა ანტიმაკედონურ განწყობას მეზობელ ხალხებში. ნარმატებას მან კილიკიაშიც მიაღწია. ალექსანდე მაკედონელის მიერ საგანგებო უფლებებით აღჭურვილი სატრაპივალაკრი სწორედ ადგილობრივ ტომებთან ბრძოლაში დაიღუპა. სატრაპიების გადან-

ანილებისას ბაბილონში პერდიკამ მის ადგილზე ფილოტა დანიშნა. ესეც კაპადოკიის მოსაზღვრე რეგიონია და ქრონოლოგიურადაც მაკედონელთა მეორე მარცხი ისტორიის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს შეესაბამება [Дроизен 1995: 20-21].

ანტიმაკედონური აჯანყების წამოწყება ამ ეტაპზე წმინდა წყლის ავანტიურა იყო. იმპერიაში ობიექტურად არ არსებობდა ძალა, რომელიც დაუპირისპირდებოდა პერდიკას “სამეფო” არმიას (ამიტომ, არიარატი დიდი არმიით დამარცხდა, ხოლო ბერძნებმა 28000 კაცით გაიმარჯვეს). დიადოქოსების ხანა ავანტიურისტების ეპოქაა. გავიხსენოთ სელევკი, რომელიც კუთვნილი ბაბილონის დასაბრუნებლად 800 ქვეითითა და 200 მხედრით გაემართა. თანამებრძოლები მის ნაბიჯს სიგიურს უწოდებდნენ. სელევკიმა შტურმით აიღო სატრაპის სასახლე ბაბილონში და ყველაზე დიდი ელინისტური სახელმწიფო დაფუძნა. თუმცა, უმრავლესობას ბედი ასე არ უმართლებდა. პერდიკა, კრატერი, პითონი, ლეონატი, ნეოპტოლემოსი, ანტიგონი, ევმენი, არიარატი თავდავიწყებით ებმებიან ავანტიურაში, ერთბაშად უზარმაზარ ძალაუფლებასა და სიმდიდრეს უუფლებან, შემდეგ კი ყველაფერს კარგავენ სიცოცხლესთან ერთად. ქართული წყაროების მიხედვით ქართლის (იბერიის) პირველი მეფე აზო სწორედ ასეთი პერსონაჟია. ალექსანდრეს გეტაირი (პატრიკი), ახალგაზრდა, ამბიციური, “სარდლობის ნიჭით დაჯილდოებული.” ისახასვს მიზნებს, რომელიც თანამებრძოლებს სიგიურ ჰქონიათ”. აზოს თავგადასავალი სიუჟეტურად და ქრონოლოგიურად დიადოქოსების ხანას განეკუთვნება (არ ჰგავს ფარნავაზიანი მეფების ისტორიებს, არ განიცდის აღმოსავლურ გავლენებს, არ შეიცავს ორთაბრძოლებს ბუმბერაზებთან და სხვა). მხოლოდ ასეთი ავანტიურისრული მიდრეკილებების პიროვნებას შესწევდა ძალა ისეთი მაშტაბური პროექტის განხორციელებისა, როგორიცა არის მესხი ხალხის გადასახლება. აზო პირველია, ვინც ქვეყნის მეფურად მართვა დაიწყო. მის ხელთ არსებული ოქროს საბადოები, მესხთა სამხედრო ძალა და მოკავშირები (კოლხეთის სამეფო და ქართლის სამამასახლისო) გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ეს არ იყო თავზეხელადებული ნაბიჯი. გაცილებით უფრო დიდ რისკზე წავიდა ძვ.წ. 322 წ-ს არდოარდი, როცა სათავეში ჩაუდგა ანტიმაკედონურ გამოსვლას სომხეთში. ძნელი სათქმელია, როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რომ არა ალექსანდრე მაკედონელის მოულოდნელი სიკვდილი. ფაქტია, რომ გამარჯვების შემდეგ სასპერებმა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მშვიდობიანი პაუზა მიიღეს (მესხების

“დაშენებისთვის,” რეგიონის ათვისებისთვის, ძალთა გადაჯგუფებისათვის).

ძვ.წ. 322 წ-ის გაზაფხულზე მაკედონელებმა დაკარგეს სომხეთი და ალაროდიების ქვეყანა. მართალია, პოზიციები ძვ.წ. 321 წ-ის გაზაფხულზე აღიდგინეს, მაგრამ ნეოპტოლემოსის მისწრაფებები ამ დროს მთლიანად მცირე აზისკენაა მიმართული. ვითარება იმპერიაში ძირფესვიანად შეიცვალა. დევნილი ანტიგონი ანტიპატრი მეგობრულად მიიღო. კრატერის მიერ მოწვეულ სამხედრო თათბირზე რეგენტის მოქმედებები დაგმეს და გაფორმდა დიადიქოსების პირველი კოალიცია: იმპერიის პროსტატი კრატერი, ევროპის სტრატეგოსი ანტიპატრი და ალექსანდრეს პირადი მცველი და მეგობარი (ზოგიერთი ვერსიით ნახევარდმა) ეგვიპტის სატრაპი პტოლემე ლაგიდი. ანტიგონი ჯერ ჩრდილში რჩება. რეალურ ძალაუფლებას ის არ ფლობს და თავის დროს ელის.

პტოლემე ლაგიდმა თავიდანვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაზე აიღო გეზი. ამიტომ, მომზადებული შეხვდა ომს. მან საჯაროდ გაასამართლა და სიკვდილით დასაჯა თავისი წინამორბედი კლეომენი, ხოლო მისი მოხვეჭილი 8000 ტალანტი იქრო არმიის ფორმირებისთვის გამოიყენა. პერდიკა სამართლიანად თვლიდა მას თავისი ძირითად მინინააღმდეგედ. ამოტომ, სამეფო არმია ეგვიპტისკენ დაძრა [Дроизен 1995: 64].

არმენიის საქმეების ბრწყინვალედ მოგვარების შემდეგ პერდიკამ ევმენი მცირე აზის სტრატეგოსად დანიშნა. კაპადოკია-პაფლაგონიასთან ერთად ძვ.წ. 322 წ-ის შემოდგომაზე მას სამართავად გადაეცა ლეონატის ჰელესპონტის ფრიგია, ასანდრის კარია, ანტიგონის ლიკია და დიდი ფრიგია. რეგენტმა ევმენს დაუმორჩილა თავისი ძმა ალეკეტა, ლიდიის სატრაპი მენანდრი, არმენიის სატრაპი ნეოპტოლემოსი და კილიკიის სატრაპი ფილოტა, რომლის სატრაპია ფილოკესნს გადაეცა. მიუხედავად იმისა, რომ მაკედონელებს სძულდათ ევმენი პერდიკამ იცოდა—ერთად-ერთი ვისაც შეეძლო კრატერის შეჩერება ევმენი იყო. მას დაევალა არ დაეშვა მონინააღმდეგის შემოჭრა მაკედონიიდან. თუმცა, მტერი დაუბრკოლებლად გადმოსხდა მცირე აზიაში და მაკედონურმა გარნიზონებმა მასიური გადასვლა დაიწყეს კრატერის მხარეზე. მხარდაჭერის შემთხვევაში კრატერი ევმენს დამატებითი სატრაპიების გადაცემას შეპირდა. მაგრამ, კარდიელი ბერძენი ანტიპატრს არ ენდო და კაპადოკიისკენ დაიხია. ვითარება აქაც არასახარბიელო დახვდა. ალეკეტამ უარი თქვა ბრძანების შესრულებაზე. პირდაპირ

განაცხადა, რომ მისი მაკედონელები არ იბრძოლებდნენ ევმენის სარდლობით კრატერის წინააღმდეგ. ნეოპტოლემოსმა ელჩები გაგზავნა მტრის ბანაკში. ირმშუნებოდა, რომ იძულებული გახდა მიმხრობოდა პერდიკას და საქმით დაამტკიცებდა თავის ლოიალურობას. მან მკვლელები მიუგზავნა ევმენს, რომელმაც დამალა მომხდარი, ნეოპტოლემოს ბრძანება გაეგზავნა დაუყონებლივ გამოცხადებულიყო მასთან ბანაკში, თვითონ კი მაკედონელი ოფიცირებით დაკომპლექტებული კაპადოკიური არმიით არმენიისკენ დაიძრა [Дроизен 1995: 11].

ძვ.წ. 321 წ. გაზაფხულზე ნეოპტოლემოსის განკარგულებაში არსებული სამხედრო ძალა აღმატება ევმენის არმიას, როგორც რიცხვით, ასევე ხარისხით. მის ხელში აღმოჩნდა მაკედონური ფალანგა, რომელიც იმ დროისათვის დაუმარცხებლად ითვლებოდა. ნეოპტოლემოსმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ის ფაქტი, რომ არიარატის მემკვიდრე არდოარდ ჰყავდა შეფარებული. არ დაასმინა იგი ევმენთან. პირიქით, დაავალა საგანგებოდ დაემალა და დაეცვა ტახტის მემკვიდრე, რითაც სარდლობას ჩამოაცილა. სატრაპიის კავალერია მან თავიდანვე ორონტს ჩააპარა. როგორც ფიქრობენ, ეს დანიშვნა ევმენის რჩევით განხორციელდა და მიზნად ისახავდა არმენიის აჯანყების ლიდერების მაგი მერგამისა და არდოარდის გავლენის შესუსტებას (ეს ნათლად ნარმოაჩენს რაოდენ დაბალი იყო ორონტის სტატუსი ამ პერიოდში). ნეოპტოლემოსი იმედოვნებდა, რომ გამარჯვების შემთხვევაში ევმენის კაპადოკია, პაფლაგონია და შავ ზღვაზე გასასვლელი მას დარჩებოდა. ბრძოლაში გადამწყვეტი აღმოჩნდა კაპადოკიური კავალერიის შეტევა. ფლანგებზე ევმენმა გაფანტა მტრის მხედრობა, ფალანგას გარშემოერტყა და დანებებული მაკედონელები კვლავ რეგენტის ერთგულებაზე დააფიცა. ძვ.წ. 321 წ.-ის შემოდგომაზე ევმენი დამატებით არმენიის სატრაპი გახდა, ხოლო ორონტი, არდოარდი და მაგი მერგამი მისი ვასალები [Глиника 1832: 122]. ეხლა ის მზად იყო კრატერთან ბრძოლისთვის.

ანტიპატრთან ბანაკში გამოცხადებულ ნეოპტოლემოსს ყველა დაეთანხმა, რომ ასეთი მოწინააღმდეგის ზურგში დატოვება სახითათო იქნებოდა. ამიტომ, კრატერს გადაეცა თითქმის მთელი მაკედონური არმია 25000 ქვეითი, 2500 მხედარი. ევმენს არ სურდა მის ოფიცირებს გაეგოთ, რომ კრატერს უპირისპირდებოდნენ. ამიტომ, ყველანი დაარჩმუნა, რომ მოღალატე კაპადოკიელების მხარდაჭერით ნეოპტოლემოსი თავდასხმის გამეორებას აპირებდა. უმუალოდ ბრძოლის წინ კი გააფრთხილა კავალერია: მტრის დანახვისთანავე ყოველგვარი მოლაპარა-

კებების გარეშე იერიში მიეტანათ მოწინააღმდეგებზე. თავის ფლანგზე ევმენმა ორთაბრძოლაში მოკლა ნეოპტოლემოსი. საწინააღმდეგო ფლანგზე დაიღუპა კრატერი. კარდიელმა ბერძენმა ხმით დაიტირა მეგობარი და მაკედონელებს საპატიო ზავი შესთავაზა. ლამე ევმენს ჭრილობები გაუმიზებდა და ციება დაეწყო. ამით ისარგებლეს მაკედონელებმა და ანტიპატრთან გაიპარენ. საპასუხოდ ევმენი მცირე აზისკენ დაიძრა და დაკარგული პოზიციები აღიდგინა. დემორალიზილებული არმიით სირიაში მდგარი ანტიპატრი თავად გაება მახეში. გზა მაკედონიისკენ მოჭრილი აღმოჩნდა. ათ დღეში ევმენმა ორჯერ დაამარცხა რიცხვით აღმატებული მაკედონური არმია და ძლიერების ზენიტს მიაღწია. თუ რეგენტი წარმატებით დაასარულებდა ეგვიპტურ კამპანიას ალექსანდრე მაკედონელის იმპერიაში ევმენი მეორე კაცი გახდებოდა. რეგენტის გამარჯვებაში კი ეჭვი არ ეპარებოდა. პერდიკას განკარგულებაში ხომ მსოფლიოში საუკეთესო, “სამეფო” არმია იყო [Дроизен 1995: 64].

ფორტუნა ხშირად დასცინის დიადოქოსებს. პტოლემე ლაგიდი “სამეფო” არმიაში არანაკლები გავლენით სარგებლობდა. როგორც ფიქრობენ, მან უბრალოდ “იყიდა” პერდიკას სარდლები. თავი გვარდიამ შეირცხვინა. ნილოსის ფორსირებისას განცდილი წარუმატებლობის შემდეგ გამართულ თათბირზე ფალანგისტებმა პითონის თაოსნობით დაუმორჩილებლობა გამოაცხადეს და რეგენტის კარავი დატოვეს, რომელშიც ხილიარხი სელევკი და არგირასპიდების მეთაური ანტიგენი შევიდნენ. პირველი დარტყმა მახვილით პერდიკას სწორედ მან მიაყენა. გაიგო თუ არა მომხდარი პტოლემე ლაგიდი ამალით სამეფო არმიის ბანაკში მივიდა, კომფლიქტს გაუგებრობა უწოდა და ყველაფერი პერდიკას დააპრალა. ჯარმა იგი ერთხმად რეგენტად დაასახელა. მაგრამ, პტოლემეს ლაგიდს ფარაონობა სურდა. ამიტომ, დროებით რეგენტად ჯარს პითონი და არიდეუსი შესთავაზა. პიროვნება, რომელმაც პერდიკას ბრძანების მიუხედავად ალექსანდრეს დიდის ნეშტი ალექსანდრიაში გადასვენა. სწორედ ამ დროს მოვიდა სამეფო არმიის ბანაკში კრატერისა და ნეოპტოლემოსის დალუპვის ამბავი. ეს ცნობა ორი დღით ადრე რომ მოსულიყო პერდიკას ეგვიპტური კამპანია შეიძლება წარმატებით დასრულებულიყო. ეხლა კი არავინ გაახარა. საგანგებოდ მოწვეულ შეკრებაზე ევმენსა და პერდიკას ძმას ალექტას სიკვდილის განაჩენი გამოუტანეს. გაგზავნეს ელჩები ანტიპატრთან სირიაში, ანტიგონობან კვიპროსზე ბრძანებით, დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ მდ. ორონტზე, ტრიპარაიდისში [Дроизен 1995: 64].

მაკედონელთა თავყრილობაზე პითონმა და არიდეუსმა მოიხსნეს ნაკისრი ვალდებულებები. რეგენტად და სამეფო არმიის მთავარსარდლად ანტიპატრი დასახელდა. არგირასპიდებმა მას ალექსანდრე მაკედონელის მიერ შეპირებული გასამრჯელო და საჩუქრები მოსთხოვეს. სალდაფონური პირდაპირობით ანტიპატრმა განაცხადა, რომ ასეთი თანხა არ გააჩნდა. მდგომარეობა დაიძაბა. ქვეითებმა მდ. ორონტზე ხიდი გადაკეტეს. შეშვოთებულმა ანტიგონმა სრული აღჭურვილობით მდინარე გადმოკვეთა და მაკედონელებს სიტყვით მიმართა. ამით ისარგებლა ხილიარხმა სელევკმა. გეტაირების შუაგულში მოაქცია ანტიპატრი და ნაწილობრივ ძალის გამოყენებით მდინარეზე გადაიყვანა. ასე მოიპოვა სელევკმა იმ დროის ორი ყველაზე გავლენიანი დიადოქოსის — პტოლემე ლაგიდისა და ანტიპატრის მხარდაჭერა. შემთხვევითი არ არის, რომ სელევკს ტრიპარაიდისში ყველაზე მდიდარი ბაბილონის სატრაპია არგუნეს. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაში სელევკმა თავი შედარებით გვიან, ინდოეთში გამართულ გიდასპის ბრძოლაში გამოიჩინა. არნახული მამაცობისა და თავგანწირვის წყალობით მან გარდატეხა შეიტანა მეფე პორის საომარ სპილოებთან შეტაკებაში, საიდანაც მომდინარეობს მეტსახელი “ნიკატორი.” ფიზიკური ძალის გარდა იგი გამჭრიახობით გამოირჩეოდა. მან სათანადოდ შეაფასა პერდიკას, როგორც იმპერიის შენარჩუნების პარტიის მარცხი. ხილიარხის სახელო დათმო (სატრაპობა არჩია) ანტიპატრის ვაჟის კასანდრის სასარგებლოდ, რომელიც არ მონანილეობდა ალექსანდრეს ლაშქრობაში და ასეთ მაღალ თანამდებობას არმიაში არ იმსახურებდა [Дроизеен 1995: 103].

ტრიპარაიდისში ანტიპატრმა თავიდან მოიცილა ყველა ბუნტის წამომწყები არგირასპიდები. მათ საპატიო დავალება მიეცათ: სუზიანადან ზღვის სანაპირომდე ალექსანდრე მაკედონელის ოქროს საგანძურის ტრანსპორტირება. პტოლემე ლაგიდმა შეინარჩუნა ეგვიპტე, ანტიგონმა დიდი ფრიგია და ლიკია. ჩვენთვის კი თავყრილობა ტრიპარაიდისში იმით არის საინტერესო, რომ გადასანანილებელი სატრაპიებს შორის აღარ აღმოჩნდა არმენია [Дроизеен 1995: 107]. არდოარდმა თავი მეფედ გამოაცხადა. ამჯერად დრო კარგად შეირჩა. ევმენის პოზიციების შესუსტება თვით მაკედონელთა ინტერესებში შედიოდა. მოვლენების შემდგომა განვითარებამ აჩვენა, რომ კავშირი არდოარდის, მაგი მერგამისა და ორონტს შორის ამ ეტაპზეც ძალაში რჩება [Глинка 1832: 122].

ეს საერთო ინტერესებზე დაფუძნებული ნებაყოფლობითი ალიანსი იყო. დია-

დოქოსების ეპოქის გარიურაჟზე მხოლოდ მსხვილ სახელმწიფო წარმოხაქმნებს შესწევდათ ძალა მაკედონელთა შეტევების მოგერიებისა. სამხედრო თვალსაზრისით წამყვანი ამ კავშირში სომხეთი იყო, არდოარდი კი კოლიციის ლიდერი. თუმცა, ძ.წ. 321 წ. არმენიის სამეფოს შიდა სტრუქტურა მყიფედ გამოიყურება. მაგი მერგამი და ორონტი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფიგურები ჩანანა. არდოარდის პოზიციები სომხეთში და კოალიციის დონეზე Primus inter pares შეესაბამება. შემთხვევითი არ არის, რომ ევმენმა მოახერხა ამ კავშირის გახლეჩა. თუმცა, მეტი თვითონაც აღარ დასცალდა (დაიღუპა დიადოქოს ანტიგონთან ომში). გადასანანილებელი სატრაპიების რიცხვში ტრიპარაიდისში არაპირდაპირ იხსენიება მიდია-ატროპატენა. პითონს ხასგასმით მიდია კასპიის გასასვლელამდე გადაეცა. ძალა ასეთი სირთულის ამოცანის გადაჭრელად მას არ ჰქონდა. ამიტომ, პითონს დამატებით ზემო სატრაპიების სტრატეგოსობა მიენიჭა. სათანადო მობილიზების პირობებში მიზანი სავსებით მიღწევადი ჩანდა (ევმენის მაგალითი ყველას თვალწინ ჰქონდა). მაკედონელთა ასეთი მკვეთრი რეაქცია მიდია-ატროპატენაში მიმდინარე პორცესებს უნდა გამოეწვია. არდოარდის თამამი გადაწყვეტილების ფონზე შესაძლოა თავი მეფედ ატროპატმაც გამოაცხადა. საკუთარი სიძის, რეგენტისა და მთავარსარდლის ვერაგული მკვლელობა საბაბად გამოდგებოდა. ატროპატი უკეთ ფლობდა ვითარებას რეგიონში და იკოდა, პითონის ბრძანებების შესრულებას აღარავინ აპირებდა. „ზემო“ სატრაპიები მაკედონელთა შინაომში ჩართვისთვის ემზადებოდნენ. მიდია-ატროპატენის ან არმენიის საკითხის მოგვარება ამ ეტაპზე მხოლოდ უმაღლესი რანგის დიადოქოსს, მაგალითად ანტიპატრს შეეძლო. მაგრამ, თავის ძირითად მონინააღმდეგედ იგი პერდიკას პარტიის ნარჩენებს განიხილავდა. ამ ძალებმა მაკედონიის ფლოტის სარდალ ატალთან ერთად მცირე აზიაში ალკესტასთან დაიწყეს თავმოყრა, სადაც ევმენი ისედაც მყარ პოზიციებს ფლობდა.

მაკედონიაში დაბრუნების წინ ანტიპატრმა მცირე აზიის სტრატეგოსად ანტიგონი (ციკლოპი) დანიშნა და საკმაოდ მნირი რესურსი დაუტოვა - 8500 ქვეითი, 70 საომარი სპილო და კასანდრის კავალერია, ევმენის 20000 ქვეითის, 30 საომარი სპილოსა და კაპადოკიური კავალერიის წინააღმდეგებ პერდიკას მომხრეები კორდინირებულ მოქმედებაზე მაინც თუ შეთანხმდებოდნენ ანტიგონი ასე თამამად ვერ იმოქმედებდა. მაგრამ, ალკეტამ თანამშრომლობაზე უარი თქვა. არც ევმენის მაკედონელები აპირებდნენ კარდიელი ბერძენისთვის მორიგი გამარ-

ჯვების მოპოვებას. ევმენმს უკან დახევამაც ვერ უშველა. დისლოკაციის აღგილის შეცვლისას მაკედონურმა შენაერთებმა ჩამორჩენა დაიწყეს ანტიგონის მხარეს გადასვლის მიზნით. ევმენმა მკაცრად აღკვეთა ყველა ასეთი მცდელობა, ფაქტიურად კი საომარ მოქმედებებს საკუთარ არმიასთან ანარმოებდა. საბოლოოდ ანტიგონმა აიძულა იგი მიეღო ბრძოლა. მოხდა ის, რისიც ევმენს ეშინოდა. მაკედონური შენაერთი ბრძოლის დროს ანტიგონის მხარეს გადასვლას შეეცადა. ევმენმა ისლა მოახერხა, რომ მოლაპატე სარდალი თანამებრძოლების თვალწინ ხეზე ჩამოახჩი და ვიწრო ხეობებს შეაფარა თავი. ანტიგონის დადევნებულ კავალერიას ოსტატურად თავგზა აუბნია, ბრძოლის ველზე თავებედურად დაბრუნდა და დაღუპულ თანამებრძოლებს წესი აუგო. ანტიგონიც აღფრთვანებული დარჩა. ევმენმა რჩეული თანამებრძოლებით ლიკიის საზღვართან მდებარე ციხე-სიმაგრე ნორაში პროვიანტი შეზიდა და იქ გამაგრდა.

ანტიგონმა კაპადოკია დაიკავა, ნორას ალყა შემოარტყა და ძირითადი ძალებით ალკეტასკენ დაიძრა. ალკეტა დამარცხდა და დანებებას თვითმკვლელობა არჩია. 60000 ქვეითით, 70 საომარი სპილოთი და 10000 კავალერიით ანტიგონი ყველაზე ძლიერი დიადოქოსი გახდა [Дроизен 1995: 135]. თითქოს შინაომი დასრულდა და მაკედონელებს დაკარგული პოზიციების აღდგენის შანსი მიეცათ. ძვ.წ. 219 წ. ანტიპატრის მოულოდნელმა სიკვდილმა ყველაფერი შეცვალა. ძალაუფლება მან საკუთარ შვილ კასანდრს კი არ გადასცა, არამედ თავის თანამებრძოლ პოლისპერხონტს. კასანდრი მცირე აზიაში ანტიგონთან გაიქცა. სამეფო ოჯახი, რომელიც ანტიპატრისა და კასანდრის აღზევებას სავსებით სამართლიანად საფრთხედ აღიქვამდა ჩათვალა, რომ გადამწყვეტი მომენტი დადგა და გადარჩენისთვის ბრძოლა ნამოინყო. ალექსანდრე მაკედონელის დედამ ოლიმპიადამ პირადად მიწერა ნორაში ევმენს და სამეფო ოჯახის მფარველობა სთხოვა. პოლისპერხონტის განკარგულებით იგი აზის სტრატეგოსად დაინიშნა და მოქმედების სრული თავისუფლება მიენიჭა. მასვე

დაუმორჩილეს არგირასპიდების შენაერთი. ბრძანების თანახმად მათ უნდა შეეწყვიტათ მაკედონიაში ოქროს ზღვით ტრანსპორტირება და დარჩენილი თანხა ევმენისთვის გადაეცათ. მოკავშირების მოზიდვის მიზნით ოლიმპიადამ სამეფო ოჯახის სახელით ევმენს დინასტების მეფედ აღიარების უფლება მისცა. ასეთი წინადადებით ევმენმა არდოარდს მიმართა. მას უშოკლესი გზა ჭირდებოდა ზემო სატრაპიებისკენ. სენ-მარტენზე დაყრდნობით ვითარებას ს. გლინკა ასე განმარტავდა. მიდიის სატრაპი პითონი, ბაბილონის სატრაპი სელევკი და არდოარდი ანტიგონს მიემხრენ, ხოლო „ქართველი“ და პერსიდის სატრაპი პევესტა ევმენს. ანტიგონი უზარმაზარი არმიით მცირე აზიაში არმენიისთვის რეალურ საფრთხეს ქმნიდა. ევმენის ლიად მხარდაჭერა ანტიგონისთვის ომის გამოცხადების ტოლფასი ნაბიჯი იქნებოდა. ამიტომ, არდოარდმა უსახსრობა მოიმიზება და მოლაპარაკებები ჩაშალა [Глинка 1832: 125]. „ქართველისთვის“ გადამწყვეტი სამეფო ოჯახის აღიარება გახდა. არმენიის სამეფოს არსებობის პირობებში მცირე აზიაში დაბანაკებული ანტიგონი რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა.

ამრიგად, ძვ.წ. 321 წ. მაკედონელებმა მეორედ, ამჯერად საბოლოოდ დაკარგეს არმენია და ალაროდიების ქვეყანა. ისტორიული საქართველოს მთელი პერიოდში განთავისუფლდა მაკედონელთა ბატონობისგან. ძალაუფლება ცენტრალურ, დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ამიერკავკასიაში სამი ქართული სახელმწიფო წარმონაქმნის ხელში გადავიდა. ისინი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებია და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით დაახლოებით ერთ საფეხურზე დგანან. ესეც საერთო საფრთხის წინაშე წარმოქმნილი ნებაყოფლობითი ალიანსია. ყველაზე მყიფედ სწორედ ეს დაჯგუფება გამოიყურება. დღის წესრიგში დადგა ერთიანი ქართული სახელმწიფოების შექმნის აუცილებლობა და ამ „ფრონტზეც“ უპიატესობას სამხრეთ-დასავლეთმა დაჯგუფებამ, არიან ქართლის მეფის ძე აზომ მესხების მხარდაჭერით მიაღწია.

ՀՈՒԹԵՐԱՑՄԱՆ

- Ածգալածյ 2001:** Ածգալածյ Ա. ქվեմո յարտլո ժշ.Բ. II և ճան աթ.Բ. IV և-մգյ, դմանուս III, տէ.
- Ցաշո՛նից 1970:** Ցաշո՛նից Օ. Տամագլուս մոխաթյուղո յյրամոյա. “Տածքուտա Տայարտցելու”. №23. տէ.
- Ընհելու 2001:** Ընհելու Յ. Կոլեցիուտուսա դա օծերուս յյլ-թյուրուս Տայուտեծու. տէ.
- Թամյուլու 1979:** Թամյուլու Գ. Կլասոնդրուզո Տաթոցագուցուսա դա Տաշըլմնուցու Քամոյալուծյ ժայռ յարտլու. տէ.
- Թյույյուն 1970:** Թյույյուն Յ. Կոլեցիուլո Գ. Կոլեցիուտու ժշ.Բ. VI-IV և-նո. Տայարտցելուս օսքորուս նարկացացածյ ժայռ յարտլու. տէ.
- Թյույյուն 1970:** Թյույյուն Յ. Կոլեցիուլո Գ. յարտլուս (օծերուս Տամյուլու). Տայարտցելուս օսքորուս նարկացացածյ ժ. I. տէ.
- Թյույյուն 1999:** Թյույյուն Յ. Կոլեցիուլո Գ. ժայռ յարտլու, Տոմելու դա Տյերնելու Տայուտորու Ծրագուցուա դա յարտլուս (օծերուս) Տամյուլու նարմոյմնու Տայուտեծու. ժոյեծու Տայարտցելուս կազասուսա դա աելու ալմուսավլուտուս ժայռ օսքորուս դարձու. տէ.
- “Թոյցեցա յարտլուսա” 1963:** Ժայռ յարտլու ացորցրացույլո լություրաթյուրուս ժյացածյ, Օ. Ածյուլածու րյացէցուու, տէ.
- Տաճածյ 2001:** Տաճածյ Թ. „յարտլուս Ցեղազրյան” ապա Տայարտցելուս օսքորուս չուցացածյ էլերուու. տէ.
- ՀՅ 1955:** յարտլուս Ցեղազրյան. Ծյէսթո դագցենուլո պայլա մորուտագու Ելենանցու մոխեցատ Տ. պայտինուն յարտլուս նարկացածյ. ՎI. տէ.
- Հյերթյուն 2000:** Հյերթյուն Դ. յարտլուս (օծերուս) Տամյուլու նարմոյմնու տարուս Շյասեյք. Տայարտցելուս Ելունցու Տայարտցելուս մոջնուցու մոջնուցու նարկացածյ. VI. տէ.
- Rowlison 1862:** History of Herodotus in Four Books. By Jorje Rowlison. London.
- Tommanff 1963:** Tommanff C. Studies in Christians Caucasian History.
- Աբազ 1888:** Աբազ Վ. Իстория Армении. Санкт Петербург.
- Գացին 1979:** Գացին Յ. Սամաց. Տիկին. Տիկին.
- Գլինկա 1832:** Գլինկա Ս. Обозрение истории Армянского народа. Москва.
- Դանդամաև 1985:** Դանդամաև Մ. Политическая история Ахеменидской державы. Москва.
- Դրուզ 1995:** Դրուզ Ի. Իстория Элинизма. Т.2. Ростов.
- Դյակոնով 1956:** Դյակոնով Ի. Իстория Мидии. Москва.
- Դյակոնով 1968:** Դյակոնով Ի. Предыстория армянского народа. История Армянского нагорья с 1500 по 500 г. до н. э. Хетты, Лувийцы,protoармяне. Ереван.
- Դյակոնով 1981:** Դյակոնով Ի. Малая Азия и Армения около 600 гю до н. է. и северные походы Вавилонских царей, ВДИ, №2. Москва.
- Կովալևская 1975:** Կովալևская Վ. Скифы, Мидия, Иран во взаимоотношениях с Закавказьем по данным Леонти Мровели. „Թացնյ“ օսքորուս, արյուղուս, յտբուցրացուս դա Ելունցու օսքորուս Տայուտու №3. տէ.
- Կուդրյավչեա 1974:** Կուդրյավչեա Ա. Կ истории др. Дербента. Древности Дагестана. Махачкала.
- Լոմուրի 1981:** Լոմուրի Ն. Հրազնо-Римские взаимоотношения. Тб.
- Լորդկիպանիձ 1989:** Լորդկիպանիձ Օ. Наследие древней Грузии. Тб.
- Մելիքիշվիլի 1959:** Մելիքիշվիլի Գ. Կ истории древней Грузии. Тб.
- Նարիմանաշվիլի 1991:** Նարիմանաշվիլի Գ. Կерамика Картли V-I вв. до н. է. Տիկին.
- Տեր-Մարտիրոս 1995:** Տեր-Մարտիրոս Փ. Образование царства Армения в контексте исторических данных и исторической памяти. Ереван.
- Շիֆման 1988:** Շիֆման Ի. Александр Македонский. Ленинград.
- Խազարաձ 1991:** Խազարաձ Ն. Կ вопросу о расселении Мокхов VI-VIII. до н. է. Ամոյրկացասուս օսքորուս Ցրոն-լյեմյ տէ.

გლიპტიკის ნიმუშები საქართველოს ეროვნული მუზეუმის მფლობელი

წინამდებარე ნაშრომში შესწავლილია საქართველოს ეროვნული მუზეუმის გლიპტიკის ფონდში დაცული 24 რომაული გემა, რომელთა ქრონოლოგია მოიცავს დროის მონაკვეთს ახ.წ. I ს-დან - ახ.წ. IV ს-ის ჩათვლით. განხილული გლიპტიკური ძეგლების ერთი ნაწილი არქეოლოგიური გათხრების შედეგადაა მოპოვებული (მცხეთის აკლდამა, მცხეთა-სამთავრო 1958-59 წწ., ურბნისი 1972 წ., თხოთის მთის სამაროვანი, უინვალის სამაროვანი), მეორე - შემთხვევითი მონაპოვარია. გემათა უმრავლესობა პირველად შემოდის სამეცნიერო მიმოქცევაში, მცირე ნაწილი კი მხოლოდ ზოგად არქეოლოგიურ პუბლიკაციებშია განხილული თანმხლებ მასალასთან ერთად [მათიაშვილი, 2016:24; მირიანაშვილი, 1983:84; რამიშვილი, 1983:93].

გლიპტიკური ძეგლები დათარიღებულია გამოსახულებათა სტილის, შემდეგ, ბეჭდის ფორმის და სამარხში აღმოჩენილ სხვადასხვა ნივთის გათვალისწინებით. რომის იმპერიის სხვადასხვა ცენტრებში დამზადებული გემების შედარებითი ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია ინტალიოების გამოსახულებათა შინაარსი, რაც ნათელ სურათს გვიხატავს თუ რომელ ღვთაებებს სცემდნენ პატივს, რა სიმბოლოებს იყენებდნენ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში, და რამდენად მიჰყებოდნენ რომაულ საზოგადოებაში არსებულ მოდას ახ.წ. I-IV სს-ში საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა.

გემების უმრავლესობა განსაკუთრებით მაღალი მხატვრული ლირსებით არ გამოიჩინა. უმთავრესად გვხვდება მასობრივი წარმოების ნიმუშები, რომლებიც დიდი რაოდენობითაა აღმოჩენილი რომის იმპერიასა და მასთან ურთიერთობაში მყოფ ქვეყნებში. ამ გემებზე უმეტესად გამოსახულია ადამიანის პირადი ქონებისა და კეთილდღეობის მფარველი ღვთაებები და მათი სიმბოლოები.

გამოსახულებანი მკაცრად კანონიზირებულია. ღვთაებები გვხვდება სტატუალურ პოზაში. ესენია: ათენა, აპოლონი, ნიკე, პერმესი, ასკლეპიოსი, ეროტი, ნემესიდა. გვხვდება აგრეთვე, ნაყოფიერებისა და სიუხვის სიმბოლოები: პურის თავთავები, კრატერი თავთავებით, ხელის მტევანი, ნიღაბი. თანხმობის, კავშირისა და ქორწინების სიმ-

ბოლო -ხელის ჩამორთმევა. გემებზე წარმოდგენილია ცხოველთა და ფრინველთა სამყარო: ძალლი, ცხენი, თევზი და დელფინი.

სტილისტური ანალიზის გათვალისწინებით გვხვდება როგორც კარგი - პლასტიკური და მოცულობითი ნამუშევრები, ისე დაუდევარი - უხეში ხაზებით შესრულებული, სქემატური გამოსახულებანი. ფორმისა და მოყვანილობის მიხედვით არის როგორც ბრტყელი, ისე ოდნავ ამობურცული და ბეჭედში ჩასმული მკვეთრად ამობურცული ინტალიოები, მოყვანილობის მიხედვით დომინირებს ოვალური გემები, თუმცა გვხვდება რამდენიმე მრგვალი ჭრილა ქვაც.

განხილული ყველა გემა ინტალიოს წარმოადგენს და ბეჭდის თვლებადაა გამოყენებული. მასალად ნახევრადფვირფასი ქვები (სხვადასხვა ფერის სარდიონი, გრანატი, ნიკოლო) და მინაა გამოყენებული. ბეჭდები დამზადებულია როგორც ძვირფასი ლითონისგან - ოქროსა და ვერცხლისაგან, ისე ბრინჯაოსა და რკინისაგან. ჩვენს ნაშრომში წარმოადგენილი ბეჭდების უმრავლესობა ფორმით არ განსხვავდება მთელს რომაულ სამყაროში გავრცელებული ბეჭდებისგან, ამიტომაც მათი დათარიღება მოხდა შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

გლიპტიკური ძეგლების გავრცელება საქართველოში მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარე სამყაროსთან ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობებზე. ამდენად, გლიპტიკური ძეგლები მნიშვნელოვან არქეოლოგიურ წყაროს წარმოადგენს საქართველოს მოსახლეობის მატერიალური და კულტურული დონისა და გარე სამყაროსთან ურთიერთობის საკითხის შესწავლისათვის.

დასასრულს, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქეთევან ჯავახიშვილსა და ქეთევან რამიშვილს საკითხზე მუშაობისას დახმარებისა და კონსულტაციისათვის.

კატალოგი:

1. ინვ. №28-51:15. ინტალიო გრანატისა, პიროპი. მცხეთის აკლდამა, 1951წ. [მათიაშვილი, 2016:24, სურ.16]. გემა ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირიაქვს. პირზე გამოსახულია მდგომარე აპოლონი, პროფილით მარცხნივ. გემის მხოლოდ ნატეხია შერჩენილი, ამიტომ

გამოსახულების მხოლოდ ფრაგმენტი იკითხება. აპოლონი შიშველია. მარჯვენა, დაშვებულ ხელში, დაფნის ტოტი უჭირავს რომლის მხოლოდ მცირე ნაწილი - ფოთლებია შერჩენილი. ინტალიოზე გამოსახული უნდა იყოს რომაულ გლიპტიკაში გავრცელებული სიუჟეტი - შიშველი აპოლონი, რომელსაც ცალ ხელში დაფნის ტოტი უჭირავს, მეორე იდაყვში მოხრილი აქვს და სვეტს ეყრდნობა, ან ხელზე მანტია აქვს გადაკიდებული. გამოსახულება მკაფიოა, მოცულობითი და პლასტიკური. საკმაოდ კარგი ნამუშევარია. მსგავსი გამოსახულებანი ცნობილია: იხ. [ჯავახიშვილი, 1972: ტაბ. III, სურ. 42; Hening, 1987: № 47, 48, 55]; სტილისტურად მსგავსი გამოსახულება გვხვდება: სად? [Zwierlein-Diehl, 1973: № 409].

გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. I ს-ით თარიღდება.

დაცულობა: ინტალიო გატეხილია.

2. ინვ. №1118. ინტალიო მოყავისფრონითელი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №6 (სამარხი 8).

გემა ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ძალლი. იგი მირბის. კვეთა მკაფიოა, გამოსახულება ფაქიზი. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება მქრქალი. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 6, 26, 124; Walters, 1926: № 2419-2422].

ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ქვა ამონეულია ბუდიდან.

გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. I-II ს-ით უნდა დავათარიღოთ.

დაცულობა: ქვა კარგადა შენახული. ბეჭედი დაუანგულია. რკალის დიდი ნაწილი აკლია. ზომები: სიგრძე-10 მმ, სიგნე-7 მმ.

3. ინვ. №1117. ინტალიო მოყავისფრონითელი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №6 (სამარხი 8).

გემა ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ნემესიდა, პროფილით მარჯვნივ. შემოსილია ქიტონით. მარცხენა ხელში კვერთხი უჭირავს, მარჯვენაში-საზომი (?). თავზე მოდიუმი ადგას. კვეთა მკაფიოა, გამოსახულება რამდენადმე სქემატური. ფონი მქრქალია, გამოსახულება გაპრიალებული. გემები, რომელზეც ნემესიდაა გამოსახული საზომით ხელში გამოვლენილია ურბნისის სამარვანზე [ჯავახიშვილი, 1972: № 105, 126].

ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ინტალიო გამოსახულების სტილის მიხედვით ახ.ნ. I-II ს-ით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: ქვა კარგადა შენახული, ბეჭდის მხოლოდ თვალბუდე და მხრებია შერჩენილი. ზომები: ინტალიოს სიგრძე-11 მმ, სიგანე-7 მმ.

4. ინვ. №1119. ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №7 (სამარხი 9).

გემა ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ასკლეპიოსი. მარჯვენა ხელში კვერთხი უჭირავს, რომელზეც გველია შემოხვეული. წელს ქვემოთ მანტიითა შემოსილი, რომლის ბოლო მარცხენა ხელზე აქვს გადაკიდებული. ასკლეპიოსი წელს ზემოთ შიშველია. მკვეთრადაა გამოსახული ტორსის კუნთები. გამოსახულება მკაფიოა, წმინდა ნამუშევარია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. №68; Furtwangler, 1896: № 2357, 8390; Richter, 1971: № 127; Walters, 1926: № 1682, 1683, 1688; Richter, 1956: № 340; Милчева, 1980: №104].

ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. გამოსახულების სტილის მიხედვით, და ამავე სამარხში ალმოჩენილი კოტის I-ის მონეტის მიხედვით, ინტალიო ახ.ნ. I – II საუკუნეთა მიჯნით თარიღდება.

დაცულობა: ქვა კარგადა შენახული. ბეჭედს რკალის ნაწილი აკლია. ზომები: სიგრძე-12 მმ, სიგანე-9 მმ.

5. ინვ. №1150. ინტალიო ნიკოლოსი, ოქროს ბეჭედში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №4 (სამარხი 5).

გემა ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია ახალგაზრდა კაცის ბიუსტი, მხრებს ქვემოთ გადაჭრილი, პროფილით მარჯვნივ. გამოირჩევა ინდივიდუალური ნიშნებით. მას სწორი, ოდნავ წვეტიანი ცხვირი, პატარა ტუჩები, შებერილი ლოყები, პატარა ნიკაპი და ფართოდ გახელილი თვალი აქვს. თმა მოკლედ აქვს შეჭრილი. მხარი ქიტონით შემოსილი და ბაფთით შეკრული. გამოსახულება ნაწილობლივ გაპრიალებულია. საკმაოდ კარგი ნამუშევარია.

ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ქვა ბუდიდან ამონეულია.

გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით გემიანი ბეჭდი ახ.ნ. I-II საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: კარგი. ინტალიოს სიგრძე-10 მმ, სიგანე-6 მმ. ბეჭდის დმ-14 მმ, სიმაღლე-20 მმ.

6. ინვ. № 1115. ინტალიო გამჭვირვალე გრანატისა, ბრინჯაოს ბეჭდში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №1 (სამარხი 2).

გემა მრგვალია, ძლიერ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია მამაკაცის ნიღაბი. გამოსახულება სქემატურია, კვეთა არალრმაა. მსგავსი გამოსახულებანი იხ: [Pan-nuti, 1983:№ 227, 228].

ბეჭდს წვრილი რყალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. რყალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან ამობურცული. თვალი ბუდიდან მკვეთრადაა ზემოთ ამონეული. მსგავსი ფორმის ბეჭდები: იხ. [Henkel, 1913: ტაბ. IX, № 159, 162, 163].

გემიანი ბეჭდი ახ.ნ. I-II სს-ით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: კარგი, ინტალიოს სიგრძე-7 მმ, რკალის დმ-16 მმ, სიმაღლე-21 მმ.

7. ინვ. № 1265. ინტალიო მონითალო-ყავისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭდში. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1959 წელი. კრამიტსამარხი 1 (სამარხი 2).

გემა ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია ბიგა - ეტლში შებმული ორი ცხენი, რომელზეც ნიკა დგას. მარჯვენა, ნინ განვდილ ხელში, გვირგვინი უჭირავს, მარცხენაში - ცხენის სადავეები. გულმოდგინე, წმინდა ნამუშევარია. ცხენის გამოსახულება ანაბეჭდზე მაღალ რელიეფს იძლევა. ქალმერთის გამოსახულება შედარებით სქემატურია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 37; Richter, 1971:№ 682; Walters, 1926:№ 1723; Furtwangler, 1896:№ 8413; Hamburger, 1968: №69; Krug, 1980:№ 637-639].

გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. I-II სს-ით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: ქვა კიდეებში ჩამოტებილია. ქვედაპირი დაუანგულია. ბეჭდი გატეხილია სამად და დაუანგული. ზომები: სიგრძე-18 მმ, სიგანე-15 მმ.

8. ინვ. № 1000. ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭდში. ალმოჩენილია ქარელის რაიონში, სოფ. რუისში, შეძენილია გ. ნასყიდაშვილისგან, გლიპტიკის კაბინეტს გადმოეცა 1963 წ.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია მამაკაცის ბიუსტი - კისრის ქვემოთ გადაჭრილი, პროფილით მარჯვნივ. მამაკაცს მოკლე თმა და მაღალი კისერი აქვს. ტლანქი ნამუშევარია. სახის ნაკვთები სქემატურია. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება-მქრქალი.

გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიოს ახ.ნ. I-II სს-ით თარიღდება.

დაცულობა: ქვა კარგადაა შენახული. ბეჭდის მხოლოდ თვალბუდეა დარჩენილი. სიგრძე-10 მმ, სიგანე-7 მმ.

9. ინვ. № 1113. ინტალიო მუქი წითელი გრანატისა. მცხეთა-სამთავრო, 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია, ქვაყუთი №1 (სამარხი 1).

გემა ოვალურია, ამობურცული პირი და ჩადრეკილი ქვედაპირი აქვს. პირზე გამოსახულია ქალის ბიუსტი პროფილით მარჯვნივ. მანდილოსანს მაღალი შუბლი აქვს, სწორი, ოდნავ წაგრძელებული ცხვირი, თხელი ბაგები, ოდნავ ნინ წამოწეული ნიკაპი, ფართო, მაღალი კისერი. სადა თავსაბურავი ახურავს. გამოსახულება პორტრეტს უნდა წარმოადგენდეს.

ამავე სამარხიდანაა ინტალიო ეროტის გამოსახულებით. გამოსახულების სტილის და ამავე სამარხში აღმოჩენილი გემიანი ბეჭდის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. II საუკუნით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: კარგი. ზომები: სიგრძე 11 მმ, სიგანე-10 მმ.

10. ინვ. № 1112. ინტალიო მოყავისფრო-ნარინჯისფერი სარდიონისა, ბრინჯაოს ბეჭდში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. ქვაყუთი №1 (სამარხი №1).

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია მდგომარე ეროტი, პროფილით მარჯვნივ. ეროტს ხელში ჩირალდანი უჭირავს. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზითაა აღნიშნული. გამოსახულება მკაფიოა, დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. ფონი მქრქალია, გამოსახულება გაპრიალებული. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ლორთქიფანიძე, 1961:ტაბ. IV გამ. № 29; ჯავახიშვილი, 1972:ტაბ. IV, გამ. № 60; Furtwangler, 1896: № 980, 1636; Richter, 1920: № 148, 137; Walters, 1926:tab. XXXIV, № 3475, tab. XX, № 1469].

ბეჭდს წვრილი რყალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და თვალბუდეში გადადის. რყალს სიგრძივ გაუყვება წახნაგი. ქვა ბუდიდან ამოზიდულია. მსგავსი ფომის ბეჭდები ახ.ნ. II ს-ის მიწურულითა და III ს-ის

დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 93, 95, 97, 100].

დაცულობა: ქვა კარგადაა შენახული. რკალს დიდი ნაწილი აკლია. ინტალიოს სიგრძე-9 მმ, სიგანე-7 მმ.

გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. II-III სს-თა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

11. ინვ. № 1116. ინტალიო მოწითალო ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. მცხეთა-სამთვრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. ქვაყუთი №1 (სამარხი № 1)

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია დელფინი და თევზი თავშექცევით. კვეთა მკაფიოა, გამოსახულება დიდი ოსტატობით არ გამოირჩევა. დელფინისა და თევზის წყვილადი გამოსახულების პოვნა ვერ მოხერხდა. გემები, რომელზეც ცალკე დელფინი ან ცალკე თევზია გამოსახული რომაულ ხანაში ფართოდაა გაფცელებული. საქართველოს ტეროტორიაზე მოპოვებულ გემათაგან წყვილადი თევზის, თევზისა და დელფინის ცალ-ცალკე გამოსახულებანი გვხვდება იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 89, 78, 86; ლორთქიფანიძე, 1958: გამ. № 12; მაკსიმოვა, 1950: ტაბ. II, გამ. № 54, 46, 26]; აგრეთვე: [Furtwangler, 1896: № 7939, 7941, 2346; Walters, 1926: № 2512].

ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის.

გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. II-III სს-ით თარიღდება.

დაცულობა: ქვა ზურგის მხრიდან ოდნავ ატკეცილია, ბეჭედი გატეხილია. დაუანგული. რკალს ნაწილი აკლია. თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ზომები: ინტალიოს სიგრძე-9 მმ, სიგანე-7 მმ.

12. ინვ. № 1120. ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ბრინჯაოს ბეჭედში. მცხეთა, სამთავრო. 1958 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია. კრამიტსამარხი №7 (სამარხი 9).

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია კრატერი, რომელშიც ღეროებია (თავთავები?) ჩანაბილი. გამოსახულება მკაფიოა და სქემატური. რომაულ გემებზე ჭურჭლის გამოსახვა არ არის იშვიათი. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 99; Richter, 1956: № 569; Furtwangler, 1896: № 7119, 2271].

ბეჭდის რკალი მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ქვა ანეულია ბუდიდან. რკალზე, სიგრძივ გაუყვება წახნაგი. მსგავსი ფორმის ბეჭდები

ახ.ნ. II ს-ის მიწურულითა და ახ.ნ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 92, 95, 97, 100].

გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. II-III საუკუნეთა მიჯნით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: ქვა კარგადაა შენახული. ბეჭდის რკალს ნაწილი აკლია. ზომები: ინტალიოს სიგრძე-8 მმ, სიგანე-7 მმ.

13. ინვ. № 1202. ინტალიო ნარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი № 277.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ხელის მტევანი. კვეთა ზედაპირულია. პლასტიკურობა აკლია. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება მქრქალი. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [Furtwangler, 1896: № 8088]. ბეჭედს ვიწრო რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და თვალბუდეში გადადის. ქვა ბუდიდან ამოზიდულია.

ინტალიო გამოსახულების სტილის მიხედვით ახ.ნ. II-III ს-ით თარიღდება.

დაცულობა: ქვა კარგადაა შენახული. ბეჭედს რკალის ნაწილი აკლია. ზომები: სიგრძე-7 მმ, სიგანე-5 მმ.

14. ინვ. № 1203. ინტალიო ყავისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი 277.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია პურის ორი თავთავი. დაუდევარი ნამუშევარია. გამოსახულება სქემატურია. მსგავსი გამოსახულებანი რომაულ გემებზე ფართოდაა გავრცელებული. საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებულ გემათაგან იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 119; ლორთქიფანიძე, 1958: ტაბ. II, გამ. № 2; მაკსიმოვა, 1950: ტაბ. II, გამ. № 59; მშვიდაძე, 2012: ტაბ. IX, 6].

ბეჭედს ვიწრო რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. ქვა ბუდიდან ანეულია.

ინტალიოს გამოსახულების სტილის მიხედვით ახ.ნ. II-III სს-ით თარიღდება.

15. ინვ. № 1134. ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ბრინჯაოს ბეჭედში. თბილისი, ღრმალელე, 1960-61 წწ.

ინტალიო ოვალურია. ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ხელისჩამორთმევა. დაუდევარი ნამუშევარია. გამოსახულება სქემატური. ფონი მქრქალი, გამოსახულება

გაპრიალებული. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 92, 94, 115; Furtwangler, 1896:№ 6654, 8051; Hamburger, 1968:№129].

ბეჭედს წვრილი, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ოდნავ ამობურცული რკალი აქვს. რკალი მხრებისკენ თანდათან ფართოვდება და უშუალოდ თვალბუდეში გადადის. მხრები ოდნავ აქცენტირებულია. ქვა ბუდიდან ამონეულია. მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ.ნ. II ს-ის მიწურულითა და ახ.ნ. III ს-ის დასაწყისით თარიღდება [ჯავახიშვილი, 1972: გამ. № 92, 95, 97, 98, 100].

დაცულობა: კარგი. ინტალიოს სიგრძე- 7 მმ, სიგანე- 6 მმ. ბეჭდის დმ. -16 მმ, სიმაღლე-16 მმ.

16. ინვ. №1001. ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა. ალმოჩენილია ქარელის რაიონში, რუისში. შეძენილია გ. ნასყიდაშვილისგან. გლიპტიკის კაბინეტს გადმოეცა 1963 წ.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ღვთაება, თავი პროფილში მარცხნივ, ტანით პირდაპირ. შემოსილია გრძელი ქიტონით. მარცხნა ხელში კვერთხი უჭირავს, მარჯვენა-იდაყვში მოხრილი წინ აქვს განვდილი. წიადაგის ზოლი მოკლე ხაზითა აღნიშნული. გამოსახულება სქემატურია, დაუდევარი ნამუშევარია. ფონი მქრქალია, გამოსახულება გაპრიალებული. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ლორთქიფანიძე, 1967: გამ. №69; ჯავახიშვილი, 1972: გამ.№ 80, 98]. გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიო ახ.ნ. II-III საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. დაცულობა: კარგი. ზომები: სიგრძე -10 მმ, სიგანე- 8 მმ.

17. ინვ. №1221. ინტალიო მოყვისფრონარინჯისფერი სარდიონისა, რკინის ბეჭედში. შემთხვევითი მონაპოვარი წყნეთის სკოლის ეზოში, 1965 წ. ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ხელისჩამორთმევა, თანხმობისა და კავშირის სიმბოლო. გამოსახულება სქემატურია. კვეთა მკაფიოა. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება მქრქალი. მსგავი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972:გამ. №92, 74, 94, 115; ლორთქიფანიძე, 1961:ტაბ. IX, გამ. №28; ლორთქიფანიძე, 1967: ტაბ. V, გამ. №49; Максимова, 1950:გამ. 30; Hamburger, 1968: № 129; Финогенова, 2012:№157; Милчева, 1980:№ 241ა].

ბეჭედს ვიწრო რკალი უნდა ჰქონდეს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და უშუალოდ ფარაკში გადადის. თვალბუდე შიგ

ბეჭედშია ამოჭრილი. ქვის ზედაპირი თვალბუდის ნაპირის სიმაღლეზე მდებარეობს.

ინტალიო ახ.ნ. II ს-ის ბოლოთი და III ს-ის დასაწილით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: ქვა კარგადა შენახული. ბეჭედი დაუანგულია. დარჩენილია მხრები და თვალბუდე. ზომები: ინტალიოს სიგრძე- 8 მმ, სიგანე-6 მმ.

18. ინვ. №1198. ინტალიო მონითალოყავისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი 273.

ინტალიო ოვალურია. ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ხელისჩამორთმევა. გამოსახულება სქემატურია. უხეში ნამუშევარია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972:№ 92, 94, 115; ლორთქიფანიძე, 1961: ტაბ. IX, გამ. № 28].

ბეჭდის რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან, მთელ სიგრძეზე ნახნაგი ჩამოუყვება. რკალი მხრებისკენ თანდათან ფართოვდება. მასზე მირჩილულია დაბალი თვალბუდე. ბეჭედს პატარა, ჰორიზონტული მხრები აქვს. მსგავსი ბეჭდები ახ.ნ. III საუკუნით თარიღდება [Henkel, 1913: . XXII, № 431, 431a, 431b, 432 a, 432 b, 1260, 1261].

გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიოს ახ.ნ. III საუკუნით ვათარიღდებთ.

დაცულობა: ვერცხლი რეერისტალიზებულია. ინტალიოს სიგრძე 8 მმ, სიგანე- 6 მმ, ბეჭდის დმ - 16 მმ, სიმაღლე – 23 მმ.

19. ინვ. №1199. ინტალიო მონითელიყავისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი 273.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ცხენი. თავი დახრილი აქვს. ერთი წინა ფეხი უკან მოხრილი. გამოსახულება სქემატურია. დაუდევარი ნამუშევარია. ფონი გაპრიალებულია, გამოსახულება მქრქალი. მსგავი გამოსახულებანი იხ.: [Zweirlein-Diehl, 1973:№ 376, 377; Guiraud, 1988:№ 633A].

ბეჭედს მრგვალგანივეტიანი, თანაბარი სისქის რკალი აქვს, რომელიც განვი ნაჭდევებითა შემკული. რკალზე, სიგრძივ, მირჩილულია დაბალი, ოვალური თვალბუდე. ქვა ბუდიდან ამონეულია. მსგავსი ბეჭდები ახ.ნ. III საუკუნისთვისაა დამახასიათებელი [ბრაუნდი და სხვ., 2009: № 2,5, 2,4].

ინტალიო გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ახ.ნ. III ს-ით უნდა დავათარიღოთ.

დაცულობა: ბეჭედი დეფორმირებულია, ვერცხლი რეკრისტალიზებული. ინტალიოს სიგრძე-12 მმ, სიგანე 8 მმ. ბეჭდის დმ-21 მმ, სიმაღლე- 24 მმ.

20. ინვ. №1200. ინტალიო მოწითალო-ნარინჯისფერი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი 273.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსხულია შუაში კრატერი და აქეთ-იქით თითო თავთავი. გამოსახულება სქემატურია. დაუდევარი ნამუშევარია. მსგავსი გამოსახულება იხ.: [Terrakotten der antike 1980:№ 77].

ბეჭედს წვრილი რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და თვალბუდეში გადადის. რკალი შიგნიდან ბრტყელია, გარედან, მთელს სიგრძეზე წახნაგი დაუყვება. მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ.წ. III ს-ით თარიღდება [Henkel, 1913:№ 1250, 1250 a, b. 1251]. გამოსახულების სტილისა და ბეჭდის ფორმის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III საუკუნით თარიღდება.

დაცულობა: ვერცხლი რეკრისტალიზებულია. ბეჭედი შუაში ამოტეხილი. ინტალიოს სიგრძე-12 მმ, სიგანე-8 მმ. ბეჭედის დმ -17 მმ, სიმაღლე- 25 მმ.

21. ინვ. №1201. ინტალიო მინისებური ჰასტისა, ვერცხლის ბეჭედში. ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიცია, 1972 წ., XXV უბანი, სამარხი 273.

ინტალიო ოვალურია, ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ჰერმესი, პროფილით მარცხნივ. მარჯვენა, განვდილ ხელში ქისა უჭირავს, მარცხენაში - კერიკეიონი. ამავე მკლავზე მოსასხამი აქვს გადაკიდებული. მინა ირიზებულია, გამოსახულებას სიმკვეთრე აკლია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: № 7; ლორთქიფანიძე, 1967: № 44,45; Максимова, 1950: № 8, 3, 58; Henig, 1987: №79-82].

ბეჭედს წვრილი, შიგნიდან ბრტყელი, გარედან ამობურცული რკალი აქვს, რომელიც მხრებისკენ ფართოვდება და ოვალურ მოედანს ქმნის. მასზე მირჩილული იყო ოვალური თვალბუდე. მსგავსი ბეჭდები ახ.წ. III საუკუნისთვისაა დამახასიათებელი [Henkel, 1913:№ 341, 341a, 341b].

ბეჭდის ფორმის და გამოსახულების სტილის მიხედვით ინტალიოს ახ.წ. III ს-ით ვათარიღდებთ.

დაცულობა: ვერცხლი რეკრისტალიზებულია. თვალბუდე ამოვარდნილია. მინდანი მისამართისა, ვერცხლის ბეჭედში. ახ.წ. 1962 წლის 2 მაისს, საგარეჯოს რ-ში.

ზომები: ინტალიოს სიგრძე-11მმ, სიგანე-9 მმ, ბეჭდის დმ-13 მმ; სიმაღლე-20 მმ.

22. ინვ. №1228. ინტალიო წითელი სარდიონისა, ვერცხლის ბეჭედში. ახალი უინგალის სამაროვანი, 1971 წ., სამარხი 5 [რამიშვილი, 1983:93, ტაბ. XXXVII, 5].

ინტალიო ოვალურია, ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია ფრთოსანი ნემესიდა, პროფილით მარცხნივ. ღვთაებას გრძელი, უსახელო ქიტონი აცვია. ხელში ქიტონის ბოლო უჭირავს, ფეხთან გამოსახულია ბორბალი. ნიადაგის ზოლი მოკლე ხაზითაა აღნიშნული. გამოსახულება სქემატურია, კვეთა არალრმა. ფონი მქრქალი, გამოსახულება გაპრიალებული. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [Walters, 1926:№1695, 1697; Brandt 1968:№1631; Henig, 1987: № 204-206; Милчева, 1980:№ 100].

ბეჭედს შიგნიდან ოდნავ ამობურცული რკალი აქვს, გარედან, მთელს სიგრძეზე, დაუყვება წახნაგი. რკალი შუაში შედარებით წვრილია, მხრებისკენ ფართოვდება და პორიზონტულ მხრებში გადადის. მხრებზე მირჩილულია ოვალური თვალბუდე. ქვა ბუდიდან ოდნავ ამონეულია. მსგავსი ფორმის ბეჭდები ახ.წ. III ს-ით თარიღდება [Максимова, 1950:№6; ლორთქიფანიძე, 1954: ფერ.ტაბ. II. გამ. № 18, 19; Henkel, 1913: № 220, 220 a, b].

გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმის და სამარხის ასაკის მიხედვით ინტალიო ახ.წ. III ს-ით თარიღდება.

დაცულობა: ვერცხლი რეკრისტალიზებულია. თვალბუდის ნაპირები მცირედ დაზიანებულია. ზომები: ინტალიოს სიგრძე-15 მმ, სიგანე-10 მმ, ბეჭდის დმ -18 მმ, სიმაღლე-21მმ.

23. ინვ. №999. ინტალიო მუქი ნარინჯისფერი სარდიონისა, ოქროს ბეჭედში. შეძნილია ი. ბუბიაკინისგან 1962 წლის 2 მაისს, საგარეჯოს რ-ში.

ინტალიო ოვალურია. ბრტყელი პირი აქვს. პირზე გამოსახულია ათენა პართენოსი. თავზე კორინთული მუზარადი ახურავს. მარჯვენა ხელში შები უჭირავს, მარცხენა მხარეს, ფეხთან, ფარი უდევს. თეძოსთან გამოსახულია სატევარი ქარქაშში, ე.წ. პარაზონიუმი. მარცხენა ხელი წინ აქვს განვდილი და ზედ ნიკა უდგას. გრძელი ქიტონითაა შემოსილი. მკლავზე მოსასხამი აქვს გადაკიდებული. წმინდა ნამუშევარია. ფონიც და გამოსახულებაც გაპრიალებულია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: გამ. №40; Richter, 1971: № 93-96; Henig, 1987: № 153-157;

Финогенова, 2012: № 50. Pannuti, 1983:№13; Hamburger, 1968: №36; Brandt, 1968:№ 2477].

ბეჭდის თვალბუდე ოქროს თხელი ფირფიტისგანაა დამზადებული. ცილინდრული ფორმისაა. შუაში, გარშემო დაჭდევებული სალტე შემოუყვება. რკალი ოქროს წვრილი, მრგვალგანივევეთიანი მავთულისგანაა დამზადებული. რკალის თვალბუდესთან შეერთების ადგილას, ორივე მხარეს ორ-ორი ბურთულაა მირჩილული.

მსგავსი ტიპის ბეჭდები, რომელთა თვალბუდე ცალკე მზადდება და რკალზე მირჩილვის ადგილას ბურთულები უჩნდება ახ.ნ. IV საუკინის დასაწყისიდან ჩნდება. მსგავსი ბეჭდები იხ.: [რამიშვილი, 1979: ტაბ. № 24, სურ 1, ფერადი ტაბ. №1; ჭილაშვილი, 1964: სურ. 34; ჯავახიშვილი, 1972: ტაბ. XIV, გამ. № 126; Henkel, 1913: tab. XIV, № 274, 1823 a, b. Marshall, 1907: tab. XIV, 513].

ბეჭედი ახ.ნ. IV საუკუნით თარიღდება, ვფიქრობთ, გემა უფრო აღრეულია, შესაძლოა ახ.ნ. I-II საუკუნისა უნდა იყოს.

დაცულობა: თვალბუდე ნაპირებში შეჭყლეტილია. ინტალიოს სიგრძე-11მმ, სიგანე-9 მმ. ბეჭდის დმ-21მმ, სიმაღლე-21 მმ. თვალბუდის სიგრძე-14 მმ, სიგანე-12 მმ, სიმაღლე-4 მმ.

24. ინვ. №1223. ინტალიო მონითალო სარდიონისა, ოქროს ბეჭედში. თხოთის მთის სამაროვანი, თიხის სარკოფაგი [მირიანაშვილი, 1983:84, სურ. 161].

ინტალიო ოვალურია. ოდნავ ამობურცული პირი აქვს. პირზე გამოსახულია მდგომარე ჰერმესი, პროფილით მარჯვენივ. მარჯვენა ნინ განვდილ ხელში ქისა უჭირავს, მარცხენაში - კერიკეონი. ამავე მკლავზე მოსასხამი აქვს გადაკიდებული. გამოსახულება სქემატურია. უხეში ნამუშევარია. მსგავსი გამოსახულებანი იხ.: [ჯავახიშვილი, 1972: № 6; Максимова, 1950: ტაბ. I, გამ. № 8, 31, ტაბ. II-58; ლორთქიფანიძე, 1967: გამ. № 45; Henig 1987: № 79-82; Милчева, 1980: № 67-72].

ბეჭედი ოქროს ორი ფირფიტისგანაა დამზადებული. რკალი შუაში შედარებით ვიწროა, მხრებისკენ ფართოვდება. ბეჭედს აქვს დაქანებული, ძირს დაშვებული დაკუთხული მხრები და მაღალი თვალბუდე. ამგვარი ბეჭდები მრავლადაა აღმოჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე იხ.: [ლორთქიფანიძე, 1961: სურ, № 48, 50, 52, 57, 58, 59, 60, 62, აფაქიძე და სხვ., 1955: სურ 136. გამ. 1-8; ნადირაძე, 1975: სურ. № 11] და ახ.ნ. IV სით თარიღდება.

გამოსახულების სტილის, ბეჭდის ფორმის

და სამარხის ასაკის მიხედვით, ინტალიოც ახ.ნ. IV საუკუნით უნდა დათარიღდეს.

დაცულობა: თვალბუდის ძირზე ოქროს ფირფიტა ჩაჭყლეტილია, თვალბუდის ნაპირები მომტვრეული. ზომები: ინტალიოს სიგრძე-12 მმ, სიგანე-10 მმ, ბეჭდის დმ-14 მმ, სიმაღლე-21 მმ.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ალ., ლომთათიძე გ., 1955: არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები 1937-46 წწ. განათხარი მასალის მიხედვით. - მცხეთა I, თბილისი.

ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ. 2009: საგანძური ზღუდერიდან. ელინისტური სამარხები კავკასიის იძერიდან რომაულ ხანაში ახ.ნ. 200-250 წწ., თბ.

ლორთქიფანიძე მ. 1958: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები II, არმაზისხევასა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები, თბ.

ლორთქიფანიძე მ. 1961: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები III, საქართველოს ტერიტორიაზე მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგი, თბ.

ლორთქიფანიძე მ. 1967: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები IV, კატალოგი, თბ.

მათიაშვილი ნ. 2016: მცხეთის აკლდამა. თბ.

მირიანაშვილი ნ. 1983: შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან (აღაიანის არქეოლოგიური ძეგლები). - ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის შრომები II, თბ.

მშვილდაძე მ. 2012: ბიჭვინთის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ.

ნადირაძე ჯ. 1975: ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ.

რამიშვილი რ. 1983: ახალი ჟინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971-1973წწ. განათხარი მასალის მიხედვით. - ჟინვალი I, თბილისი, გვ. 81-130.

ჭილაშვილი ლ. 1964: ნაქალაქარი ურბისი, თბ.

ჯავახიშვილი ქ. 1972: ურბისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები. - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები V, თბ.

Максимова М. 1950: Геммы из некрополя Мцхеты-Самтавро, ВМГ. - Саხელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI-B, თბ.

Милчева А. 1980: Антични Геми и Камен от Национал. археологически Музей в София, София.

Финогенова С. 2012: Мир в миниатюре. - Геммы из собрания ГМИИ им. А.С. Пушкина, Москва.

Brandt E. 1968: Antike Gemmen in Deutschen Sammlungen, Band I, Staatliche Münzsammlung, München.

Furtwangler A. 1896: Beschreibung der Geschnittenen Steine im Antiquarium, Berlin.

Guiraud H. 1988: Intailles et Camees de l'époque Romaine en Gaule, Roma.

Hamburger A. 1968: Gems from Caesarea Maritima. Jerusalem.

Henkel F. 1913: Die romischen Fingerringe der Rheinlande, Berlin.

Henig M., Whiting M. 1987: Engraved Gems from Gadara in Jordan. - The Sa'd collection of Intaglios and Cameos. Oxford.

Krug A. 1980: Antike Gemmen im Römisch-Germanischen Museum Köln, Berlin.

Marshall F. 1907: Catalogue of Finger Rings, Greek, Etruscan and Roma, In the British Museum, London.

Pannuti U. 1983: Cattalogo Della Collezione Glittica. - Museo Archeologico Nazionale Di Napoli, Roma.

Richter G. 1920: Catalogue of Engraved Gems of the Classical Style, New York.

Richter G. 1956: Catalogue of Engraved Gems Greek, Etruscan and Roman, Roma.

Richter G. 1971: Engraved Gems of the Romans, New York.

Terrakoten Der Antike 1980: Antike Gemmen, Basel.

Walters H. 1926: Catalogue of the Engraved Gems and Cameos Greek, Etruscan and Roman, London.

Zwierlein-Diehl E.1973: Die antiken Gemmen des Kunsthistorisches Museums im Wien, I, München.

0ლუსტრაციების აღმოჩილობა:

1.ინვ. №28-51:15 ინტალიო გრანატის. აპოლონი. მცხე-ეთის აკლდამა.

2.ინვ. №1118. ინტალიო სარდიონისა. ძალლი. მცხეთა, სამთავრო.

3.ინვ. №1117. ინტალიო სარდიონისა, ნემესიდა(?), მცხეთა, სამთავრო.

4.ინვ. №1119. ინტალიო სარდიონისა, ასკლეპიოსი. მცხეთა, სამთავრო.

5-6ა. ინვ. №1150. ინტალიო ნიკოლოსი, პორტრეტი. მცხეთა, სამთავრო.

6-6ა. ინვ. №1115. ინტალიო გრანატისა. ნილაბი. მცხე-თა, სამთავრო.

7. ინვ. №1265. ინტალიო სარდიონის, ორი ცხენი შებმული ეტლში. მცხეთა, სამთავრო.

8. ინვ. №1000. ინტალიო სარდიონისა, პორტრეტი, შემთხვევითი მონაპოვარი ქარელიდან.

9. ინვ. №1113. ინტალიო გრანატისა, პორტრეტი. მცხეთა, სამთავრო.

10.-10ა. ინვ. №1112. ინტალიო სარდიონისა. ეროტი, მცხეთა, სამთავრო.

11.ინვ. №1116. ინტალიო სარდიონისა. დელფინი და თევზი. მცხეთა, სამთავრო.

12.-12ა. ინვ. №1120. ინტალის სარდიონისა, კრატერი, მცხეთა, სამთავრო.

13.ინვ. №1202. ინტალიო სარდიონისა, ხელის მტევანი. ურბნისი.

14.ინვ. №1203. ინტალიო სარდიონისა, პურის ორი თავ-თავი, ურბნისი.

15.-15ა. ინვ. №1134. ინტალიო სარდიონისა, ხელისჩა-მორთმევა, თბილისი, ღრმა-ღელე.

16. ინვ. №1001. ინტალიო სარდიონისა. ღვთაება. შემთხვევითი მონაპოვარი ს. რუსიდან.

17.ინვ. №1221. ინტალიო სარდიონისა. ხელისჩამორთმევა, წყნეთიდან.

18.-18ა. ინვ. №1198. ინტალიო სარდიონისა. ხელისჩა-მორთმევა. ურბნისი.

19.-19ა. ინვ. №1199. ინტალიო სარდიონისა. ცხენი. ურბნისი.

20.-20ა. ინვ. №1200. ინტალიო სარდიონია. კრატერი თავთავებით ურბნისი.

21. ინვ. №1201. ინტალიო მინისებური პასტისა. ჰერმესი, ურბნისი.

22.-22ა. ინვ. №1228. ინტალიო სარდიონისა. ნემესიდა. ჟინვალის სამაროვანი.

23.-23ა. ინვ. №999. ინტალიო სარდიონის. ათენა პართენის. შემთხვევითი მონაპოვარი საგარეჯოდან.

24.-24ა. ინვ. №1223. ინტალიო სარდიონისა, ჰერმესი. თხოთის მთის სამაროვანი.

1



II





18



18a



19



19a



20



20a



21





21



22



22a



23



23a



24



24a

დავით ლომიტაშვილი, ბესიკ ლორთქიფანიძე,
ნიკოლოზ მურდულია, პოლ ევერილი, იან ქოლვინი.

ხუნის ციხე

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. ხუნი მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მარტვილი-ხონი-ქუთაისის დამაკავშირებელი სამანქანო გზის მე-8 კმ-ზე მდებარეობს. აქ, სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ქუქითის გორაკზე, რომელიც უნავირა მთის შემადგენელი ნაწილია, ნაციხარი (“ნაჯიხუ”) მდებარეობს (GPS კოორდინატები: 42.400033°; 42.415467°. სიმაღლე ზღვის დონიდან: 275 მ).

უკანასკნელ ხანს გამოითქვა მოსაზრება, რომ სწორედ აქ მდებარეობდა VI საუკუნის ბიზანტიულ ისტორიკოს აგათია სქოლასტიკოსთან მოხსენიებული ონოგურისის ციხე. აგათიას სქოლასტიკოსი ერთ-ერთი მათგანია, ვინც აღგვინერა 542-562 წლებში ბიზანტიასა და სასანიანთა ირანს შორის დასავლეთ საქართველოში მიმდინარე საომარი პერაციები. ეს დაპირისპირება საისტორიო ლიტერატურაში „დიდ ომიანობად ეგრისში“ მოიხსენიება. ამ ომის დროს აგათია რამდენჯერმე იხსენიებს ონოგურისის ციხეს, რომელსაც ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც ბიზანტიულები, ასევე ირანელები. 553 წელს მხედართმთავარი მერმეროე, რომელიც ეგრისში მოქმედ სპარსულ ჯარს მეთაურობდა, ტელეფისის ციხის და ქიტროპოლიაში მდებარე ბიზანტიური ბანაკის აღების შემდეგ ონოგურისისკენ გაემართა. აგათია მოვარითხრობს: „ქიტროპოლიაში რომ მივიდა მერმეროე, სასაცილოდ აიგდო იმათი სილაჩრე, ვინც ურჩობა გამოიჩინა, ძალიან გაკიცხა ისინი; მან გადაწყვიტა არ განეგრძო ნინასვლა და არც ნესოსზე მიეტანა იერიში, ვინაიდან არც სურსათის შოვნა იყო შესაძლებელი მტრის შუაგულ ქვეყანაში ასეთი მრავალრიცხოვანი ჯარისთვის და არც სხვა მხრივ ალყის შემორტყმისათვის მომზადება. ამიტომ მან კვლავ ტელეფისისა და იქაური ძნელსავალი ადგილებისკენ გაბრუნება კი არ მიიჩნია მიზანშეწონილად, არამედ ფიცრებისა და საგანგებოდ ამისთვის დამზადებული ტივების საშუალებით შეაერთა ფასისის ნაპირები, ასე ვთქვათ ხიდი გასდო, და თავისუფლად გადაიყვანა მთელი ჯარი, ისე რომ არავის აღმოჩენია დაბრკოლება. ონოგურისის ციხეში, რომელიც მას ნინათ გაეხადა არქეოპოლისის მიდამოებში რომაელთა ნინააღმდეგ საჭირო სასიმაგრო საფარად, ჩაყენებული იყვნენ სპარსელები და, აი, ეს სპარსელები მან გაამხნევა, სხვა რაზმიც დაუტოვა, იქაურობა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრა და კვლავ კოტაისისა და მუხირისისკენ

გაბრუნდა. უცბათ ის რაღაც სენმა შეიპყროდა მაგრად მოჰკიდა მას ხელი; ამიტომ მეტი წილი თავის ჯარისა, უმამაცესნი, დასტოვაიქ ქონების დასაცავად, თვითონ კი გადავიდა იბერიის ქვეყანაში. და აი, აქ, ეგრეთნოდებულ ქალაქ მესხთაში ის ძალიან ცუდად შეიქნა, ვეღარ გაუძლო სენს და ნადვილად, გადაიცვალა. მერმეროე, კაცი სპარსელთა შორის სახელოვანი, მეტად გონიერი და ნიჭიერი, საომარ საქმეებში გამობრძედილი და ვაჟა-ცური სულის პატრონი!“ (აგათია. 1936: 38-42)

ონოგურისის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს აგათიას ცნობები, სადაც ის საუბრობს ბიზანტიულების განზრახვაზე ამ ციხის უკან დაბრუნების შესახებ. მათმა სარდლებმა, 554 წელს მარტინემ და რუსტიკემ მოითაბირეს სხვა მხედართმთავრებთან იუსტინესთან და ბუზესთან, რათა ეგრისის მეფე, გუბაზთან ერთად დაეგეგმათ ონოგურის ულაშებერობა. მათ გუბაზი დაიბარეს ხობისწყალთან, სადაც მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართა: „მაშინ რუსტიკემ, უთხრა: „აბა, გუბაზ, სპარსელების ნინააღმდეგ მივდივართ, რომლებიც ტონოგურის ში ჩამსხდარან; გამოვყევი და ჩვენთან ერთად მიიღე მონანილეობა ამ ლაშერობაში. სირცხვილი იქნება, თუ ისინი კვლავ თავისუფლად ისხდებიან ჩვენი ქვეყნის შუა გულში, მით უმეტეს რომ ისინი მცირერიცხოვანნი არიან და ბრძოლის უნარითაც ვერ შეგვედრებიან“. „ეს ლაშერობა, შე კაი კაცო, ხომ მარტო თქვენ გეხებათ – მიუგო გუბაზმა, — რადგან მხოლოდ თქვენ მივიძლვით ბრალი იმაში, რაც მოხდა. რომ თქვენ ასე უგუნურად და დაუდევრად არ მოპყრობოდით საქმეს, არც ეს ციხე იქნებოდა ჩვენ ნინააღმდეგ გამაგრებული, არც ასე უსირცხვილოდ და ქუდმოვლეჯილი გაიქცეოდით და არც სხვა რამე მოხდებოდა ამ შეუფერებელი ამბებიდან“ (აგათია 1936: 48-49). სწორედ ამ კამათის დროს მოკლეს გუბაზი რუსტიკემ, მისმა ძმამ იოანემ და მარტინემ. ამ ფაქტის შემდეგ ბიზანტიულმა სარდლებმა გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით აეღოთ ონოგურისი, რის შემდეგაც მათი აზრით, გაუადვილდებოდათ ამ მკვლელობის გამო ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანე I-თან თავის მართლება. აგათია წერს: „მარტინეს ნაქეზებით რომაელებმა მთელი თავისი ჯარით იერიში მიიტანეს ონოგურის ში ჩამჯდარი სპარსელების ნინააღმდეგ. ეს სახელი ქველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნები, რომელთაც

ონოგურები ენოდებოდათ, ამ ადვილას შეძმიან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძეგლად ადვილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადვილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უნოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ ნმინდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისთვის და ჩაქოლილ იქმნა მონინალმდეგთა მიერ, მისი სახელი ენოდა ამ ადვილს. ჩვენ კი, ვფიქრობთ, არაფერი გვიძლის ხელს ძველი სახელწოდება ვიხმაროთ, მით უმეტეს რომ მნერლობა ამას მხარს უჭერს. ამრიგად, რომაელების ჯარი ონოგურისის ნინაალმდეგ გასაძლაშქრებლად ემზადებოდა. ამას მოითხოვდენ გუბაზის მკვლელობის სულის ჩამდგმელი, რომელთაც იმედი პქონდათ, რომ ამ ციხეს მაღლ დაიყრობდნენ: ამის წყალობით – ფიქრობდნენ ისინი – მეფეს რომ კიდევაც გაეგო მათი ვერავობის ამბავი, ისმათ მაინც-და-მაინც არ გაუწყრებოდა და, რადგან უკანასკნელილაშქრობა წარმატებით დამთავრდებოდა, საყვედურსაც აიცდენდნენ თავიდან” (აგათია 1936: 51-53). აქ სამფაქტს მივაქცევთ ყურადღებას: ერთი, რომ სახელი ონოგურისი ონოგურების ტომთანაა დაკავშირებული; მეორე, სახელი ონოგურისი სხვა თხზულებაშიცაა დაფიქსირებული და მესამე, ონოგურისში იდგა წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესია. პირველ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი აზრით, ონოგურების სახელთან ციხის სახელწოდების დაკავშირება ხელოვნური ჩანს. თავად აგათია გვიამბობს, რომ ეს სახელი ამ ადგილს ძველთაგანვე დაერქვა. უფრო მისაღებად მიგვაჩინია ის მოსაზრება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაშია დაფიქსირებული და მას „უნაგირას მთას“ უკავშირებენ [Brossat 1851: 90, 101-102; გეორგიკა III 1936 : 59-61, შენიშვნა 1]. რაც შეეხება სხვა თხზულებები ინფორმაციის მოხსენიებას, ეს ჩვენთვის უცნობია. ამ შემთხვევაში აგათია ალბათ გულისხმობს თურქული მოდგმის ტომს ონოგურებს, რომლებიც V-X საუკუნეებში მოსახლეობდნენ აზოვის ზღვის მიდამოებსა და ჩრდილოეთ კავკასიაში და რომლებსაც აგათიამდე იხსენიებდნენ სხვადასხვა ავტორები – პრისკე პანიონელი (V ს.), ზაქარია რეტორი (V-VI სს.), ხოლო შემდგომში უნუგურებს ვხვდებით თეოფილაქტე სიმოკატტასთან (VII ს.), ონოგურების საეპისკოპოსოს - VII-VIII საუკენეების ბიზანტიური ეპარქიების ნუსხაში, ქვეყანა ონოგორიას - რავენელი ანონიმის „კოსმოგრაფიაში“ (VIII-IX სს.), ონოგურების ტომს – IX საუკუნეში მოღვაწე ფსევდო-კალისტენეს იმ ხალხების ჩამონათვალში, ვინც დაიმორჩილა ალექსან-

დრე მაკედონელმა, ხოლო ონოგუნდურებს-უნოგუნდურებს – თეოფანე უამთაალმწერლის „ქრონიგრაფიაში“ (VIII-IX სს.), ასევე ანასტასი ბიბლიოთეკართან (IX ს.) და კონსტანტინე პორფიროგენეტთან (X ს.), რომლებიც ამ ტომს ბულგარელებთან აიგივებენ. საკუთრივ ინოგურისის ციხე კი სხვა არც ერთ თხზულებაში არ იხსენიება. რაც შეეხება წმ. სტეფანეს სახელობის ეკლესიას, პ. ზაქარიაიამ და თ. კაპანაძემ ყურადღება მიაქციეს ნოქალევეიდან 10-12 კილომეტრში, მდ. აბაშის ხეობაში მდებარე სოფ. სეფიეთის ბაზილიკის ბერძნულ წარწერას, რომელშიც წმ. სტეფანე იხსენიება. ეს წარწერა თავის დროზე წაიკითხა თ. ყაუხეჩიშვილმა: „წმინდა სტეფანე ყველა წმინდანებთან ერთად იშუამდგომლე მონისა ფილკტისტესათვის და ყოველთა მის ცოდვათათვის“ [ყაუხეჩიშვილი 1951: 89-91]. ამ წარწერას თ. ყაუხეჩიშვილი VI-VII საუკუნეებით ათარიღებდა. პ. ზაქარია და თ. კაპანაძემ ბაზილიკა V-VI საუკუნეებით დაათარიღეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ შესაძლებელია ეს ეკლესია თავის დროზე წმ. სტეფანეს სახელობის იყო, თუმცა ის ონოგურისთან არ დაუკავშირებიათ. მითუმეტეს, რომ სეფიეთი ვაკე ადგილზე მდებარეობს და იქ რაიმე ციხის კვალი არ არის გამოვლენილი [ზაქარია პ. კაპანაძე 1991: 198-215].

ახლა დავუბრუნდეთ ონოგურისის ციხეზე ბიზანტიელთა იერიშს. ეს სამხედრო ოპერაცია ბიზანტიელებისთვის სავალალოდ დასრულდა. თუმცა ამ შემთხვევაში ჩვენთვის საინტერესოა ის მონაცემები, რომლებიც უშუალოდ ციხის მდებარეობას ეხება: „და, აი, სტრატეგოსებიც და მთელი ჯარიც, რომელნიც არქეოპოლისის დაბლობში იყვნენ დაბანაკებულნი, ამზადებენ ეგრეთწოდებულ სპალიონებს, დიდი ქვების სატყორცენელებს და სხვა ამგვარ იარაღებს, რათა, თუ საჭირო იქნებოდა, ზღუდისათვის დაეშინათ“ (აგათია 1936: 53). უკვე ბრძოლის პროცესის აღწერისას კი აგათია წერს: „ერთი (სპარსელები-დ. ლ., ბ. ლ., მ. მ., პ. ე., ი. ქ.) იბრძოდენ საკუთარი სიცოცხლის გადასარჩენად და არა მცირეოდენ ხიფათს მისცემოდენ, მეორენი კი (ბიზანტიელები - დ. ლ., ბ. ლ., მ. მ., პ. ე., ი. ქ.) - უფრო იმიტომ, რომ რცხვენოდათ - რახან მოვიდენ, უშედეგოდ როგორ გაბრუნებულიყვნები ისე, რომ არც ეს ციხე აელოთ და არც არქეოპოლისი განეთავისუფლებინათ მტრის მეზობლობისაგან“ (აგათია. 1936: 56). ეს ცნობებიონოგურისის არქეოპოლისთან სიახლოვეზე მეტყველებს. ონოგურისი რომ ასევე ქუთაისთან და მოხირისთან ახლოს მდებარებდა, მიუთითებს აგათიას შემდეგი მონაცემები. ბიზანტიელებმა იერიშის მზადების პროცესში ტყვედ აიყვანეს ერთი სპარსელი

მოლაშქრე, რომლის სიტყვებით მუხირისში და ქუთაისში მდგარი სპარსული ჯარი აპირებდა ონოგურისის ციხის დამცველების დასახმარებლად წამოსვლას (აგათია 1936: 54). იგივეზე მეტყველებს აგათიას შემდეგი თხრობა: „დანარჩენი სპარსელები კი, დაახლოებით სამი ათასი კაცი, მამაცი ცხენოსანი, - დაირაზმნენ და კოტაისისა და მუხირისიდან გამოსწიეს ონოგურისისკენ. ისინი საქმაოდ უდარდელად მოდიოდნენ, სრულიადაც არ ეგონათ, თუ მტერი შეხვდებოდა“ (აგათია 1936: 56-57). ამ რაოდენობის დამხმარე ჯარის გამოგზავნა ონოგურისის მნიშვნელობაზე მეტყველებს. ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩინა აგათიას თხრობა ბრძოლის მსვლელობის შესახებ: ბიზანტიიელები „ციხეს ეცნენ და მაშინვე შეუდგნენ საქმეს. იმათ აამოძრავეს მანქანები და სცადეს ციხის კარების აღება, გარს შემოურტყყნენ ზღუდეს და ყოველი მხრიდან დაუშინეს. სპარსელები გაიფარგნენ ციხის კბილანებზე და, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იცავდენ თავს შექმნილ პირობებში“ (აგათია 1936: 56). თუ გავაანალიზებთ ამ ცნობას, ჩანს რომ ონოგურისი არ მდებარეობს მიუდგომელ ადგილას და მისი იერიში რამდენიმე მხრიდანაა შესაძლებელი. სხვათაშორის აგათია სხვა ციხეზე, მაგალითად ტელეფისზე აღნიშნავს, რომ ის მტკიცე და მიუდგომელია (აგათია 1936: 31), რასაც ონოგურისზე არ წერს.

მართალია მოხირისიდან და ქუთაისიდან გამოგზავნილი დამხმარე ჯარი, მათ წინაღმდეგ გაგზავნილმა ბიზანტიიელთა 600 კაციან-მა რაზმმა უკუაგდო, მაგრამ ონოგურისში მდგარმა სპარსულმა გარნიზონმა შეძლო ბიზანტიიელთა იერიშის მოგერიება. მეტიც ისინი ციხიდან გამოვიდნენ და ბიზანტიიელებს დაედევნენ, რომლებმაც მიატოვეს იქვე გაშლილი ბანაკი, გვერდი აუარეს არქეოპოლისთან მდებარე ძველ ბანაკასაც და ეგრისის შიდა სოფლებს შეაფარეს თავი (აგათია 1936: 59). ეს ცნობაც ამ ციხის არქეოპოლისთან სიახლოვეზე მეტყველებს; თან იმავე ცნობიდან ჩანს, რომ გაქცეული ბიზანტიიელები მდ. კათარზე გადებულ ვიწრო ხიდზე გაიჭედნენ და აქაც ბევრი მებრძოლი დაკარგეს. ს. ყაუხეჩიშვილი ამ მდინარეს მდ. აპაშასთან აიგივებდა, რომელიც თანამედროვე მარტვილის მუნიციპალიტეტს გამოყოფს სენაკის მუნიციპალიტეტიდან, კონკრეტულად კი სოფ. ნოქალაქევიდან, სადაც მდებარეობდა ციხევოვი-არქეოპოლისი.

ონოგურისის ციხე აგათიასთან ამის შემდეგ მხოლოდ გუბაზის მკვლელების სასამართლო პროცესზე იხსენიება. მისმა ერთერთმა მკვლელმა, რუსტიკემ თავის დასაცავ სიტყვაში კვლავ ხაზი გაუსვა დედაქალაქ არქეოპოლისთან მიმართებაში ონოგურისის

მნიშვნელობას: „სპარსელებს ჰქონდათ დაპყრობილი ონოგურისის ციხე, რომელიც მათ ჩამოეგლიჯათ არქეოპოლისის მიდამოებიდან, და ჩვენთვის აუტანელ სირცხვილს წარმოადგენდა ის, რომ მტრის ჯარი მტკიცედ ჩამჯდარიყო ზღუდის მიგნით ჩვენს მინაწყალზე. სტრატეგოსთა თათბირზე გაიმარჯვა იმ აზრმა, რომ მთელი ჯარით გავმგზავრებულიყავით იმათ წინაღმდეგ. გაგვენადგურებინა ისინი და, ამრიგად, გავთავისუფლებულიყავით მეტად სახიფათო ჩასაფრებისაგან. ჩვენ, რასაციორველია, გვჭირდებოდა კოლხთა ჯარიც, არა მარტო იმიტომ, რომ კოლხები, როგორც ამ ადგილების მცოდნენი უფრო მეტად, ვიდრე ამ ადგილთა არმცოდნენი, სასარგებლო რჩევა-დარიგებას მოგვცემდენ, არამედ იმიტომაც რომ, რადგან ბრძოლა მოგვიხდებოდა გამაგრებულ ადგილას ჩამჯდარ და კარგად შეიარაღებულ მებრძოლებთან და აგრეთვე იმათთანაც, რომლებიც აღმარტინებათ მუხარისიდან მოვიდოდენ მათ საშველად, კოლხებსაც გაენიათ ჩვენთვის დაბმარება, ჩვენთან ერთად ებრძოლათ“. (აგათია 1936: 146-147). ამის შემდეგ ონოგურისის ციხე არც აგათიასთან და არც სხვა წყაროში არ იხსენიება.

ონოგურისის ლოკალიზაციას აგათიას ნაშრომის თარგმანისთანავე შეეცადა ს. ყაუხეჩიშვილი [გეორგია III. 1936: 59-62, შენიშვნა 1]. როგორც უკვე ზემოთ აღვინიშნეთ, ის დაეთანხმა მ. ბროსეს და ამ ციხის სახელი დააკავშირა მარტვილისა და ხონის რაიონების საზღვარზე მდებარე უნაგირა მთასთან. ს. ყაუხეჩიშვილი თვლიდა, რომ ონოგურისის ციხე დღევანდელი მარტვილის და ხონის რაიონების საზღვარზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ ლაზეთის საზღვარზე, არქეოპოლისსა და ქუთაისს შუა უნდა მოეძია. მან ყურადღება მიაქცია აგათიას ცნობას, რომ 554 წლისთვის სპარსელებს ლაზეთი უჭირავთ ცხენისწყლამდე, ხოლო ბიზანტიიელები გამაგრებულან ცხენისწყლის დასავლეთით. თუმცა იმავე ცნობებიდან ჩანს, რომ ონოგურისი სპარსელებმა ეგრისის დედაქალაქის, არქეოპოლისის დამცავი ციხე იყო და ის მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, უნაგირა მთასთან ანუ თანამედროვე სამეგრელოს ტერიტორიაზე უნდა მდგარიყო [გეორგია III. 1936: 38-41, შენიშვნა 2]. ამ შემთხვევაში ს. ყაუხეჩიშვილი ასევე დაეყრდნოვანებული ბატონიშვილის ცნობებს, რომლის თანახმადაც „ხოლო სიგრძე იმერეთისა არს ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძუელად, და ან ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვსერეთ, ცხენისწყლამდე“ [ბატონიშვილი ვახუშტი 1973 : 747]. ვახუშტი ბატონიშვილი სხვა ადგილასაც მიუთითებს, რომ „ამას უხოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდენ ოდესმე

იმერთა და ოდიშთა საზღვრად” [ბატონიშვილი ვახუშტი 1973: 777]. აქ კიდევ გვინდა მოვიტანოთ ვახუშტის ერთი ცნობა, რომლის თანახმად VIII-IX საუკუნეების მიჯნაზე ახლად შექმნილი დასავლურ ქართული აფხაზეთის სამეფო, მეფე ლეონმა დაყო 8 საერისთავოდ. ამ საერისთავოების საზღვრები და მუსხელიშვილის დაკვირვებით იმეორებს ეგრისის სამეფოს ადმინისტრაციულ დაყოფას: აფხაზეთის საერისთავო მოიცავდა აფხაზეთს და ჯიქეთს, ცხუმის საერისთავო აფშილეთს და შესაძლოა მისიმიანეთს, ბედის – რიონის მარჯვენა სანაპიროს, შიდა ეგრისს, გურიის – რიონის მარცხენა სანაპიროს ჭოროხამდე, რაჭა-ლეჩხუმის – ეგრისის დროინდელ სკვიმნიას, სვანეთის- ეგრისის დროინდელ სვანეთს, შორაპნის – არგვეთს, ხოლო ქუთაისის – მოხირისის მხარეს რიონამდე [მუსხელიშვილი. 1980: 140-154]. ამ ცნობაშიც ვახუშტი ქუთაისის და ბედის საერისთაოს (შიდა ეგრისის) საზღვრად მდ. ცხენისწყალს ასახელებს [ბატონიშვილი ვახუშტი 1973:796]. ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ ისტორიული ალმოსავლეთ და დასავლეთ ლაზიკის (ეგრისის) საზღვარი მდინარე ცხენისწყალთან, უნაგირა მთასთან გადიოდა. როგორც უკვე ალვნიშნეთ, უნაგირა მთა ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა. ამ მთის ერთ-ერთ თხემზე იყო აგებული არქეოპოლისი, ხოლო ასევე ს. ყაუხებიშვილის აზრით, ონოგურისი და VI საუკუნის ბიზანტიულ მემატიანე პროკოპი კესარიელთან ხსენებული უქიმერიონის ციხე, ერთი და იგივე უნდა იყოს. აგათია პროკოპისგამგრძელებელი იყო და მისი თხზულება იწყება იმ დროიდან, სადაც პროკოპი წყვეტს თხრობას. ს. ყაუხებიშვილმა მიაქცია ყურადღება, რომ ისეთი მნიშვნელოვანი ციხე, როგორიც პროკოპის თხრობაში უქიმერიონია, აგათიასთან საერთოდ არ იხსენიება, ხოლო აგათიას ონოგურის პროკოპი არ იცნობს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ონოგურისის შესახებ აგათია ამბობს, რომ ამჟამად მას სხვა სახელი ჰქვიაო, შესაძლოა ამ ორი პუნქტის ერთიდაგივეობის დამვება. ს. ყაუხებიშვილმა ყურადღება მიაქცია პროკოპი კესარიელის იმ ცნობასაც, რომლის თანახმადაც უქიმერიონის აღების შემდეგ სპარსელები „მტკიცედ დაეპატრონენ ლაზიკეს. მაგრამ მარტო ლაზიკე კი არ ჩაიგდეს ხელთ სპარსელებმა, არამედ სკვიმნიაც და სვანიაც, და, ამრიგად, მოხირისიდან ვიდრე იბერიამდე მთელი მინაწყალი გამოიცალათ ხელიდან რომაელებსა და ლაზთა მეფეს“ (პროკოპი 1965: 202). მნიშვნელოვანია პროკოპის მეორე ცნობაც, რომლის თანახმად უქიმერიონი ქუთაისის მახლობლად მდებარეობდა და აქ ყავდათ ლაზებს კარგი მცველი რაზმი. მისი სიტყვებით,

ვინც უქიმერიონს და მოხირის ფლობდა, ის სვანეთში და სკვიმნიაში (ლეჩხუმი) მიმავალ გზას აკონტროლებდა (პროკოპი 1965: 196-197). ეს ციხე სპარსელთა სარდალმა მერმეროებ მოტყუებით, უბრძოლველად აიღო. თუ გავიხსენებთ აგათიას მიერ მოყვანილ გუბაზის სიტყვებს, რომელიც მან ბიზანტიელ სარდლებს უთხრა და ბრალი დასდო მათ, ონოგურისის უთავბოლობით დაკარგვაში, შეიძლება ს. ყაუხებიშვილის მოსაზრება ამ ორი პუნქტის ერთიდაგივეობის შესახებ, გავიზიაროთ; თუმცა ეს მოსაზრება ჯერჯერობით მხოლოდ ჰიპოთეზად დარჩება.

ონოგურისის იდენტიფიკაციის თაობაზე შემდგომშიც გამოითქვა არაერთი მოსაზრება. 6. ბერძენიშვილიც ამ ციხის სახელწოდებას უნაგირა მთასთან აკავშირებდა და მას მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, სოფ. ბანძის და ნოქალაქევის მიდამოებში ეძებდა. 6. ბერძენიშვილი მიუთითებდა, რომ ბანძასთან ახლოს მდებარე სოფ. ონოლიას „ონოგურისთან“ დაკავშირება მაცდუნებელი იყო [ბერძენიშვილი 1975: 463-465]. თუმცა ამ დაკავშირებას ხელს უშლის ის გარემოება, რომ ონოლია ვაკეზე მდებარეობს და აქ არც რაიმე ნაციხარის მსგავსია აღმოჩენილი.

ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ XX ს-ის 80-იან წლებში არქეოლოგიური სამუშაოები აწარმოა მარტვილის რაიონში მდებარე აბედათის ციხეზე და სამეცნიერო ლიტერატურაში დაფიქსირდა ვარაუდი, რომ სწორედ ეს ციხე უნდა იყოს ონოგურისი [ზაქარაია. კაპანაძე 1991: 127-137; ლექვინაძე 1993: 209-222]. ეს ვარაუდი დაეფუძნება ს. ყაუხებიშვილის ზემოთ უკვე ნახსენებ დაკვირვებას, რომ ონოგურისი მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე მდებარეობდა და მისი სახელი უნაგირა მთას უკავშირდებოდა; ასევე აგათიას ცნობებს ის არქეოპოლისთან ახლოს მდებარეობის თაობაზე. აბედათის ციხე ნოქალაქევის ჩრდილო-აღმოსავლეთით, მარტვილის მუნიციპალიტეტის მთიან ზოლში, უნაგირა მთის ზოლის შუა თხემზე მდებარეობს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პ. ზაქარაია და თ. კაპანაძე აღნიშნავდნენ, რომ უფრო ლოგიკური იქნებოდა ონოგურისი არქეოპოლისის აღმოსავლეთით გვეძებნა, მაგრამ აქ მდინარეების აბაშის, ნოღელას და ცხენისწყლის დაბლობებია, სადაც ციხის არსებობა არაა მოსალოდნელი და არცაა დაფიქსირებული (სოფ. ონოლიაც სწორედ აქ მდებარეობს) [ზაქარაია. კაპანაძე 1991: 130].

ნინამდებარე სტატიის ავტორები სოფელ აბედათში გამოვლენილი ციხისა და ონოგურისის იგივეობის საკითხს არ ეთანხმებიან. დ. ლომიტაშვილის განმარტებით,

რომელიც აბედათში წარმოებულ გათხრებს ხელმძღვანელობდა, ციხეზე მოპოვებულ მასალებში “თითქმის არ ჩანს IV-VI სს-ის ძეგლებისთვის დამახასიათებელი ისეთი ნაკეთობანი, როგორიცაა ქვეკრები, ნელშეზნებილი თუ უცხოური ამფორები, სფერულ მუცლიანი ქოთხები, სასუფრე კერამიკა, იმპორტის საგნები და სხვ.” [ლომიტაშვილი 2003: 209], გარდა ამისა, აბედათის ციხის გარშემორელიეფზე დაკვირვება აშკარად მიანიშნებს იმაზე, რომ ციხის მთავარი ფუნქცია უნაგირა მთაზე არსებული სამხრეთ-ჩრდილოეთ მიმართულების ვიწრო გადასასვლელის ჩაკეტვა უნდა ყოფილიყო. იმავდროულად აბედათის ციხე საკმაო მანძილით არის დაშორებული იმერეთიდან (ისტორიული მოხირისის რეგიონიდან) არქეოპოლისისაკენ მიმავალ გზას და, შესაბამისად, აბედათის ციხიდან არქეოპოლისის აღმოსავლეთ მისადგომების დაცვა გაჭირდებოდა [მურლულია 2013ა: 155].

ონოგურისის იდენტიფიკაციის საკითხს შეეხო ა. ფაილოძეც [ფაილოძე 2003: 27-32]. აგათია სქოლასტიკოსის თხზულების მიხედვით მან შეისწავლა ონოგურისის გეოგრაფიული მდებარეობა და მანაც გამოთქვა მოსაზრება, რომ აბედათი არ შეიძლება ონოგურისი ყოფილიყო, რადგან საკმაოდა დაშორებული ქუთაისს. ასევე მიაქცია ყურადღება, რომ უნაგირას ქედი იმერეთის საზღვართან, სოფ. მათხოვის პირდაპირ, ცხენისწყლის გაღმასოფ. ზედა ხუნწის გორაკიდან იწყება. ამ გორაკს კი ადგილობრივები ნაჯიხუს ანუ „ნაციხარს“ უწოდებენ. ა. ფაილოძემ მოინახულა ამ გორაკზე შემორჩენილი ნაგებობების ნაშთები და დასკვნა, რომ ონოგურისი სწორედ ხუნწი უნდა ვეძებოთ.

ახლა კვლავ დავუბრუნდეთ თავად ხუნწის ციხეს. როგორც აღვნიშნეთ, ის მდებარეობს მდ. ცხენისწყლის მარჯვენა სანაპიროზე, მდინარიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით 1.40 კმ მოშორებით. ციხეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან 750 მეტრში ჩამოუდის კიდევ ერთი მდინარე, ნოღელა, რომელიც სოფელს შუაზე კვეთს. ჩვენი აზრით, შესაძლოა ამ მდინარის ონოგურისის სახელთან დაკავშირება. აქ გვინდა მოვიტანოთ კიდევ ერთი საინტერესო გადმოცემა, რომელიც ადგილობრივმა მოსახლეობამ შემოინახა და ის ჩაინტერესობას დაგენერიცხავის საჯარო სკოლის მოსავლემ ლიზი მოსიძემ. ეს ლეგენდა გამოქვეყნდა ადგილობრივ პრესაში. გადმოცემის თანახმად ეს ციხე გვიან შუასაუკუნეებში, XVI-XVII საუკუნეებში აუგიათ. ციხის ცენტრში მდგარა სალოცავი ნიში. იმავე პერიოდში ცხენისწყლის გადაღმა, მათხოვის ციხეში თურქული გარნიზონი მდგარა. თურქებმა ერთ დღეს გადაწყვიტეს ხუნწის ციხის აღება

და სოფელს თავს დაესხნენ. ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომელიც ამ დროს ყანებში იყო გასული სამუშაოდ, სასწრაფოდ თავი შეაფარა ციხესიმაგრეს. ქართველები რამდენიმე დღეს იცავდნენ ხუნწის ციხეს, მაგრამ მონინააღმდეგის სიძლიერის გამო იძულებული გახდნენ ჩრდილოეთით მდებარე საიდუმლო გვირაბით, ნოღელას ხეობით სოფელ კვაითისკენ გაქცეულიყვნენ. თურქები კარგა ხანს ყოფილან ციხეში, თუმცა გარნიზონში ეპიდემია გავრცელებულა და რაღაც დაავადებით დაღუპულან. მოსახლეობა სოფელში დაბრუნებულა, მაგრამ ციხეს აღარ ეკარებოდნენ. ამ ლეგენდაში მნიშვნელოვნად მიგვაჩნია სამლოცველო ნიშის არსებობა და მონინააღმდეგის მიერ ციხე-სიმაგრის დაკავება. აქ წარმოებული დაზვერვების დაშემდეგ არქეოლოგიური გათხრების შედეგად გვიან შუასაუკუნეების მასალა და ასევე ამავე დროის არქიტექტურა ჯერჯერობით არ გამოვლენილა. არ ჩანს თურქების ყოფნის კვალიც (მაგალითად, იმავე მარტვილის რაიონის აბედათის ციხეზე არქეოლოგიური მასალის უმეტესობა, მათ შორის თურქული მონეტები და ჩიბუხები, გვიანი შუასაუკუნეებით თარიღდება). ჩვენი აზრით, არ არის გამორიცხული ამ ლეგენდაში უფრო ძველი პერიოდის, კერძოდ სპარსელების მიერ ციხის აღებისა და გარკვეული დროით აქ მათი გარნიზონის არსებობის ამბავია დალექილი. თუმცა ეს მაინც სამუშაო ჰიპოთეზაა და მომავალი კვლევა უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხე მდებარეობს 20 მეტრი სიმაღლის ქუქითის გორაზე და დაახ. 6000 მ² ფართობს მოიკავებს. ციხის გალავნები მიწის დონეზეა დანგრეული. მხოლოდ მის ჩრდილოეთ ნაწილშია შემორჩენილი გალავნის ერთი ფრაგმენტი. ამიტომ ციხის გეგმარების დადგენა მხოლოდ აეროფოტოების საშუალებით ხერხდება (სურ. 1). აეროფოტოზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მცენარეები ამოსულია სწორედ გალავნების ნაშთებზე და მათი გავრცელება ციხის გეგმარებას ემთხვევა. ჯერჯერობით სწორედ მცენარეული საფარის კონტურების მიხედვით არის შესაძლებელი ციხის გეგმარებისა და ზომის დადგენა. ციხის ტერიტორია ბორცვის რელიეფს მიჰყვება და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ არის წაგრძელებული. მაქსიმალური სიგრძე 120 მეტრია, სიგანე - 60 მეტრი. ციხეშუა გალავნით სავარაუდოდ ორ თანაბარ მართკუთხა ფორმის ნაწილად არის გაყოფილი, რომელიც ზედა და ქვედა ციხეს აერთიანებს. ციტადელს მოკავებული უნდა ჰქონდა სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი. ციხის ჩრდილო-დასავლეთ დაბოლოებაზე შეიმჩნევა ორი ან სამი კოშკის ნაშთი.

ციხის ტერიტორიას ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან ღრმა და დამრეცი ფერდობი ეკვრის. ამ მხრიდან ის მიუდგომელია. აღმოსავლეთიდანმას დამრეცი ფერდობი ესაზღვრება. ამ მხრიდან ციხემდე მისვლა შეუძლებელი არ არის, თუმცა ყველაზე ადვილი მისაგომი სამხრეთის მხრიდან იქნებოდა. აქედანმას ნაკლები ქანობის ფერდობი ესაზღვრება და საფიქრებელია, რომ მთავარი შესასვლელიც ამ მხრიდან იქნებოდა.

2014 წლის არქეოლოგიური კამპანიის დროს, ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის რამდენიმე წევრმა მოინახულა ზემო ხუნწის გორაკი. იმავე წელს ჩატარდა ზედაპირული დაზვერვები, რომლის შედეგად დადგინდა, რომ მართლაც, ამ გორაკზე შემორჩენილია სხვადასხვა ნაგებობების ნამთები, რომელიც სავარაუდო $V-VI$ საუკუნეებით შეიძლება დათარილდეს. ასევე გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ ნამთების ფუნქციის გარკვევა, მისი დათარილება და იყო თუ არა ხუნწი მდებარე ციხე-სიმაგრე ონოგურისი, მხოლოდ მომავალი კვლევის შედეგად იქნებოდა შესაძლებელი. ამიტომ 2015 წლიდან საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს და მარტვილის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით დაიწყო ძეგლის გეგმაზომიერი შესწავლა. 2015-2016 წლების არქეოლოგიურმა სამუშაოებმა მნიშვნელოვანი სიახლეები მოგვცა ხუნწის ციხის ისტორიის შესწავლისათვის:

1. სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოვლინდა უცნობი დანიშნულების ნაგებობის ნანილი, საკმაოდ უცხო და საინტერესო არქიტექტურულ-სამშენებლო დეტალებით. სავარაუდოდეს არის ჩრდილო-დასავლეთ - სამხრეთ-აღმოსავლეთ ორიენტაციის ნაგებობის (რომლის აღმოსავლეთი ბოლო სამხრეთის კენ არის მცირედით გადახრილი) ჩრდილო-დასავლეთ ნაწილი, რომელსაც ჩრდილოეთ და დასავლეთ კუთხეები ნაკვეთილი აქვს და გეგმაში ოქტაგონს მოგვაგონებს (სურ. 2). ნაგებობა მიწის დონეზეა დანგრეული და მხოლოდ კედლების 4-5 რიგია შემორჩენილი. კედლების საფასადე წყობა ნაგებია კარგად გათლილი 20-დან 40 სმ-მდე ზომის კირქვებით, რიგების დაცვით. სადულაბე მასალად გამოყენებულია კირი. საპირე წყობებს შორის ჩაყრილია ფლეთილი კირქვა და ჩასხმულია კირი. კედლის მაქსიმალური შერჩენილი სიმაღლე 0.90 მ-ს არ სცილდება. კედლის სისქე სხვადასხვა მონაკვეთებში 0.95 მ-დან 1.05 მ-მდე მერყეობს.

ნაგებობის სიგანე (ჩრდ.-დას. - სამხ.-აღმ. ხაზზე) 8 მეტრს აღნევს, სრული სიგრძე კი მობილური ოპერატორის მიერ დადგმული ნაგე-

ბობის გამო არ დგინდება. ნაგებობის შიდა სივრცის გაწმენდის პროცესში აღმოჩნდა ოთხი სვეტის ძირი, რომლებიც უშუალოდ კედლებზეა მიბჯენილი. ასევე ჰიდრავლიკური ხსნარითა და თიხის ფილებით მოკირნყლული იატაკი. იატაკის ქვეშ კი კამაროვანი გადახურვით მონყობილი საძვალე აღმოჩნდა (სურ. 3). გამომდინარე იქიდან, რომ ნაგებობის ნაწილი მობილური ოპერატორის მიერ დადგმული ნაგებობის ქვეშ არის მოქცეული, მისი მხოლოდ ნაწილობრივ შესწავლა მოხერხდა და შესაბამისად, ნაგებობის დანიშნულების განსაზღვრა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება.

2. გამოიკვეთა ციხის ჩრდილოეთ გალავნის დაახლოებით 25 მეტრამდე სიგრძის მონაკვეთი (სურ. 4). კედლების საპირე წყობა ნაგებია კარგად გათლილი კირქვების რიგებით, ხოლო საპირე წყობებს შორის კირის დუღაბთან ერთად ჩაყრილია სხვადასხვა ზომის და ჯიშის ქვები. გალავნის კედლები 70 სმ სილრმის საძირკველზე დგას. ამ ტიპის სამშენებლო ტექნიკა ტიპურია $IV-VI$ საუკუნეების ეგრისის ციხესიმაგრეებისათვის [ზაქარაია. კაპანაძე 1991: 126-164; მურდულია 2013ა]. შესაბამისად, გალავნების ზოგადი თარიღიც ამ პერიოდით უნდა განისაზღვროს.

3. თხრილებში აღმოჩნდა ძალიან დიდი რაოდენობისა და ნაირსახეობის სამუშაო (ამფორები, ქვევრები, ლუთერიუმები) და სამშენებლო (აგურები, კრამიტები, ფილები) კერამიკული მასალები (სურ. 6-7). მათი აბსოლუტური უმრავლესობა $IV-VI$ საუკუნეებით თარიღდება და შესაბამისად, აღნიშნულ პერიოდში ციხის ფუნქციონირების ქრონოგრაფის კიდევ ერთხელ ადასტურებს. საინტერესოა, რომ დღემდე შესწავლილ მონაკვეთებზე სამზარეულო და სუფრის ჭურჭლის ფრამენტები უმნიშვნელო რაოდენობით არის აღმოჩენილი, რაც შესაძლოა მიუთითებდეს იმ ფაქტზე, რომ ხუნწის ციხე უფრო მეტად სამხედრო-სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა, ვიდრე რომელიმე დიდებულის საცხოვრებელ რეზიდენციას.

როგორც უკვე აღინიშნა, ციხის გალავნების უმეტესი ნაწილი მიწის დონეზეა დანგრეული და შესაბამისად, ხუნწის ციხის დანიშნულების დადგენისთვის მნიშვნელოვანია მისი მდებარეობის ანალიზი. სიმაგრის ასაშენებლად შერჩეულია მდინარე ცხენისწყალის მარჯვენა სანაპირო, იქ სადაც მდინარე ღრმა კლდოვანი ხეობიდან გამოდის და ვაკეზე მიედინება. შესაბამისად, აშკარაა, რომ ხუნწის ციხის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ცხენისწყლის ხეობაზე გამავლი გზის კონტროლი და ჩაკეტვა იყო. ცხენიწყლის ხეობა შუა საუკუნეებში დასავ-

ლეთ საქართველოს მთისა და ბარის (ჩრდილოეთ - სამხრეთის მიმართულების) ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი გზა იყო; კონკრეტულად ხუნწის ციხის არსებობის პერიოდში, ე.ი. ეგრისის სამეფოს ძლიერების ხანაში კი ეს გზა მოხირისის ქვეყანას სკვიმნიასთან (რაჭა-ლეჩხუმთან) და სვანეთთან აკავშირებდა [ლორთქიფანიერ, მურლულია. 2014: 109-110]. ამიტომაც, საფიქრებელია, რომ აღნიშნული ორი რეგიონს შორის ურთიერთობის დარეგულირება ხუნწის ციხის მფლობელის პრეროგატივა იქნებოდა, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური თვალსაზრისით, ისე სამხედრო-სტრატეგიული კუთხითაც.

ხუნწის ციხის მდებარეობა საშუალებას იძლეოდა მდ. ცხენისწყლის ხეობაზე გამავალი ჩრდილოეთ - სამხრეთის მიმართულების გზასთან ერთად დაცვა და გაეკონტროლებინა აღმოსავლეთ - დასავლეთ მიმართულების, ანუ მოხირისის ქვეყნიდან (დღ. იმერეთი) ცენტრალური ეგრისისაკენ (დღ. სამეგრელო) მიმავალი გზაც. ამ ორ რეგიონს შორის არსებული ბუნებრივი გამყოფი ზოლი ანტიკური ხანიდან შუა საუკუნეების ჩათვლით სწორედ მდინარე ცხენისწყალი იყო. ამ ზოლის დაცვა და კონტროლი განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა VI საუკუნეში მიმდინარე ეგრისის დიდი ომის დროს, როდესაც ცხენისწყლის აღმოსავლეთით სპარსელები, ხოლო დასავლეთით ბიზანტიელები და ლაზები იყვნენ განლაგებული. აქვე თუ გავიხსენებთ ხუნწის ციხისა და ონოგურისის იგივეობის ალბათობას, აშკარა ხდება, რომ ხუნწის ციხე კონტროლს უწევდა აღმოსავლეთი და ცენტრალური ეგრისის დამაკავშირებელ ერთ-ერთ მთავარ გზას.

როგორც უკვე აღინიშნა, ხუნწის ციხე, მცირე ზომის ბორცვზეა აგებული, თუმცა ფორტიფიკატორებს ტერიტორია ისე შეურჩევიათ, რომ ციხის ტერიტორიიდან სამ მხარეს ვრცელი ტერიტორიების ვიზუალური კონტროლია შესაძლებელი:

1. დასავლეთით კარგად მოჩანს 3 კმ-ში მდებარე მაღალი ბორცვი, რომელზეც მარტვილის მონასტერია განთავსებული. მარტვილის მონასტრის ტერიტორიის ადრეული ისტორია ცალკე კვლევის საგანია და წინამდებარე სტატიის საზღვრებს სცდება, თუმცა მხოლოდ შენიშვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ მონასტრის ტერიტორიაზე დაკვირვება აშკარად იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ აქ მონასტრის დაარსებამდე სამოსახლო, სამლოცველო და/ან ეგებ სასიამგრო სისტემაც არსებულიყო. უღრუბლო ამინდის დროს ხუნწის ციხიდან სამხრეთ-დასავლეთით 18 კმ-ში კარგად ჩანს

ეგრისის სამეფოს დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისის ციტადელი და მისი კოშკები, რაც მეციხოვნებს ცეცხლის და კვამლის მეშვეობით სასიგნალო-საგანგაშო კომუნიკაციის საშუალებას მისცემდა.

2. ხუნწის ციხიდან აღმოსავლეთით კარგად მოჩანს 2-3 კმ-ში მდებარე მდ. ცხენისწყლის ვიწრო და დაკლაკნილი ხეობა, რაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სკვიმნია-სვანეთისკენ იქ გამავალი გზის, როგორც ვიზუალური, ისე ფიზიკური კონტროლის საშუალებს იძლეოდა. კიდევ უფრო შორს კი, 25 კმ-ში მდებარე ხვამლის მთა მოჩანს (სურ. 5).

3. ციხიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით იშლება მდინარე ცხენისწყლისა და აბაშის ორმდინარეთის ვრცელი ხედი. შესაბამისად, ხუნწის ციხიდან მოხირისის ქვეყნისა და ცენტრალური ეგრისის ვაკე ტერიტორიის, მათ შორის ქუთაისიდან და მოხირისიდან მომავალი გზის ვიზუალური კონტროლი საკმად ვრცელ არეალზე (დაახ. 15-20 კმ), იყო შესაძლებელი.

ეგრისის სამეფოს თავდაცვით სისტემაში შემავალი ციხესიმაგრები ჩვენ მიერ შედგენილი ფუნქციური კლასიფიკაციით სამ ძირითად კატეგორიაში ერთიანდებიან: 1. ხეობის გზის ჩამკეტი, 2. საგუშაგო-სასიგნალო და 3. ადმინისტრაციულ-საბაჟო დანიშნულების [მურლულია 6. 2013გ: 165]. საინტერესოა, რომ ხუნწის ციხე, მისი მდებარეობის, მასშტაბებისა და გამოვლენილი არქეოლოგიური მასალის ანალიზის მიხედვით, შესაძლებელია ზემოთ ჩამოთვლილ სამივე დანიშნულებას ასრულებდა: 1. სრულიად აშკარაა, რომ ციხის უმთავრესი დანიშნულება სამხრეთ-ჩრდილოეთისა და დასავლეთ-აღმოსავლეთის მიმართულების გზების ჩაკეტვა, დაცვა და კონტროლი იყო; 2. ციხისთვის შერჩეული ტერიტორია მეციხოვნებს საშუალებას აძლევდა ერთდროულად სამი მიმართულებით საკმად ვრცელი და მნიშვნელოვანი ტერიტორია დაზვერათ და ამასთანავე კავშირი ჰქონდათ სხვა სიმაგრეებთან (მაგ. დედაქალაქ ნოქალაქევი-არქეოპოლისთან); 3. ციხის ზომებიდან გამომდინარე (60 X 120 მ) აშკარაა, რომ ის არ იყო რიგითი საგუშაგო-სასიგნალო ან მხოლოდ ხეობის ჩამკეტი სიმაგრე. ნინააღმდეგ შემთხვევაში ფორტიფიკატორები მცირე ზომის ციხის აშენებით შემოიფარგლებოდნენ. ასეთები კი ისტორიული ეგრისის ტერიტორიაზე მრავლად არის გამოვლენილი. მაგალითად, კოტიანეთის, სქურის, ეკისა და სხვა ციხეები. შესაბამისად, საფიქრებელია, რომ ხუნწის ციხე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სიმაგრე იყო. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა არქეოლოგიურ

მონაპოვრებში აშკარად ჭარბობს სამეურნეო დანიშნულების კერამიკული ტარა, ხოლო სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი ძალზე მცირე რაოდენობით გვხვდება, რაც გვაფიქრებინებს, რომ ციხე არც რომელიმე დიდებულის რეზიდენცია იქნებოდა და არც მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური გაცვლის ადგილი. უფრო საფიქრებელია, რომ ხუნწის ციხე მისი ზომებიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი სამხედრო-ადმინისტრაციული ცენტრი იყო.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შესწავლილი ისტორიული წყაროების, არქეოლოგიური მასალებისა და გეოგრაფიული მახასიათებელების ანალიზის საფუძველზე აშკარაა, რომ ხუნწის ციხე ეგრისის სამეფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ციხესიმაგრეს წარმოადგენდა. ამასთანავე არსებული მონაცემების მიხედვით მოსაზრება ხუნწის ციხისა და აგათია სქოლასტიკოსის ონოგურისის იგივეობის შესახებ სრულიად სარჩმუნოდ მიგვაჩინა.

ლიტერატურა:

აგათია სქოლასტიკოსი. 1936: გეორგიკა, III, ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხეჩიშვილმა. ტფილისი.

ბატონიშვილი ვახუშტი. 1973: აღნერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, IV.

ბერძენიშვილი 6. 1975: საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII.

გეორგიკა, III, 1936: ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხეჩიშვილმა. ტფილისი.

ზაქარია პ., კაპანაძე თ. 1991: ციხეგოჯი-არქეოპლისი-ნოქალაქევი. ხუროთმოძღვრება. თბ.

ლექვინაძე ვ. 1993: ნოქალაქევი-არქეოპლისი, III. თბ.

ლორთქიფანიძე ბ., მურლულია 6. 2014: სვანეთი ბიზანტია-სასანიანთა სპარსეთის ურთიერთობაში V-VI საუკუნეებში. საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. V (49-B), თბ. გვ. 95-116.

მურლულია 6. 2013ა: ეგრისის სამეფოს გამაგრების

სისტემა IV-VI სს-ში (არქეოლოგიური მასალებისა და ისტორიული წყაროების მთხელვით). სადოქტორო ნაშრომი არქეოლოგის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ.

მურლულია 6. 2013ბ: ეგრისის სამეფოს ციხეების კლასიფიკაცია. უურნალი - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მოამბე, ტ. IV (48-B), თბ. გვ. 159-169.

მუსელიშვილი დ. 1980: საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, II.

პროკოპი კესარიელი. 1965: გეორგიკა, II. ბიზანტიელი მნერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხეჩიშვილმა. თბ.

ფაილოძე ა. 2003: მატიანე ხონისა, ნაწილი მეორე, ბათუმი.

ყაუხეჩიშვილი თ. 1951: ბერძნული წარწერები საქართველოში. თბ.

Brosset M-F.1851: Additions et éclaiwrcissements à l'histoire de la Géorgie depuis l'Antiquité jusqu'en 1469 de J.-C. Saint Petersburg: Académie impériale des sciences.

ილუსტრაციების აღნირილობა:

სურ. 1. ხუნწის ციხის ტერიტორია. აეროფოტო.

სურ. 2. ოქტაგონის ფორმის ნაგებობის ნაშთი.

სურ. 3. ნაგებობის იატაკის ქვეშ გამოვლენილი საძვალე.

სურ. 4. ციხის ჩრდილოეთ გალავნის ფრაგმენტი.

სურ. 4ა. გალავნის ფრაგმენტის ახლო ხედი.

სურ. 5. ხედი ხუნწის ციხიდან აღმოსავლეთით - მდ. ცხენისნლის ხეობა და ხვამლის მთა.

სურ. 6. კერამიკული ტარა ციხის ჩრდილოეთ მონაკვეთიდან.

სურ. 7. სამშენებლო კერამიკა ციხის ციტადელში გამოვლენილი ნაგებობიდან.

D. LOMITASHVILI



1



2



3



4



4.5



5



■ ■ ■ ■ ■

6



7

ანტიკური ხანის მასალა კასპის მუზეუმიდან

კასპის მუზეუმში არაერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი არქეოლოგიური არტეფაქტია დაცული. არქეოლოგიური კოლექცია მოიცავს მასალას ქვის ხანიდან შუა საუკუნეებამდე და ძირითადად, შედგება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად შემოსული და ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული, შემთხვევით აღმოჩენილი არტეფაქტებისაგან.

ინტერესს იწვევს მუზეუმში დაცული, ანტიკური ხანით დათარიღებული არქეოლოგიური მასალა კავთისხევის ციხიაგორადან, დაჭრილებიდან, ხოვლედან, სასირეთიდან, გოსტიბედან, მეტეხიდან, ხანდაკიდან, რენედან, ოკამიდან და სხვ.

ქვემოთ შემოგთავაზებთ ამ პერიოდით დათარიღებული, კასპის მუზეუმში დაცული რამდენიმე საინტერესო ნივთის მოკლე მიმოხილვას.

მუზეუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი. მათ შორისაა წილად მოხატული ქვევრების ფრაგმენტები ციხიაგორადან (ძვ.წ. III საუკუნე, ტაბ. I 1,2); ნითლად მოხატული ხელადები სოფ. ახალციხიდან (შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ.წ. IV საუკუნე, ტაბ. I 6), კასპიდან (შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეები, ტაბ. I 3), მოხატული კოჭობი კასპიდან (შემთხვევითი მონაპოვარი, ძვ.წ. I-ახ.წ. I საუკუნეები, ტაბ. I 7), ჩაიდნისებურპირიანი დოქი თვალადიდან (ძვ.წ. IV საუკუნე, ტაბ. I 4), შავად გამომწვარი კონუსურძირიანი სასმისი კასპიდან (ძვ.წ. II-I საუკუნეები, ტაბ. I 8). აღსანიშნავია სელისაგან დამზადებული კონუსურძირიანი სასმისი საყარაულო სერიდან, რომლის შიდაპირი ფისითაა მოლესილი (ძვ.წ. II-I საუკუნეები, ტაბ. I 5).

სოფ. სასირეთში 1982 წელს გათხრილ ძვ.წ. III საუკუნის ორმოსამარხში აღმოჩენილია რამდენიმე საინტერესო ნივთი:

დისკო, ვერცხლის, მოოქროვილი (დმ-15 სმ), ნივთის კიდეზე 15 პალმეტია გამოსახული, კონცენტრულ ხაზებს შორის კი მცირე ბურცობები და ვარდულებია დატანილი (ტაბ. II 1);

ამავე სამარხიდანაა ვერცხლის კირკალი დმ.- 16,5 სმ) (ტაბ. II 2);

სასირეთის ამავე სამარხიდან უნდა მომდინარეობდეს თიხის მსხლისებურჭანიანი ხელადა, რომლის ტანზეც ამოკანრულია

სვასტიკა, ლათინური X-ის მაგვარი გამოსახულება და ხარ-ირემი. ჭურჭლის სიმაღლე – 14 სმ-ია (ტაბ. II, 3,4).

დიონისეს ქანდაკება, ბრინჯაოსი (სოფ. კოდისწყარო, შემთხვევითი აღმოჩენა, სიმაღლე – 19 სმ. ტაბ. III), თარიღდება ძვ.წ. III-II საუკუნეებით. ნივთი ჩამოსხმულია ცვილის მოდელის დაკარგვის მეთოდით. ქანდაკებას აკლია მარცხენა ფეხი. როგორც ჩანს, იგი გარკვეული კომპოზიციის ნაწილი უნდა ყოფილიყო. ქანდაკების თავზე სუროს ფოთლებიანი ბაფთაა, ყურებზე დაკიდებულია ყურძნის მტევნები, თვალები ვერცხლით იყო ინკრუსტირებული. შიშველი ტანი ქალურად ნაზი და მოხდენილია. მარცხენა ხელით იგი უნდა ეყრდნობოდეს აყვავებულ კვერთხს — ტირსოსს, მარჯვენა, ოდნავ განვდილ ხელში კი სასმისი უნდა ეჭიროს. იკონოგრაფიული მონაცემების მიხედვით, ეს უნვერული დიონისე უნდა იყოს, რომლისათვისაც დამახასიათებელია სხეულის ქალურობა, აგრეთვე ხელების ზემოთაღწერილი მოძრაობა [მიზანდარი მ., 1988: 111- 116].

ოინოხოია, ბრინჯაოსი (სოფ. ზემო ხანდაკი, შემთხვევითი აღმოჩენა, ტაბ. IV). ოინოხოიას ტანი (h-25 სმ.) ჩამოსხმულია, რის შემდეგაც იგი ჩარხზე დაუმუშავებიათ. ცალკე ჩამოსხმული ყური ჭურჭლის პირსა და მხარზე იყო მირჩილული. ნივთს აკლია ყურის ნაწილი, დაზიანებულია და ცუდადაა შემონახული მისი კალთები და ძირიც. ჭურჭლს აქვს მკვეთრად გადაშლილი, ჰორიზონტალური პირი, რომლის ცალ მხარეს ზემოთ ანეული ტუჩია. ყელი ოდნავ გამოყვანილი და საშუალო სიმაღლისაა, მხარი პირდაპირ გადადის მომრგვალებულ მუცელში. კალთა სავარაუდოდ მაღალი უნდა ყოფილიყო (შემორჩენილია მისი ფრაგმენტი). ძირი გამოკვეთილია, ოდნავ შეღრმავებული. ჭურჭლის მხარზე გრავირებით გამოყვანილია რკალისებური ფორმის, ბაფთებით შეკრული წაგრძელებული და წაწვეტებული ფორმის (დაფნის?) ფოთლების ოთხი წნული. თითოეული რკალის შიგნით თითო, ოთხფურცელა ვარდულია. წნულებს ერთმანეთთან ამავე ტექნიკით შესრულებული, ხარის თავის ორი სტილიზებული გამოსახულება აკავშირებს. ორნამენტი ვერცხლით იყო ინკრუსტირებული, რომლის მხოლოდ მცირე ნაწილიდან შემორჩენილი. ყური შემკულია ე.წ. ენისებური ორნამენტით, მის თავსა და ბოლოში კი გამოსახულებებია, რომლებიც

ყურთან ერთადაა ჩამოსხმული. ყურის პირთან მიერთების ადგილას მოთავსებულია ქალის სკულპტურული გამოსახულება, რომელსაც მხრებსა და თავზე ლომის ტყავი აქვს მოსხმული. ქალის გამომეტყველება მრისხანეა, იგი ჭურჭელზეა გადამხობილი და მის სიღრმეში იყურება. მისი თვალები და ლომის ეშვები ვერცხლით იყო ინკრუსტირებული. სავარაუდოდ, ეს გამოსახულება უნდა ეკუთვნოდეს ბერძნული მითოლოგიის პერსონაჟს, ლიდიის დედოფალ ომფალეს. ყურის ქვედა ნაწილზე, იქ, სადაც ყური ჭურჭლის ტანს უერთდება, მაღალი რელიეფით გამოსახულია დიონისეს წრის ღვთაება, მისი აღმზრდელი სილენი, რომელსაც დამახასიათებელი ნიშნები – გადმოკარკლული თვალები, ცხოველური ყურები, შემელოტებული თავი და სქელი ტუჩები აქვს. სილენის ტუჩები და ყურები სპილენძითაა ინკრუსტირებული, თვალები კი ვერცხლით (ინკრუსტაცია ფრაგმენტულადაა შემორჩენილი). ნივთი თარიღდება ა.წ. პირველი საუკუნეებით [Shatberashvili 2013:234].

თასი, ვერცხლის (სოფ. გოსტიბე, ორმოსამარხი, 1982 წ. შემთხვევითი აღმოჩენა). თასი დამზადებულია ვერცხლის მთლიანი ფურცლისაგან, მის ძირზე მირჩილული იყო ფეხი, რომელიც არ შემონახულა. იგი ორნამენტირებულია: შიდაპირი ოთხ ტოლ ნაწილადაა დაყოფილი თეგვით გამოყვანილი, ოთხ-ოთხი, ერთმანეთთან შეტყუპული ყვავილის ფურცლის მსგავსი ორნამენტით. ჭურჭლის ცენტრთან დარჩენილი სივრცე შევსებულია ამოკვეთილი ხაზებით დატანილი თხების სქემატური გამოსახულებით, ჭურჭლის კიდესთან კი ნერტილოვანი ორნამენტით ყურძნის მტევნებია გამოსახული. შემორჩენილი სიმაღლე 4,7 სმ-ია, მაქსიმალური დიამეტრი - 18 სმ [სძა 1990: 151].

ბალთა, ბრინჯაოსი (სოფ. გოსტიბე, ორმოსამარხი, 1982 წ. შემთხვევითი აღმოჩენა). ჭვირული, კვადრატული ფორმის (8,5 X 8,5 სმ), დამზადებულია ცვილის მოდელის დაკარგვის მეთოდით, ბალთაზე გამოსახული ცენტრალური ფიგურა ცხენს წარმოადგენს, მის ზურგსა და მუცელთან კი შედარებით მცირე ზომის ფიგურებია [სძა 1990: 151].

ოქროს საყურე, ბეჭედი და გაურკვეველი დანიშნულების ნივთი ოკამიდან (დაწვრილებით იხ. უერნალის ამავე ნომერში ქ. რამიშვილისა და ზ. შატერაშვილის ნაშრომში გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები ოკამიდან).

რიტონი, ვერცხლის. 1976 წელს კავთისხევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ სოფ. ხოვლები, ადგილ ზესურებზე გათხარა გვიანანტიკური ხანის ოთხი სამარხი, რომელთაგან

ერთ-ერთი, № 1 კერამიკული ფილებით ნაგები მდიდრული სამარხი იყო. № 1 სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის რიტონი [ცკითშვილი დრ. 1979:117-130]. სამარხი II-III საუკუნეებით თარიღდება. მასალის ნაწილი საქართველოს ეროვნულ მუზეუმში ინახება, ხოლო ვერცხლის რიტონი კი კასპის მუნიციპალურ მუზეუმშია დაცული. ნივთი დამზადებულია ვერცხლის ერთი მთლიანი ფურცლისაგან, კედელზე ეტყობა ჩარხზე დამუშავების კვალი. პირი ძაბრისებურად გაფართოვებულია და გარეთავა გადმოკეცილი, კედლები ძირისაკენ რკალისებურად ვიწროვდება. შემორჩენილია რიტონის მხოლოდ ზედა ნაწილი. სიმაღლე - 15,5 სმ, პირის სიგანე - 13 სმ.

ლიტერატურა:

მიზანდარი მ. 1988: მიზანდარი მ., დიონისეს ქანდაკება ქართლის მინაზე, საბჭ. ხელოვნება, №8, გვ.111- 116; **სძა 1990** – საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერა, ტ. V;

რამიშვილი კ., შატბერაშვილი ზ., 2000: რამიშვილი კ., შატბერაშვილი ზ., Раннесреднековый Памятник из с. Оками, Археология и Этнография Кавказа, III, Баку, с. 99;

ცკითშვილი გ. ...1979: ცკითშვილი გ., გვეტაძე დ., ჩაკაიძე ჩ., ბერაძე ე., კვიაშვილი რ., რამიშვილი ა., ირემაშვილი შ., ცელიძე ლ., ნუცბიძე ა., ითი რაბითავის კავთისხევის აღმოჩენის შემორჩენილი კიდესთან კი ნერტილოვანი ორნამენტით. ჭურჭლის ცენტრთან დარჩენილი სივრცე შევსებულია ამოკვეთილი ხაზებით დატანილი თხების სქემატური გამოსახულებით, ჭურჭლის კიდესთან კი ნერტილოვანი ორნამენტით ყურძნის მტევნებია გამოსახული. შემორჩენილი სიმაღლე 4,7 სმ-ია, მაქსიმალური დიამეტრი - 18 სმ [სძა 1990: 151].

შატბერაშვილი ვ. 2013: Shatberashvili V., The Bronze Oinochoe from Metekhi, jur. *Iberia-Colchis*, # 9, pp 234-239.

ილუსტრაციები:

ტაბ I – 1,2. მოხატული ქვევრების ფარაგმენტები ციხიაგორადან; 3. ნითლად მოხატული ხელადასოფ. ახალციხიდან; 4. ჩაიდნისებურპირიანი დოქტორი თვალადიდან; 5. სელისაგან დამზადებული კონუსურძირიანი სასმისი საყარაულო სერიდან; 6. ნითლად მოხატული ხელადაკასპიდან; 7. მოხატული კოჭობი კასპიდან; 8. შავად გამომწვარი კონუსურძირიანი სასმისი კასპიდან.

ტაბ II – 1. ვერცხლის მოოქროვილი დისკო სასირეთიდან; 2. ვერცხლის კირკალი სასირეთიდან; 3. მსხლისებურტანიანი ხელადა სასირეთიდან; 4. გამოსახულება სასირეთის ხელადაზე.

ტაბ III – დიონისეს ქანდაკება კოდისწყაროდან.

ტაბ. IV – ბრინჯაოს აინოხოიანი ზემო ხანდაკიდან.


ტაბ V – 1,2. ბრინჯაოს ჭვირული ბალთა გოსტიბედან; 3,4. ვერცხლის თასი გოსტიბედან.

ტაბ VI – ვერცხლის რიტონი ხოვლედან.

I



1



2



3



4



5



6




7



8

II



4

III




IV



V



1



2




3



4



VI



ქეთევან რამიშვილი, ზებედე შატბერაშვილი †

გვიანანტიკური ხანის მდიდრული სამარხები სოფ. ოკამილან

სოფელი ოკამი მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, მდ. ქსნის მარჯვენა ნაპირზე, კასპიდან 15 კილომეტრში. სოფელში ადრერკინის ხანისა და შუა საუკუნეების ძეგლებია დაფიქსირებული: სოფლის დასავლეთით, თანამედროვე სასაფლაოსთან, ადრერკინის ხანის ნასახლარია, სადაც იკრიფება მოშავო-მონაცრისფროდ გამომწვარი თიხის ჭურჭლის ნატეხები; სოფელში კი წმინდა გიორგის სახელობის, გვიანი შუა საუკუნეების დარბაზული ეკლესია და XVIII-XIX სს-ის ღვთისმშობლის სახელობის დარბაზული ეკლესია [სძა 1990: 183].

1974 წელს ოკამის სამხრეთ-დასავლეთ ნანილში შემთხვევით აღმოჩნდა ქვის სამარხი, რომლის ინვენტარის უმეტესი ნანილი დაიკარგა, გადარჩენილი ნანილი კი კასპის მხარეთმცოდნეობით მუზეუმში ინახება.

შემთხვევითი აღმოჩენის ადგილზე გაემგზავრა კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმი (ზ. შატბერაშვილი, ა. ნუცუბიძე, ქ. რამიშვილი), რომელმაც აზომა და დააფიქსირა ზემოთ ნახსენები, დაზიანებული სამარხი და მისგან სამხრეთით, 0,6 მ-ში გავლებულ სადაზვერვო თხრილში აღმოჩინა სამი ფილით გადახურული სამარხი.

შემთხვევით აღმოჩენილი ქვის სამარხი (სამარხი № 1) შედგენილია ქვიშაქვის კარგად გათლილი ფილებისაგან (ზომები - 2,1 X 0,75 მ, ფილის სისქე 0,2მ). სამარხში ინვა გულამა, თავით დასავლეთისაკენ დამხრობილი ერთი მიცვალებული.

ინვენტარი:

1. ბეჭედი (სურ. 7), დამზადებულია ფურცლოვანი ოქროსაგან, ე.ნ. არმაზული, მხრებდაშვებული ბეჭდების ტიპისა. ბეჭდის ბუდე მომაღლო, კოლოფისებური მოყვანილობისა; პირის ქვემოთ, გარედან წვრილი სალტე შემოუყვება. ბუდის ძირი ცალკე მირჩილული ფირფიტისაგანაა დამზადებული. ბეჭდის რკალი თხელი, შიგნიდან დაბრტყელებული მავთულია, რომელიც მხრებისაკენ განზიდულია და მცირედ ფართოვდება. დაქანებული მხრები მცირე წახნაგითაა გამოყოფილი. ბუდის პირი მრგვალია; თვალი ბუდიდან ამოვარდნილია. ზომები: სიმაღლე - 24 მმ, რკალის დმ - 23 მმ, პირის დმ - 17 მმ.

დაცულობა – ბეჭედი აქა-იქ უმნიშვნელოდაა ჩაჭყლეტილი, თვალი დაკარგულია და ბუდე უფერო პასტითაა ამოვსებული;

2. საყურე, ოქროსი (სურ. 6), რგოლოვან-ლეროვანი ფორმისა. საყურის რგოლი წარმოადგენს ცალ მხარეს გახსნილ წვრილ იქროს მავთულს, რომელზედაც ქვემოდან მირჩილულია მოზრდილი ყუნწი, მასზე წამოცმული ყულფიანი ლერაკი-საკიდი. ლერაკზე ქვემოდან ზემოთ შემდეგი ნივთებია ასემული: ოქროს ნევილი ვარდული, ლურჯი მინის ე.ნ. როდინისებური მძივი, შემდეგ ისევ წყვილი ვარდული და ბოლოს მარგალიტის მომსხო მძივი. ლერაკის ბოლო დაბრტყელებულია, რაც ზედ ასხმულ ნივთებს ადგილზე აჩერებს. ზომები: საყურის სიგრძე - 40 მმ, რგოლის დმ. - 21 მმ., საკიდის სიგრძე - 19 მმ. მინა ირიზებულია, მარგალიტი გამოფიტული;

3. გაურკვეველი დანიშნულების ნივთი (ან მისი ნანილი) (სურ. 8), დამზადებულია მთლიანი ფურცლოვანი ოქროსაგან. იგი წარმოადგენს მთლიან მილს, რომელიც შუაშია შევიწროვებული და წელზე ოდნავ შემაღლებული სატყელი აქვს. სარტყელი ხუთადაა დატიხრული და თითო გამოყოფილ ნანილში ძონის მართულთა თვალი აქვს ჩასმული. ნივთის სიგრძე - 15 მმ., სიგანე - 12 მმ. ნივთი მთელია, ოღონდ ლითონი აქა-იქ ოდნავ ჩაჭყლეტილია.

მეორე სამარხი, რომელიც კავთისხევის არქეოლოგიური ექსპედიციის რაზმა გათხარა, სამი, განივად გადებული ქვიშაქვის ფილით იყო გადახურული, რომელთაგან შუა ფილა ჩატეხილი იყო, რის გამოც სამარხი მცირედ დაზიანებული გამოდგა. სამარხი წარმოადგენდა რიყის ქვებით ნაგებ აკლდამას, რომლის კედლები ქვიტკირით იყო შელესილი, ასევე ქვით ნაგები და შელესილი იყო აკლდამის იატაკიც. (ზომები: აკლდამის სიგრძე - 2,3 მ., სიგანე - 2,35 მ., სიმაღლე - 0,9 მ., კედლების სისქე - 0,3 მ.).

სამარხში დაკრძალული იყო გულაღმა მწოდიარე და თავით დასავლეთით დამხრობილი 2 მიცვალებული – მამაკაცი და ქალი. მარცხნივ მოთავსებული მიცვალებულის გულმკერდის არეში აღმოჩნდა ოქროს გულ-

საკიდი და ოქროსავე მონეტა, მარჯვენა მიცვალებულის კი (უფრო მომცრო ტანისას და კბილების მდგომარეობის მიხედვით უფრო ახალგაზრდას – ქალს) ორივე ხელში თითო მცირე სანელსაცხებლე ეჭირა, თავის არეში კი ორ-ორი წყვილი ოქროს საყურე აღმოაჩნდა (მასალა საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული).

ინვენტარი:

1. გულსაკიდი, ოქროსი (სურ. 2). შედება ორი ძირითადი ნაწილისაგან: ოქროს ძენკვისა და ოქროსავე საკიდით შემკული მედალიონისაგან. მედალიონი ნარმოადგენს ფურცლოვანი ოქროსაგან დამზადებულ ოვალურ, ბრტყელ კოლოფს, რომლის ძირი იდნავ ამობურცულია. ძირისა და ზედა ნაწილის შეერთების ადგილას მედალიონს კიდეზე შემოუყვება დაკეჭნილი მავთული, რომელიც გავარსის იმიტაციას ქმნის. დანაყოფები ამ მავთულზე თანაბარი არ არის: ორი მოკლეა, შემდეგ ერთი უფრო მოგრძოა და ისევ ორი მოკლე, შემდეგ მოგრძო და ა.შ. ეს ხერხი მოჩარჩოებას უფრო ლამაზ და მდიდრულ იქნა აძლევს. მედალიონის ზედაპირი დაყოფილია ოთხი თხელი ტიხრით, რომლებიც მედალიონის გარე ნაწილს ყოფენ ოთხ, რკალისებური მოყვანილობის მოგრძო ბუდეებად. ამ ბუდეებში ზის ლურჯი ფერის მინის თვლები, ლაჟვარდის იმიტაცია. ორი მათგანი ადგილზეა, ორი კი ამოვარდნილია. ამგვარი არშიის შიგნით მედალიონის ზედაპირზე არის ოქროს განიერი, სადა სალტე, რომელიც გარს აკრავს ცენტრში ჩასმულ, დიდი ზომის გრანატის (პიროპის) თვალს. ქვა ოვალური მოყვანილობისაა, ზედაპირამობურცული და ზედმიწევნით გაპრიალებული. მის ელვარებას აძლიერებს ძირზე დაფენილი ოქროს ფირფიტა. მედალიონს ზემოთ მირჩილული აქვს მოზრდილი, სამ ნაწილად დაღარული ყუნი, რომელშიც ოქროსავე, გრძელი ძენკვია გაყრილი. ძენკვი მოძრავად კი არ არის გაყრილი, არამედ პატარა მავულით მყარადაა დაბმული ყუნწან. ყუნწი შედგება რვიანისებურად ერთმანეთზე მირჩილული პატარა რგოლებისაგან, რომლებიც ერთმანეთშია გაყრილი. მედალიონის ძირზე დარჩილულია მცირე ყუნწი, რომელზეც ყულფით კიდია მცირე საკიდი: ოქროს ღერძზე ნამოცმული ოქროს რგოლისებური მძივები და მათ შორის ისეთივე ფორმის, ოდნავ უფრო მაღალი, ლურჯი მინის მძივი და ქვემოთ მოზრდილი მარგალიტის მძივი. ზომები: მედალიონის სიგრძე – 30

მმ.; სიგანე 24 მმ.; ქვის პირის სიგრძე – 20 მმ.; სიგანე — 15 მმ.; საკიდის სიგრძე – 19 მმ; ძენკვის სიგრძე – 50 სმ. მედალიონის ზედაპირი დაჭყლეტილია, ორი მინის თვალი ამოვარდნილი და დაკარგულია;

2. მონეტა, ოქროსი, დიოკლეტიანეს აურეუსი. შუბლზე გამოსახულია იმპერატორის ბიუსტი, პროფილში მარჯვნივ, თავზე დაფნის გვირგვინით. გარს აკრავს ლათინური წარწერა DIOCLETIANUS AUG. ზურგზე გამოხატულია ფეხზე მდგომი, ჰიმატიონმოსხმული იუპიტერი, მარჯვენა ხელში ელვა უჭირავს, მარცხენაში კი კვერთხი. მის ფერხთით კი ნახევრად ფრთხებგაშლილი არწივია.

3. ოქროს წყვილი საყურე (სურ.4), რგოლოვან-ღეროვანი ტიპისა. რგოლი წარმოადგენს ოქროს მომსხო მავთულს, ცალმხარეს გახსნილს, რომლის ქვედა ნაწილში ყუნწია მირჩილული, რომელზეც წამოცმულია საკიდი – ღერაკი. ღერაკზე ასხმულია ოქროს ორი რგოლისებური მძივი და ბოლოს მსხვილი, ზემოთკენ იდნავ წაგრძელებული მარგალიტის მძივი. ღერაკს ქვემოთ სამაგრი აქვს. ზომები: წყვილის ერთი საყურის სიგრძე -34 მმ; რგოლის დმ-10 მმ; ღერაკის სიგრძე 20 მმ; მარგალიტის მძივის სიგრძე 10 მმ. მეორე საყურე ანალოგიური ფორმისაა, მხოლოდ ოდნავ უფრო გრძელია და მისი რგოლი უფრო მსხვილი მავთულისაგანაა დამზადებული, მარგალიტი კი უფრო წვრილი და მოგრძოა. საყურის სიგრძე -38 მმ; მარგალიტის მძივის სიგრძე 12 მმ.;

4. ოქროს წყვილი საყურე (სურ. 5), №3-ის ანალოგიური ფორმისა, ოღონდ უფრო მომცრო. აქ ღერაკზე ოქროს მძივებს შორის მწვანე მინის ამავე ფორმის მძივია, მარგალიტის მძივის ფორმაც განსხვავებულია – იგი ორნანილედია: ზედა, პატარა მარგალიტი მჭიდროდ ზის ქვედა, უფრო დიდი ზომისაზე, რაც მძივს მთლიანად მსხლისებურ ფორმას აძლევს. ორივე საყურის სიგრძე -30 მმ.;

5. სანელსაცხებლე (სურ. 1), ბატი მომწვანო ფერის მინისა. მინა დაბალხარისხოვანია, სქელკედლიანი. მას აქვს მოგრძო ტანი, გამოყვანილი ყელი, სქელი და გადაშლილი პირი, ოდნავ შედრეკილი ძირი. ცალმხარეს, ყელსა დამუცელს შორის მცირე სახელური აქვს მიღულებული. ზომები: სიმაღლე 55მმ; სიგანე მუცლის არეში – 20 მმ; პირის დმ. - 18 მმ;

6. სანელსაცხებლე, (სურ. 3). მოყვითალო ფერის, მინისა. მინა დაბალხარისხო-

ვანია, სქელკედლიანი, ფენაში შეინიშნება ბუშტუკები. სანელსაცხებლე წაგრძელებული ფორმისაა, ძირი მომრგვალებული აქვს. ყელის არე ოდნავ ვიწროა და პირდაპირ გადადის ოდნავ გადაშლილ, სქელ პირში, რომლის კიდეები შიგნითაა ჩაკეცილი. ჭურჭლის ძირზე შეინიშნება შიგ ჩარჩენილი სუნამოს დანალექი. ყელი ამოვსებული იყო მკვრივი, თიხოვანი მასით. სანელსაცხებლეს გახსნის შემდეგ მკვეთრი, არომატული სუნი ამოვარდა. ზომები: სიმაღლე 52მმ; სიგანე მუცლის არეში – 19 მმ; პირის დმ - 15 მმ.

ჩვენს მიერ აღნერილ მასალას მრავალი ანალოგია მოეპოვება არმაზისხევის, სამთავროს, ურბნისის, თბილისის მიდამოებსა და საქართველოს სხვა თანადროულ სამარხებში. სამარხებში დაკრძალვის ასეთი წესი და სამარხთა ფორმებიც III-IV საუკუნეების საქართველოში ფართოდაა გავრცელებული.

თარიღის განსაზღვრისას, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია №2 სამარხში აღმოჩენილი, იმპერატორ დიოკლეტიანეს (მმართვლეობის წლები - 286-305) აურეუსი, რომელიც გვაძლევს *Terminus Post Quem*-ს – IV საუკუნის დასაწყისს.

ჩვენს მიერ აღნერილ თითოეულ საგანს მრავალი ანალოგია ეძებნება როგორც ფორმების, ისე სტილისა, ტექნიკური ხერხებისა და ბოლოს, გემოვნების ერთიანობის თვალსაზრისით. ეს მასალა კიდევ ერთხელ გვაჩვენებს ადგილობრივი ოქრომჭედლური ხელოვნების მყარ, გამოკვეთილ სახეს და მის ფართო გავრცელებას ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე.

ქვემოთ მოკლედ დავასახელებთ ყველაზე ახლო ანალოგიებს სხვა პუნქტებიდან:

№1 სამარხიდან მომდინარე რგოლოვან-ღეროვანი საყურის მსგავსია არმაზისხევის №№ 40, 42, 43 ქვასამარხებში აღმოჩენილი ვარდულებით, როდინისებური მძივითა და მარგალიტით შემკული საყურები [აფაქიძე ა., და სხვ. 1955: ტაბ. 13]. ურბნისის № 10 სამარხის საყურები უფრო რთული ფორმისაა, მაგრამ ძირითადი ელემენტები მეორდება [ჭილაშვილი 1964 : 67, სურ 34].

ოკამის მეორე სამარხის წყვილი საყურე ემსგავსება არმაზისხევის №№ 12, 13 და 41 სამარხების საყურებს [აფაქიძე ა., და სხვ. 1955: 104-106].

№1 სამარხის მხრებდაშვებული, ფურცლოვანი ოქროსაგან დამზადებულ ბეჭედს

ანალოგები ეძებნება არმაზისხევის № 42 სამარხში (ტრიტონის გამოსახულებიანი ბეჭედი) [აფაქიძე ა., და სხვ. 1955: 104 ტაბ XIV] და სამთავროს № 17 ქვასამარხში (სასანურ გემიანი ბეჭედი [Максимова М. 1963 № 67]. ამავე სამარხში აღმოჩენილი, ფურცლოვანი ოქროსაგან დამზადებული და პირობის თვლებით შემკული, გაურკვეველი დანიშნულების ნივთი საერთო იერით, ტექნიკითა და გრანატის თხელი ფირფიტებით მორთვის წესით ძალზე ახლოს დგას არმაზისხევის ოქროს ნივთებთან, რომლების ასეთივე ქვებითაა შემკული.

№2 სამარხში აღმოჩენილი სანელსაცხებლებს ანალოგიები ეძებნება სამთავროსა და ურბნისის IV საუკუნის მასალებში. კერძოდ, ნ. უგრელიძის მიერ XIII ტიპის II ქვეტიპში მოქცეული გვერდებშებრტყელებული და ბრტყელძირიანი ჭურჭელი [უგრელიძე 1967: 33, სურ. 15]. XI ტიპის ორი სანელსაცხებლე და XII ტიპი (ტანმომრგვალებული, მცირედ პირგადაშლილი, პირის კიდე შიგნით ჩაკეცილი) [უგრელიძე 1967: 32, სურ. 13], რომლებიც ნ. უგრელიძის მიერ IV-V საუკუნეების ჯგუფშია გაერთიანებული.

ანალოგიურია აგრეთვე ურბნისის IV საუკუნის № 48 სამარხის გვერდებშედრეკილი ჭურჭელი [ჭილაშვილი 1964 : 71]. ოკამის სანელსაცხებლები დასახელებულ ანალოგიებს უახლოვდება მინის ხარისხით (მდარეხარისხოვანი, სქელკედლიანი მინა), ფერით, (ბაცი მწვანე, მოყვითალო), ფორმებითა და ზომებითაც კი, მაგრამ ამ მასალიდან მათ სახელურის არსებობა ანსხვავებს, რაც, მათ თითქოს უფრო არქაულ იერს ანიჭებს. შესაძლოა, აქ ანტიკურ ხანაში ფართოდ გავცელებულ ამ ნიშნის გვიანდელ გამოძახითან გვაქვს საქმე.

ოკამში აღმოჩენილ ნივთთაგან განსაკუთრებით საინტერესოა №2 სამარხში მოპოვებული გულსაკიდი. მსგავსი ფორმის გულსაკიდები, კერძოდ მედალიონები, მცხეთაში ადრეც იყო აღმოჩენილი, კერძოდ არმაზისხევის № 2 სამარხში, სადაც მედალიონი სარდონიქსის კამეით იყო შემკული და მასზე ძალლი იყო გამოხატული [აფაქიძე ა., და სხვ. 1955: 190]. მედალიონი ოკამის ცალის მსგავსი ფორმისაა და მსგავსი ტექნიკითაა დამზადებული: ცენტრალური ბუდის ირგვლივ აქაც დატიხრული არეა, მხოლოდ ფოსოები გრანატის თხელი ფირფიტებითაა ამოვსებული (და არა ლურჯი მინით). არმაზისხევის მედალიონს ოკამის ეგზემპლარი-

საგან განსხავებით ძირზე სამი საკიდი ამკობს და თითოეული ოკამის ცალის მგავსად მარგალიტის მძივით ბოლოვდება. ალსანიშნავია, რომ არმაზისხევის №2 სამარხში აღმოჩენილი ეს მარგალიტის მძივები პირველი შემთხვევაა არმაზისხევის სამარხებში მარგალიტის მძივების აღმოჩენისა, აქედან მოყოლებული კი III-IV საუკუნეებში ამ თვლით მორთვა ფართოდ ვრცელდება.

ოკამის მედალიონთან ფორმით, დამზადების ტექნიკითა და ყუნწის მოყვანილობით (ყუნწი სამივე შემთხვევაში წარმოადგენს ზემოდან სამ რიგად, რელიეფურად დაღარულ, მედალიონზე განივად დარჩილულ მილაკს.) კიდევ უფრო ახლოს დგას სამთავროს სამაროვანის № 4, გაძარცვულ ქვის სამარხში აღმოჩენილი მედალიონი. ამ მედალიონზე ოკამის ეგზემპლარის მსგავსად გავარსის იმიტაციაა, ტიხრებს შორის ფოსოებში აქაც უფერო პასტის ნაშთია შემორჩენილი, ხოლო ზემოდან დაფენილი ქვა არ შემოინახა. უნდა ვიფიქროთ, რომ აქაც გრანატის, ან ლურჯი მინის ფირფიტები იყო დაფენილი. ასეთი მსგავსება გვაფიქრებინებს, რომ ეს ნივთები თანადროულია და ერთი და იგივე სტილის, შესაძლოა ერთი სახელოსნოს ნანარმსაც წარმოადგენს. დასაშვებია, რომ ისინი ადგილობრივი ოქრომჭედლური ხელოვნების ნიმუშებია.

საინტერესოა, რომ სამთავროს ზემოთნახენებ მედალიონში, ცენტრალურ ბუდეში მოთავსებულია არა სადა გრანატის თვალი, არამედ მამაკაცის ბიუსტის გამოსახულებიანი გემა. ეს გემა და მისი მოჩარჩოებაც (ე.ი. მედალიონი) გამოცემულია მ. მაქსიმოვას მიერ [Максимова., 1950:271, კატ. № 82]. ავტორი მას პართულ ხანას მიაკუთვნებს და აღნიშნავს, რომ პორტრეტი სტილისტურად განსხვავდება სასანური ხანის პორტრეტებისაგან, ხოლო მედალიონს პართული ხანის სამკაულში ექვენება ანალოგები.

რაც შეეხება არმაზისხევის კამეით შემკულ მედალიონს, იგი მ. ლორთქიფანიძის მიერაა გამოცემული და გვიან რომაული ხანით, კერძოდ კი II საუკუნის ბოლოთი და III საუკუნის დასაწყისით იყო დათარიღებული [ლორთქიფანიძე 1955; აფაქიძე ა., და სხვ. 1955: 46].

როდესაც ჩვენ სამთავროს სამაროვნის ირანული წარმოშობის გლიპტიკური ძეგლები შევისწავლეთ, ანალოგიებზე დაყრდნობით, №4 სამარხის პორტრეტიანი გემა სასანურ ხანას მივაკუთვნეთ [რამიშვილი

ქ. 1969: 24-25] და იგი არაუადრეს IV საუკუნის პირველი ნახევრით დავათარიღეთ. სტილისტურად იგი მართლაც განსხვავდება ოფიციალური სასანური პორტრეტებისაგან – მასში არ არის ის პარადულობა, იგრძნობა გვიანრომაული სტილის ერთგვარი გავლენა თმის ვარცხნილობასა და სახის ნაკვთებში, მაგრამ ეს ნიშნები სწორედ ადრე სასანური ხელოვნებისათვისაა დამახასიათებელი [Борисов, Лукошин 1963:12-20]. ოკამის №2 სამარხის აღმოჩენამ (კომპლექსი დიოკლეტიანეს აურეუსს შეიცავს, რომელიც საქართველოში სულ სამი ცალია მოპოვებული: მათგან ორი ეგზემპლარი, ოკამისა [Рамишвили, Шатберашвили 2000] და ერწოსი [რამიშვილი 1979: 48], ორიგინალია ერთი კი, ახალგორისა, მოგვიანო იმიტაციაა [Javakhishvili, Sherozia 2010:168]), რომელშიაც სამთავროს მედალიონის მსგავსი მედალიონი აღმოჩენდა, განამტკიცა ჩვენი მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამთავროს გემაც და ოკამის მედალიონიც თანადროულია, ხოლო არმაზისხევის ძაღლის გამოსახულებიანი კამეით შემკული მედალიონიც დაახლოებით ამავე ხანას — III საუკუნის მიწურულსა და IV საუკუნის დასაწყისს შეიძლება მივაკუთვნოთ.

ამ მასალამ კიდევ ერთხელ დაგვანახა გვიანრომაული და ადრეშუასაუკუნეების ხანის ქართლის ოქრომჭედლური ხელოვნების განვითარების მაღალი დონე; ასევე სტილისა და გემოვნების საკმაოდ მყარი, ერთიანი სახე, რაც ვლინდება ისეთი რთული ტექნიკური ხერხების გამოყენებაში, როგორცაა თხელი, ფურცლოვანი ოქროსაგან ნივთების დამზადება, გავარსისა და გავარსის იმიტაციის ფართოდ გამოყენება და ბოლოს, ზედაპირის პოლიქრომული მორთვა; ფერისა და მასალის გემოვნებით შეხამება (მაგ. მუქი ყვითელი ოქროს ფონზე გრანატის (მუქი წითელი), მუქი ლურჯი ან მწვანე მინის თვლებისა და მარგალიტის გამოყენება.

ალსანიშნავია, რომ ზოგადი ნიშნით ამ პერიოდის ქართული ოქრომჭედლობა სავსებით თავსდება ე.ნ. რომანიზებული აღმოსავლეთის ძეგლთა წრეში. III საუკუნის მიწურულიდან სრულიად ქრება ოქროს ზედაპირის გრავირება და იწყება ცარიელი არეების ფერადი თვლებით შევსება (პოლიქრომული მორთულობა), რამაც მოგვიანებით, ადრებიზანტიურ და მახლობელ აღმოსავლურ ხელოვნებაში ოქროს ზედაპირის ცარიელ სივრცეზე კაბუშონებით, ძვირფა-

სი თვლებით, მარგალიტითა და სკარაბეებით შექობა დაამკვიდრა [Coche de La Ferte, 1956:86-93].

როგორც აღვნიშნეთ, III-IV საუკუნეების ქართულ ოქრომჭედლობაში ნათლად აისახა რომაული სამყაროსა და რომანიზებული აღმოსავლეთის ძეგლებისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი, თუმცა მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნის თავისებურებები, ასევე აღმოჩენილი მასალის სიმრავლე და ერთგვაროვნება საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს მასალა ადგილობრივი სახელოსნოების ნაწარმს წარმოადგენს.

ლიტერატურა:

აფაქიძე ან., და სხვ. 1955: აფაქიძე ან., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა, არქეოლოგიური კვლევა-ძების შედეგები, ტ. I., თბ.

ლორთქიფანიძე მარგ., 1955 : ლორთქიფანიძე მარგ., საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები (არმაზისხევსა და ბაგინეთზე აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლები) II, თბ.

რამიშვილი ქ. 1969: რამიშვილი ქ., სასანური გემები საქართველოში, თბ.

რამიშვილი რ., 1979: რამიშვილი რ., ერწოს ველი

გვიანარმაზულ ხანაში, თბ.

სძა 1990: საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა, ტ. 5, თბ.

უგრელიძე ნ., 1967: უგრელიძე ნ., ადრეულ შუა საუკუნეთა ქართლში მინის ნარმოების ისტორიისათვის, თბ.

ჭილაშვილი ლ., 1964: ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, თბ.

Борисов А.Я. , Луконин В. Г. 1963: Борисов А.Я. , Луконин В. Г. Сасанидские геммы.

Максимова М. 1950 - Максимова М. Геммы из некрополя Мцхета – Самтавро, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე XVI B, TBb., გვ. 221-274.

Рамишвили К., Шатберашивили З., 2000: Рамишвили К., Шатберашивили З., Раннесредневековый Памятник из села Оками, Археология и Этнография Кавказа, III, Баку,2000, с. 99.

Et. Coche de La Ferte 1956 - Et. Coche de La Ferte, Les Bijoux Antique, Paris.

Javakhishvili K, Sherozia M. 2010 - Ketevan Javakhishvili, Medea Sherozia. New discovery in Akhalgori village, უკურ. იბერია-კოლხეთი № 6, გვ. 167-169.

ილუსტრაცია:

1-5. ოკამის №2 სამარხის ინვენტარი; 6-8. ოკამის № 1 სამარხის ინვენტარი.



ნუცა ყიფიანი

დიონისურ სიუჟეტიანი ნითელფიგურული კრატერი

კრატერი — კრატერიზა — შერევა, გაზავება, და მართლაც, ღვინისა და წყლის ერთმანეთში გასაზავებელი ჭურჭლის ამ მიმზიდველმა და მრავალნაირმა ფორმამ საუკუნეების მანძილზე არაერთი ცვლილება განიცადა. დახვენილ ფორმასთან ერთად მათი მოყვანილობის მიხედვით შერქმეული სახელწოდებებიც იპყრობს ყურადღებას, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად ნახატზე, და ნახატის მნიშვნელობაზე, რომელიც მათზეა გამოსახული. თუმც ნახატმაც საუკუნეების მანძილზე განიცადა ცვლილებები და დაკარგა პირვანდელი ეფექტი და გახდა ნაკლებ მიმზიდველი, დაკარგა სინატიფე და რაღაც გარევეული პერიოდის (ძვ.წ. IV ს-ის მეორე ნახევრის) ვაზათმხატვრობამ მკვლევართა ინტერესიც კი შეასუსტა. და ეს შესუსტება გამოწვეულია მოხატული კერამიკული ჭურჭლის მასობრივი ნარმოებით, ნახატის დეგრადირებით და დაუდევრად გამოყვანილი ფიგურებით.

წითელფიგურული პელიკის შესწავლის შემდეგ [იხ. ყიფიანი ნ. 2016:120], რომელიც ძვ.წ. 350 წლით დავათარილე და მის მასობრივ ხასიათსა და დაკინიხებულ ნახატზე ვიმსჯელე, წილად მხვდა ხელოვნების მუზეუმის საცავში (საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ხელოვნების მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდი) შევჭიდებოდი წითელფიგურულ კრატერს, რომლის A მხარე მომხიბლავად გამოყურება - სამი ფიგურა დინამიკაში, ხოლო B მხარის ნახატი გვახსენებს რობერტ კუკის მიერ აღწერილ ამ პერიოდის ვაზებს: კრატერის უკანა მხარე, რომელზეც გამოსახულია გარდაუვალი სამი, ან მოგვიანებით ორი შემოსილი ახალგაზრდა და ყოველთვის ყოველი მომდევნო ჭაბუკი კიდევ უფრო დაუდევრადა გამოყვანილი, ვიდრე წინა ვაზის ნახატი... ვგონებ მეც სწორედ ასეთ შემთხვევასთან მაქვს საქმე, ოღონდ გასარკვევია, ჩემს მიერ შესწავლილი რომელი ვაზის ნახატია უფრო გვიანდელი.

ამ პერიოდის ვაზების წინა მხარე ეთმობა, როგორც წესი, ვაზათმხატვრობის წამყვან მხატვრულ სახეებს - დიონისესა და აფორ-დიტეს სიუჟეტებთან დაკავშირებულ სცენებს [Cook 1972:185. Boardman 2001:193] და რა გასაკვირი იქნება, ჩვენი ვაზის გვერდზე რომ დიონისეს სცენა ამოვიკითხოთ, რადგან სამფიგურიანი კომპოზიციიდან ადვილი ამოსაცნობია დიონისეს თანმხლები პირები: მარცხნიდან პირველი ფიგურა პანის არის,

რაზეც მისი კუდი მეტყველებს. მას მარჯვენა ხელში მრგვალი ფორმის საგანი უჭირავს, რაც სავარაუდოდ ტიმპანონი (მუსიკალური საკრავი) უნდა იყოს. ცენტრალური ფიგურა, რომელიც თეთრ ფერშია გამოყვანილი, ხშირად გვხვდება დიონისურ სცენებში. მარჯვენა ფიგურა კი, სავარაუდოდ, მენადაა, ხელში დიონისესა და მისი თანმხლები პირების ატრიბუტით, თირსოსით - სუროსა და ყურძნის ფორმებით შემკული გრძელი ჯოხით - არის გამოსახული.

მისი სამოსი გამოიყურება ისე, როგორც ამ პერიოდის ვაზათმხატვრობაში მოსავთ ქალებს, მენადებს, უფრო მეტად არიადნას [Alexandrescu 1978: ტაბ. 53:452]. კაბის ზედა ნაწილი ჭრელია, ქვედა ნაწილი კი შედარებით სადაა. აღსანიშნავია ზედნადები თეთრი სალებავით გამოყვანილი ქალის სამკაული: მარჯვენა ხელზე სამაჯური ორი რგოლის სახითაა გამოსახული. მსგავსი, ორ რგოლად გამოყვანილი სამაჯურები ხშირად გვხვდება ბერძნულ ვაზათმხატვრობაში და ის უნდა იყოს ამ პერიოდში ბერძნულ სამყაროში საკმაოდ პოპულარული სამაჯურის ტიპი, რომელიც სპირალურად ეხვევა ხელს და მხოლოდ მაჯის ცალ მხარეს ქმნის ორ რკალს. ასეთი სპირალისებური სამაჯურები ძვ.წ. IV საუკუნის ბოლო მესამედით თარიღდება [Kalashnik 2014:194].

მარცხენა ხელის სამაჯური ასევე თეთრი ზედნადები სალებავითაა გამოყვანილი, ოღონდ ერთ რკალად. ყურის და თავის არეშიც შეიმჩნევა თეთრი ზედნადები სალებავი, და აქაც აქსესუარის გამოსასახატავად. ხოლო შუა ცენტრალური ფიგურა, ფრთო-სანი ეროტი, მთლიანად თეთრი ზედნადები სალებავითაა გამოყვანილი. მხოლოდ მისი ფრთები და თმებია თიხის ფერში დატოვებული. ის პროფილით მარჯვნივ, არიადნასკენაა მიმართული, მარჯვენა ხელიც მისკენ აქვს განვდილი, ხოლო მარცხენაში მასაც ტიმპანი უჭირავს, ეს დაირისებური დასარტყამი ინსტრუმენტი, რომელიც ხის ან მეტალის სალტეზე ორივე მხრიდან გადაკრულ ცხოველის ტყავისგანაა დამზადებული. ეს საკრავი ძალიან პოპულარულია დიონისეს კულტში. ის ატიკურ ვაზებზე ძვ.წ. V ს-ის ბოლო მეოთხედიდან ჩნდება.

მარცხენა ფიგურა, როგორც უკვე ვთქვით, პანის არის, მას თავზე თეთრი ზედნადები საღებავი აქვს დატანილი. საერთო ჯამში, ეს სამფიგურიანი კომპოზიცია საკმაოდ დაუ-

დევრად არის გამოყვანილი: პანის მარცხენა ხელი, ერთის ფრთები, არიადნას მარცხენა ფეხი (კაბის ქვეშ გამოყოფილი) – ყველაფერი ეს მეტყველებს გაკრულ და დაუხვენავ ხელზე.

რაც შეეხება B მხარეს, რა თქმა უნდა, საქმე გვაქვს ისევ პალესტრას თემატიკასთან, რომელიც დაყვანილია ორფიგურიან კომპოზიციამდე: ერთმანეთის პირისპირ მდგომი, ქიმატიონში გახვეული ფიგურები, ერთნეთისაკენ ხელებგანვდილი. მათ შორის თითქოს რაღაც სვეტია აღმართული. ორივე მათგანს ახასიათებს ლოყაზე შავი ლაქა, თითქოს დაუდევრობით გამოყვანილი პირის კვალი. ასეთი ლაქა ჯგუფს ახასიათებს.

„სვეტი“ მეტად დაუდევრადა გამოყვანილი, იმდენად, რომ განსაზღვრაც კი ძელია, რატომ შეიძლება მას „სვეტი“, ვუწოდოთ. ცოტა უფრო ადრეული პერიოდის პალესტრის თემატიკიან ვაზებზე, სადაც გარკვევით არის წარმოდგენილი დეტალები, ნახატში გვხვდება სვეტი. ასე მაგალითად, ბოლონიაში, ბატისტინის სამაროვანზე, 4 სამარხში წითელფიგურულ კრატერზე (ზარისებურზე), რომლის A მხარეზე სიმპოზიუმია გამოსახული, B მხარეზე ცნობილი სამფიგურიანი პალესტრას თემაა. აქ აღსანიშნავია არქიტექტურული დეტალი - დორიული სვეტის სახით (ეს ვაზა ძვ.წ. 440-430 წწ - ით თარიღდება) [Rouillard, Verbanck-Piérard 2003:344].

ასე რომ, ჩვენი ვაზის მხარის ორ ფიგურას შორის შვერილი თავისუფლად შეიძლება სვეტად ჩაითვალოს, და მისი გამოუკვეთაობა ნახატის დეგრადირების შედეგი უნდა იყოს.

მოგვიანო პერიოდის კილიკების შიდა ზედაპირზე ხშირად გვხვდება სვეტის უკვე დამცირებული მოდელი - „დეგრადირებული სვეტი“ [Bonet 2003:347].

რაც შეეხება ჭურჭლის ფორმას, ის კალიქსისებურია (ყვავილის გვირგვინისებური), კრატერის ეს ფორმა ჯერ კიდევ შავფიგურული ტექნიკის დროს წარმოიშვა ატიკურ კერამიკაში ძვ.წ. VI საუკუნეში და მის წარმოშობას დიდი ვაზათმხატვრის, ექსეკესიასის სახელს მიაწერენ. თუმც კრატერის ამ ფორმამ გაძლიერდა წითელფიგურული ტექნიკის დასასრულამდე [Sparkes, Tallcot 1970:54-63].

პარალელური მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნახატი და ფორმა გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ეს ვაზა ძვ.წ. IV საუკუნის 40-იანი წლებით დავათარილოთ.

ლიტერატურა:

Alexandrescu P. 1978: La céramique d'époque archaïque et classique (VII - IVs.). Histria IV. Bucureşti.

Boardman J. 2001: Athenian Red-Figure Vases. The Classical Period.

Cook R. 1972: Greek Painted Pottery. Second edition. London.

Kalashnik Y. 2014: Greek Gold in the Hermitage Collection. St. Petersburg

Rouillard P., Verbanck-Piérard A. 2003: Le vase grec et ses destins. München.

Sparkes A. Tallcot L. 1970: The Athenian Agora. Black and plain pottery. Volume XII. Part 1. New-Jersey.

ყიფიანი ნ. 2016: არიმასპი ჰელიკაზე. უურ. იბერია-კოლხეთი, №12, გვ. 120-123.

ილუსტრაციების აღნერა:

ტაბულა I: სურ. 1. ხელოვნიბის მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდში დაცული წითელფიგურული კრატერის A გვერდი. **სურ. 2.** ხელოვნიბის მუზეუმის დასავლეთ ევროპის ფონდში დაცული წითელფიგურული კრატერის B გვერდი.



1



2

ქვეყნის გუნის თრენის ნამოსახლარის

2004 წლის საველე სეზონის დროს თრენის ბიუროში ნამოსახლარის ერთ-ერთი სა-თავსოს ნანგრევებში, უფრო ზუსტად ამ სა-თავსოში მისი ნგრევის დროს ჩავარდნილ ფენაში, აღმოჩნდა მახვილისა თუ სატევრის ქარქაშის ძვლის ბუნიკი, რომლის ორივე გვერდზე ე.ნ. სკვითური ცხოველსახოვანი სტილით შესრულებული ცხოველების ფიგურებია გამოსახული.

ბუნიკი ძვლის მთლიანი ნაჭრისგანაა გა-მოთლილი და აქვს მეტად უჩვეული მოყვა-ნილობა, რომელიც ორი ფორმის კომპინი-რების შედეგად არის მიღებული: ბრტყელ, წაგრძელებულ ნახევარელიფსურ ფორმას ასიმეტრიულად ებმის ნახევარნრიული მო-ხაზულობის დაბოლოება. ნივთი შიგნიდან ქარქაშის წვერის ფორმის შესაბამისად არის ამოლარული, ზედა ნანილში ერთ ხაზზე გან-ლაგებული ორი გამჭოლი ნახვრეტი აქვს ტყავის ან ხის (უფრო ეს იქნებოდა ტყავგა-დაკრული ხე) საფუძველზე მისამაგრებლად. მისი სიგრძე 6 სმ-ია, უდიდესი სიგანე – 3,5 სმ. ნივთი დაზიანებულია, მომტვრეული აქვს ერთი გვერდის მცირე ნანილი და მეორის თითქმის მთელი ზედა მონაკვეთი.

ბუნიკის ფორმას მთლიანად მოიცავს და-ბალ რელიეფში შესრულებული კომპოზიცია. მის ორივე გვერდზე ამოკვეთილია ე.ნ. კატი-სებური მტაცებლის ორი ურთიერთ დაპირის-პირებული ფიგურა. ცხოველები წარმოდგე-ნილია პროფილში, ისინი წვანან სპეციფიკურ გართხმულ პოზაში, მოხრილ თათებზე, ბუნი-კის თითო გვერდზე ორი ურთიერთდაპირის-პირებული ფიგურა სახით ერთიმეორისკენ და ზურგით ბუნიკის გრძივი კიდეებისკენ.

აღქმის გასაიოლებლად აღნერისას შედა-რებით დაუზიანებელი მხარე მოვიხსენიოთ, როგორც A გვერდი, ხოლო ნაკლული საპი-რისპირო მხარე, როგორც B გვერდი (ტაბ. I).

ყველაზე სრულად შემორჩენილია A გვერ-დის მარცხენა ნანილზე გამოსახული ფიგუ-რა. ესაა ადრესკვითურ მანერაში შესრულე-ბული, ე.ნ. კატისებრი მტაცებლის ძლიერ სტილზებული გამოსახულება; ცხოველის თავს ბუნიკის ზედა მარცხენა კუთხე უკავია, ის გამოსახულია ორ რიგად განთავსებული რელიეფური ფორმების სახით: ზედა რიგზე ბუნიკის ზედა კიდის გასწვრივ ერთ ხაზზე განლაგებულია ყური (ესაა მრგვალი რელიე-ფური ფორმა შუაში ჩაჭრილი სამკუთხედით), თვალი (რელიეფური რგოლი შუაში ღრმა

ნერტილით) და დრუნჩი (რელიეფური ორ-მაგი ლილვაკი შუაში ღრმად ჩაჭრილი სამ-კუთხედით). მეორე რიგში ისევ ერთ რიგადაა ჩამწკრივებული ლოყა (მრგვალი ამოზნე-ქილობის სახით) და ყბა (რომელიც ე.ნ. შუა-ზე გაჭრილი გულისებრი ფორმისაა შუაში სამკუთხა ჩაღრმავებით); და აი აქ ვხვდებით ყბისკენ წვერით მიმართულ დეტალს – ეს უკვე მეორე, მარჯვენა ცხოველის დრუნჩია, რომელსაც მოსდევს თვალი – შემორჩენილია მხოლოდ რელიეფური რგოლის ნანილი, და დრუნჩის ქვემოთ ყბა – ანალოგიური მარცხე-ნა ცხოველის ყბისა. აკლია ყური და, ალბათ, ლოყა. გამოდის, რომ მარჯვენა ცხოველის თავი მარცხენას დრუნჩის ქვეშ შედის და ამდენად ფიგურების დაპირისპირებულობა ასიმეტრიულია.

ბევრად უფრო დაზიანებულია ბუნიკის მეორე მხარე B: თითქმის მთლიანადაა მოტე-ხილი მისი ზედა ნანილი, სადაც გამოსახული იქნებოდა ორივე ფიგურის თავები და ნინა თათები; შერჩენილია უკანა თათები და კუდე-ბი. ოთხივე ფიგურის თათები გაცვეთილია, მაგრამ ჩანს, რომ ისინი ერთ ხაზზეა განთა-ვსებული, სახსრებში მოხრილ მდგომარეო-ბაში; ნათლად იკითხება მათი ე.ნ. რგოლური დაბოლოებანი – მომრგვალებული ფორმა შუაში ჩაღრმავებით.

რაც შეეხება კუდებს – ყოველ ფიგურას განსხვავებული მოყვანილობის კუდი აქვს: A გვერდის მარცხენა ცხოველის გრძელი კუდი მიემართება მუცლის გასწვრივ ცხოველის კორპუსის პარალელურად, თავისი ე.ნ. რგო-ლური დაბოლოებით ყბას ებჯინება და ამ გვერდს ორ ნანილად ყოფს. ამავე A გვერდის მარჯვენა ფიგურის კუდი, მარცხენისგან გან-სხვავებით, ქვემოთაა დაშვებული, ის ბუნიკის კიდის კონტურს მიუყვება, ნარნარად გადა-დის ბუნიკის ქვედა ასიმეტრიულ დეტალზე და რგოლური დაბოლოებით უხვევს. უჩვეუ-ლო სურათს ვაკვირდებით ბუნიკის მეორე, B მხარეზე: მისი შუა ნანილი დაზიანებულია და ისეა შეწეპებული, რომ დეტალების ხაზები დარღვეულია; ამ გვერდის მარჯვენა ფიგუ-რის შედარებით უკეთ დაცული კონტურების მიხედვით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ამ ფიგურის კუდს აქვს განტოტება – ერთი მიემართება ზევით, ცხოველის ტანის გასწვრივ, მეორე კი, ზემოთ განხილული A გვერდის ფიგურის კუდის მსგავსად, ბუნიკის ქვედა ნახევარნრიულ ნანილზე გადადის. ალ-სანიშნი დაგვრჩა B გვერდის მარცხენა ცხო-

ველის კუდი – მოკლე, კაუჭისმაგვარი წვერით.

კატისებური მტაცებლის გამოსახვა სატევრის ან მახვილის ქარქაშის ბუნიკზე ადრესკითურ ხელოვნებაში კარგადაა ცნობილი (იგულისხმება ძვ.წ. VII საუკუნის მეორე ნახევარი და ძვ.წ. VI ს). მიუხედავად ამისა, არც ბუნიკის ფორმას, და არც მასზე გამოსახულ კომპოზიციას, სკვითური ტიპის ბუნიკებს შორის ზუსტი ანალოგია არ ეძებნება, პარალელურად, თრელიგორების ბუნიკი სკვითური ცხოველსახოვანი სტილის ხელოვნებისათვის სპეციფიკური ელემენტების ერთგვარი ნაკრებია, რომლის ყოველი შემადგენელი სხვადასხვა შეთავსებითა და ვარიაციებით კარგადაა ცნობილი კატისებური მტაცებლის ადრესკითურ გამოსახულებებს შორის [შკურკი 1969: 32-35]. თრელის ბუნიკზე თითქმის არ არის ელემენტი, რომელიც უცხო იქნებოდა ადრესკითური მანერისათვის ე.წ. კელერმეს-ზივიეს, ან გნებავთ, კავკასიურნიაზიურ სტადიაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს სრული თანხვედრო თრელიგორების ბუნიკის მტაცებლის თავსა და კელერმესის ძვლის ე.წ. გამანანილებელ ასხმულაზე გამოსახულ ცხოველის თავს შორის (ტაბ. II, 6); მათ აახლოებს საერთო სქემა – ორივე ცხოველის თავი შედგება ორ რიგად, და ერთი და იმავე თანამიმდევრობით, განთავსებული იდენტური ფორმებისაგან [გალანინა 1997: ტაბ. 16, 259; ივანჩიკ 2001: სურ. 34, 1].

ნივთის ფორმის შესახებ უნდა ითქვას, რომ წაგრძელებული კორპუსი არ არის დამახასიათებელი ადრესკითური ქარქაშის ბუნიკებისათვის, რომელთა უმრავლესობას, აქვს ე.წ. ნახევაროვალური მოყვანილობა (ტაბ. II, 1-5). წაგრძელებულია კარმირ-ბლურის ძვლის ბუნიკი (ტაბ. II, 14), რომელთანაც თრელიგორების ბუნიკს აახლოებს როგორც ფაქტურა, ისე შესრულების მანერა — ესაა ღრმად ჩაჭრილი დეტალები ყურების, თვალების, ყბის, თათებისა და კუდების დაბოლოებების ცენტრალურ ნაწილებში; ასევე ტექნიკური დეტალი — გამჭოლი ნახვრეტები, საფუძველზე მისამაგრებლად განკუთვნილი [Пиотровский 1970: სურ. 96].

რაც შეეხება ბუნიკის ქვედა, გაფართოებულ ნაწილს, რომელმაც განსაზღვრა ბუნიკის თავისებური ფორმა, უნდა ითქვას, რომ მისი კონტური თანხვედება ფასკაუს ცნობილი ბრინჯაოს ბუნიკის შვერილის მოყვანილობას [Ильинская, Тереножкин 1983: 45, სურ. 3] (ტაბ. II, 13) და ეს არის ჯერჯერობით თრელიგორების ბუნიკის ფორმის ერთადერთი ანალოგია. ამავე დროს ფასკაუს ბრინჯაოს ბუნიკს თრელიგორების ნიმუშთან მასზე გამოსახული კატისებური მტაცებლის ფიგურის არსებობის ფაქტიც აახლოებს. ახლა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ ქვე-

დაშვებული კუდების დაბოლოებები თრელიგორების ფიგურებზე მოთავსებულია ბუნიკის ქვედა დეტალის სწორედ იმ ნაწილში, სადაც ფასკაუს ბრინჯაოს ბუნიკის შვერილზე ვხედავთ ფრინველის თავის სქემატურ გამოსახულებას. კუდის ეს რგოლური დაბოლოება თრელიგორების ბუნიკზე ამავე დროს მოგვაგონებს ე.წ. დამატებით ელემენტს კატისებური მტაცებლის ფიგურებზე – სახელდობრ, ფრინველის თავს დიდი თვალით, რასაც მრავლად ვხვდებით ადრესკვითური ხელოვნების ნიმუშებზე [Мансурадзе, Пирцхалавა 2011:71-77]; კუდის ეს რგოლური დაბოლოება უკვე ზივიეს სტადიაზე ჩნდება ჩახევული მარყუჟის სახით (ტაბ. II, 7, 9, 12), რომელიც სკვითურ ხელოვნებაში რგოლად ჩამოყალიბდება; ეს ელემენტი – პირობითი რგოლი – ზოგ შემთხვევაში ფრინველის თავად გარდაიქმნება, ორი მიმართულებით: რგოლი გააზრებულია, როგორც მტაცებელი ფრინველის თვალი, ან ჩახევული მარყუჟი ტრანსფორმირდება ფრინველის ნისკარტად (ტაბ. III, 15). ორივე შემთხვევაში ეს ფრინველია. დასაშვები მგონია, რომ თრელიგორების ბუნიკის ეს რგოლიც გააზრებულია, როგორც თვალი და როგორც კუდის ბოლო ერთდროულად; თუ ეს მისაღებია, მაშინ სახეზეა სკვითური ხელოვნებისთვის სპეციფიკური ე.წ. „ზომომორფული გარდასახვის“ მაგალითი, როდესაც ცხოველის სხეულის ერთ-ერთი ელემენტი ამავე დროს სხვა არსების ტანის სხვა ნაწილს ნარმოადგენს.

თრელიგორების ბუნიკის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს მისი ფიგურების პოზასა და კომპოზიციაში: ჩვენს წინაშეა კატისებური მტაცებლების ადრესკითურ მანერაში შესრულებული ანტითეზური გამოსახულებანი, რომლებიც წარმოდგენილია დამახასიათებელ განრთხმულ პოზაში, მოხრილ თათებზე. კომპოზიციისა და პოზის მსგავსი შეთავსება ადრესკითურ სიძველეთა შორის არ გვხვდება. რაც შეეხება ცალკე კომპოზიციას – ანუ დაპირისპირებულ ფიგურებს, სკვითური სტილით გადმოცემული ეს სქემა ქარქაშის ბუნიკებზე მეტად იშვიათია. კელერმესისა და მელგუნვის საპარადო აკინაკების ქარქაშების ბუნიკებზე ურთიერთდაპირისპირებული ლომები ტრადიციული ასურო-ურარტული სტილითაა წარმოდგენილი [Черненко 1980: 24, სურ. 12, 15; Погребова, Раевский 1992: 110]. ჩვენთვის საინტერესო კომპოზიციას, შესრულებულს სკვითურ სტილში, ჩვენ ვხვდებით ზივიეს კოლექციის ცნობილ ოქროს ბუნიკზე (ტაბ. II, 12) – ეს არის ორი ურთიერთდაპირისპირებული ფიგურის ძლიერ სტილიზებული გამოსახულება [Погребова, Раевский 1992: სურ. 1, ჯ], და ასევე უკვე ნახსენები კარმირ ბლურის

ძვლის ბუნიკზე, სადაც მტაცებლის მოხრილი ფიგურა გააზრებულია, როგორც ანტითეზური წყვილის თავისებური გაღმოცემა. ასე რომ თრელიგორების ბუნიკი მესამეა ბუნიკების იმ მცირერიცხოვან სერიაში, სადაც ჰერალდიკური კომპოზიცია სკვითური ცხოველსახოვანი სტილითაა შესრულებული.

